ISSN 0132 - 6007

140
1990

2
140



# პიონერი

1
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო



გაგვშორდა, თვალებს მიმფარდა
წელი ავსავსე შფოთითა,
ნაცვლად ნათელი იმედით
ახალი წელი მოვიდა.

დე, იყოს ფეხბედნიერი,
ამრავლოს ხვავი, ბარაქა,
სითბო, სიკეთე ეთესოს
ყველგან —— სოფლად თუ ქალაქად;
უმრავლოს ჩვენს ერს ქალ-ვაჟნი,
ყმათა აკვნების რწევანი,
სულ სამშვიდობოდ, სალხინოდ
იწურებოდეს მტევანი;
კვლავ აღორძინდეს, აყვავდეს
ნასოფლარ-ნასახლარები,
სიცოცხლის გამარჯვებაზე
ჟღერდეს ჩონგურის ლარები;
მზე კაშკაშებდეს ზეცაში,
მთაზე არწივი მყიოდეს,
არავინ არა კვნესოდეს,
ცრემლი არავის სდიოდეს.
ერთმანეთს ტოლს არ ვუდებდეთ
ქვეყნისთვის სწავლა-გარჯაში,
სიმართლისათვის მახვილი
არ იხვეწებდეს ქარქაშში;
მერმისისაკენ მავალი
გავკვალოთ გასაკვალავი,
უფრო შევიტკბოთ, შევიგრძნოთ
მადლი წიგნის და კალამის;
თავაწეულებს აროდეს
გაგვკრას ფრთამ უიმედობის,
სულში გაიდგას ფესვები
ძალამ ძმობის და ერთობის;
უპირველესად ყოვლისა
აღზევდეს იმის ნათელი,
რასაც „დღედაღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი"...

...მოვიდა წელი ახალი,
ამალით სპეტაკ ფიფქების,
დაე, აგვიხდეს ერთიან
ეს საახალწლო ფიქრები!

ს. შამშრიანი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნინო ხარაზიშვილი



დღე არ გავა, ნავსადგურში გემი არ შემოვიდეს

# ზღვა უყვარს მამაცებს!

სათავგადასავლო წიგნების კითხვა ვის არ უყვარს!.. ბიჭებს განსაკუთრებით აღელვებთ ხოლმე მუდამ გზაზე დამდგარი მეზღვაურების ამბები. ასეთები თვლიან, რომ გეოგრაფიაზე უკეთესი საგანი ქვეყნად არ არსებობს, გლობუსის ტრიალი, მსოფლიოს ვეებერთელა რუკების კირკიტი უყვართ. ოცნებობენ შორეული ოკეანეების ლურჯ სივრცეებზე, დედამიწის ყველა გრძედ-განედის მოვლაზე, ზღვასთან ყოველდღიურ სიახლოვეზე. ზოგს ოცნება კეთილი სიზმარივით აუხდება ხოლმე — მოახერხებს თავისი მისწრაფებების გასაგნებას, ცხოვრების უმთავრეს საქმედ იქცევს ბავშვობისდროინდელ ნაფიქრსა და ნაოცნებარს. და განა შეიძლება ეჭვი შეგეპაროს, რომ ასეთი კაცი ბედნიერია?

საქართველო ზღვაოსანთა უძველესი ქვეყანაა, ზღვა ჩვენს სამემკვიდრო მიწას 312 კილომეტრზე გასდევს და რა გასაკვირია, რომ „ზღვის ავადმყოფობა“ ყმაწვილს ჩვენში უფრო შეეყაროს. დასავლელ ქართველებს, ზღვისპირელებს კი მაინც ძალიან გააკვირვებთ ხოლმე, ზღვისუნახავი მთიელი, კახელი ან ქართლელი რომ გამეზღვაურდება და „საკუთარი“ ზღვის სიყვარულში ჩაუზიარდებათ.

ზღვა კი... ჰგავს რაღაცით მშვენიერ, მომთხოვნ ქალს — მხოლოდ ნამდვილი ვაჟკაცი, სიყვარულსა და ძმობაში ულალატო, სანდო ადამიანი რომ სჭირდება. პრეტენზიულია — წინაპართა კლასიკურ თვისებებს მოგთხოვს. გამოიჩენ სულ მცირე ადამიანურ სისუსტეს და ძალუმად გაგრძნობინებს თავის ვერგაგებას და ალბათ ამიტომაც არის, რომ ზღვა ხშირად „შორიდან“ უყვართ, რომ მასთან ნამდვილ სიახლოვეს იშვიათად სწვდებიან. დიდმა სიყვარულმა დიდი დაშორებაც ხომ იცის...

არ ვიცი, სად შეიძლება ვეძებოთ ამ ტკივილის ნამდვილი ფესვები, მაგრამ ქართულ საზღვაოსნო საქმეს დღეს ქართველი კაცის მარჯვენა და სიყვარული აუნაზღაურებლად აკლია. ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ ჩვენში ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში მოქმედ სანაოსნო სკოლებს ახსენებს. ზღვისპირელი კაცი ბაღს ეძახდა თურმე ზღვას, მისთვის ლუკმაპურის გამჩენსა და მარჩენალს. ერთი პატარა კოლხური ლექსი მახსენდება: „ვარსკვლავო, შენ ანათე, მთვარე არ მეგულება, თევზი თუ დავიჭირე, მექნება წვეულება“-ო... და, მართლაც, კარგ მეზღვაურსა და მეთევზეს დანატრებული არასდროს ყოფილა საქართველო. ჩვენში ეს ორი სიტყვა ყოველთვის ერთსა და იმავეს ნიშნავდა. კარგმა ზღვაოსანმა მუდამ იცოდა თევზით განსაკუთრებით მდიდარი სათევზაო ადგილები, მტრისა და „ავი თვალისგანაც“ ამ ადგილებს, უპირველესად, ის იცავდა.

ფოთი... ფაზისი — უძველესი კოლხური ქალაქი — „კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარსშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით“. მისი შესაშური ადგილმდებარეობისა და უხვწყლიანობის შესახებ ძველი ბერძენი გეოგრაფებიც არაერთგზის აღნიშნავდნენ. თევზით განთქმული მი-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა № 1 იანვარი 1990

საქ. სს[illegible] კ. მარქსის
სახ. სახ. [illegible]
ბიბლიოთეკა

სი პალიასტომი დღემდეც ნავიგაციისთვის ზედმიწევნით გამოსადეგ ერთადერთ ტბად არის მიჩნეული საქართველოში. უყვართ აქაურებს წყალი, ემაყებათ ზღვა და ეს მათი ყოფა-ცხოვრების ბევრ მხარეში ვლინდება. ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნული — ქართული საზღვაოსნო კადრების ნაკლებობა, ქართველი კაპიტნების მცირერიცხოვნება — აქ ყველას ერთნაირად აღელვებს. ეს ის საკითხია, რომელიც არამცთუ დღეს, კარგა ხნით ადრეც უნდა დამდგარიყო პრობლემად მთელი საქართველოსთვის; დიახ, ეს გახლავთ პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ყველაზე მეტად ქართველი ყმაწვილების კეთილგონიერება და მხურვალე პატრიოტიზმი დასჭირდება.

მაგრამ... ვილაპარაკოთ უფრო კონკრეტულად: ფოთში უკვე ცამეტი წელია, მოქმედებს საზღვაოსნო სკოლა (დირექტორი — ჯ. ჭანტურია, მოადგილე — ჯ. გვაძაბია), რომელიც მთელ რესპუბლიკაში ამ პროფილის ერთადერთ პროფტექნიკურ სასწავლებლად ითვლება. ყველასთვის გასაგები იყო სკოლის პედაგოგ-ოსტატთა უმთავრესი საწუხარი: აქ მოსწავლეთა კონტინგენტში ადგილობრივ ყმაწვილებს თითქმის ყოველთვის სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული ახალგაზრდობა სჭარბობდა. ამ სასწავლო წელს ეს „ტრადიცია“ დაირღვა — სკოლის დღევანდელ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკიდანაა — ახალგაზრდები ოზურგეთიდან, კახეთიდან, საქართველოს მთიანეთიდან, შუა ქართლიდან.

21-დან 30 წლამდე ასაკის 150 ჭაბუკი სწავლობს ყოველწლიურად ფოთის საზღვაოსნო სკოლაში; სკოლა რვა კლასის ბაზაზე არსებობს, ოღონდ ეგ არის, აქ მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურმოვლილ, დამოუკიდებელ ცხოვრებაში ფეხშედგმულ, ფიზიკურად კარგად ნაწრთობ ბიჭებს იღებენ.

გაინტერესებთ აქ სწავლის პირობები? მოგეხსენებათ, ყველგან ყველაფერს იქ დასაქმებულ ადამიანთა ინტერესების მრავალმხრივობა და საქმის სიყვარული წყვეტს. ფოთის საზღვაოსნო სკოლას კი ასეთი აღმზრდელი და მოსწავლე არ აკლია. ამიტომ აქ სწავლაც საინტერესოა, გემის მომსახურე პერსონალისთვის ყველა საჭირო საქმეს ზედმიწევნით ეუფლებიან ბიჭები: სწავლობენ გემის მოწყობილობათა თეორიას, თევზის მოპოვება-დამუშავებისა და თევზის სარეწაო ფლოტის ეკონომიკას, ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროებასა და საზღვაო საქმეს, გადიან სამხედრო-საზღვაო მომზადებას. ყველაზე მაცდუნებელი მაინც ისაა, რომ აქ მოსწავლე თითოეული ყმაწვილი ერთდროულად ორ საზღვაო სპეციალობას იძენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გემზე მისი სამსახური უეჭველად ორმხრივ სარგებლიანი იქნება. ასე, მაგალითად, გემის ელექტრიკოსობა გინდათ შეისწავლოთ? ინებეთ მეორე ხელობაც — მეორე კლასის მეზღვაურობა; ამ სკოლის კურსდამთავრებული პირველი კლასის გემის მოტორისტი მეორე კლასის მეზღვაურიცაა, ამავე კლასის მეზღვაურულ კვალიფიკაციას იღებენ პარალელურად მაცივრებისა და თევზის დამფქველი დანადგარების ოსტატებიც. რაც შეეხება გემის მეორე კლასის მოტორისტს, იგი მეორე სპეციალობით პირველი კლასის მეზღვაურია...

განსაკუთრებით საინტერესოა პრაქტიკული მუშაობა საზღვაოსნო სკოლაში. კვირაში ერთხელ აუცილებლად უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობა. ეს დღე ყველაზე მეტად უყვართ იმიტომ, რომ შეიძლება ქალაქის საზღვაო ნავსადგურში იმუშაონ, თავიანთ სასწავლო-საწარმოო კომბინატში. მათი „თბილისი“ უკვე დამსახურებულ „პენსიაზე“ გასული ძველთაძველი გემია. მწყობრიდან გამოსული გემის „ორგანიზმში“ კირკიტი განსაკუთრებით მოსწონთ ბიჭებს, თითოეულის საზრიანობა და ცოდნა აქ უკვე კონკრეტულად საქმეში ვლინდება. მთელ ქალაქში განთქმული კაპიტანია „თბილისის“ მეურვე დავით ღლონტი, თავისი საქმის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მხარეების იშვიათი სპეციალისტი. არ შეიძლება, მასთან სწავლობდე და არ იყო შემოქმედი. ამიტომ ბიჭები განსაკუთრებული მონდომებით აკვირდებიან ხოლმე ექსტრემალურ სიტუაციებში გემის გადარჩენის ნიუანსებს. სკოლის მოსწავლეთა ხუთივე ჯგუფი „თბილისში“ მორიგეობით მეცადინეობს.

და, საერთოდაც, პრაქტიკული მუშაობა სკოლაში განსაკუთრებით პატივდებული რომაა, ამას ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მცურავ-სარემონტო სახელოსნოსა და ქალაქის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის საამქროებში ამ კუთხით გაშლილი მუშაობაც გვიდასტურებს. საზღვაოსნო სკოლის მოსწავლეები აქაურთა ტრადიციული მოწაფეები არიან. მათი სასწავლებელი ხომ ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ეკუთვნის და მეზღვაურებსაც ძირითადად თევზჭერის პროფილით ამზადებს; თანაც ამ საწარმო-ორგანიზაციებში მომუშავე ბევრი გამოცდილი სპეციალისტი სკოლის მოსწავლეთა მუდმივი თუ მოწვეული ოსტატი და მასწავლებელია.

ახალგაზრდა კაცს ხომ ისედაც ყველაფერი უნდა ემარჯვებოდეს... მომავალი მეზღვაურები გულდასმით ეცნობიან გემის აგებულებას, ყურადღებით უსმენენ მის „გულსა“ და „ფილტვებს“. ბევრს აძლევთ საზღვაოსნო სკოლის ეს ექვსთვიანი კურსი ბიჭებს. სასწავლო წლის ბოლოს, გაზაფხულზე, ყველანი თითქმის უკვე მომთავრებული სპეციალისტები არიან. ამიტომაც გამოსაშვებ გამოცდებსაც ყოჩაღად აბარებენ და ატესტატმიღებულები ხუთთვიან შორეულ სანაოსნო პრაქტიკაზეც უფრო გაბედულად მიდიან. თეორიული მომზადების ფრიადოსნებს კი აქ უკვე საქმით აფასებენ. ისეთი შემთხვევებიც არის ხოლმე, სასწავლო-გამოსაშვები პრაქტიკის დროს ფრიადოსან კურსდამთავრებულს მთელ საშტატო ერთეულს რომ ჩააბარებენ. აქ სხვა მომენტიცაა: პრაქტიკის დროს შესრულებულ დავალებათა ხარისხზე მომავალი სპეციალისტის შემდგომი ზრდის გარკვეული პერსპექტივებიც არის ხოლმე დამოკიდებული. პერსპექტივები კი ძალიან დიდია. მხოლოდ ცოტაოდენი გულმოდგინებაა საჭირო და შეიძლება ხელშესახებ რეალო-

ბად იქცეს გუშინდელი ოცნება — უცხოეთისა თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში მოცურავე თევზსაჭერ ტრაულერებზე მუშაობის შესაძლებლობა. საშუალო ტექნიკური და უმაღლესი საზღვაოსნო განათლების მიღების მსურველებიც გამოჩნდებიან ხოლმე. ასეთებს კარს ფართოდ უღებს ჩვენი ქვეყნის მრავალი სასწავლებელი: ოდესის, ასტრახანის, ზღვისპირეთის, მურმანსკის, ტალინის, კლაიპედას საზღვაოსნო-ტექნიკური სასწავლებლები, ასტრახანის, მურმანსკისა და ვლადივოსტოკის თევზის მრეწველობის ინსტიტუტები. დღეს ფოთის თევზჭერის საზღვაო ფლოტში ამ სასწავლებლების არაერთი კურსდამთავრებული წარმატებით მუშაობს.

წერილის დასაწყისში საქართველოს საზღვაო ფლოტში ქართველ პროფესიონალთა ნაკლებობა ვახსენეთ... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთი ძაფი ხელთ უპყრიათ ისეთ რგოლებს, როგორიც ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელია. უპირველესად ყოვლისა, აქედან უნდა დავიწყოთ ეროვნულ კადრებზე ზრუნვა; დავიწყოთ ჯანსაღი, სწორი პროფორიენტაციული მუშაობით, ზღვაოსანთა რიგითი ნაწილის მომრავლებით, და მერე იმის მცდელობით, რომ მათგან, რაც შეიძლება, მეტი თეორიულად და პრაქტიკულად გამართული კაპიტანი დადგეს. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, სათანადო ბაზის უქონლობაც ძალიან აბრკოლებს. ერთი შეხედვით, თითქოს რატომ უნდა ჭირდეს ბაზა ისეთ ქალაქში, როგორიც ფოთია — ზღვაც აქვს და თევზიც, მაგრამ სწავლების ბაზა ხომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან, ამ საქმის ღონიერი სპეციალისტები. ალბათ ამიტომაც ვერ დაფუძნდა ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთი დიდი მღელვარებით გახსნილი ასტრახანის თევზის მრეწველობის ინსტიტუტის ფოთის ფილიალი. ვერ დაფუძნდა, მიუხედავად საქართველოში მსგავსი პროფილის უმაღლესი სასწავლებლის უქონლობისა, მიუხედავად ამის დიდი საჭიროებისა. როგორც ჩანს, რესპუბლიკამ ამ ტიპის სასწავლებლებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილის მოზიდვაზე განსაკუთრებით უნდა იზრუნოს. მაგრამ ამგვარ პრობლემებზე უნდა ვიფიქროთ ჩვენც — ჩვენს სკოლებში, ვიფიქროთ ჩვენს ყოველდღიურ საქმეებში და მერე ძალზე საჭიროდ გამოვხატოთ ეს ფიქრი ჩვენსავე მისწრაფებებსა და ინტერესებში. ფოთის საზღვაოსნო სკოლას წლევანდლამდე ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან მუშაობის საკმაოდ საინტერესო გეგმები. მომავალ ზღვაოსნებს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა ქალაქის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან. საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, მე-5 სკოლელმა კურსდამთავრებულებმა, საშუალო სკოლის ატესტატთან ერთად, შარშან მეზღვაურობის მოწმობებიც მიიღეს. ეს იყო დიდი კონტაქტი, რომელიც, რატომღაც, ვეღარ გაგრძელდა, ტრადიცია, რომელიც მოირღვა; დღევანდელ სიტუაციაში კი, როცა ეროვნული კადრები ასე გვიჭირს, არავის აქვს მსგავსი უგულისყურობის გამოჩენის უფლება. ჩვენ ერთმანეთთან აუცილებლად უნდა ვითანამშრომლოთ, საქართველოს მომავალი ძლიერება, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა ითხოვს ამ კონტაქტებს. მივაყურადოთ ჩვენი ბავშვობის ფერადოვან ოცნებებს! გავიხსენოთ, განა გუშინ არ გვინდოდა, რომ ვყოფილიყავით მამაცი მეზღვაურები, ლეგენდარული დიდებით მოსილი ამაყი კაპიტნები?! მერე, ხელი რამ შეგვიშალა? რატომ შევაქციეთ ზურგი ოცნებას? რატომ დაგვავიწყდა, რომ არ არსებობს მიზანი, რომელსაც ადამიანი ვერ მისწვდება, არ არის ოცნება, რომელსაც ჯიუტი სიყვარულითა და მონდომებით ვერ დასძლევ... და თუ... ისევ იგრძნობთ თქვენი გუშინდელი ფერადოვანი ნატვრების მოძალებას, გახსოვდეთ: ფოთის საზღვაოსნო სკოლის კარი ღიაა — იგი სწორედაც რომ სიხარულით უმასპინძლებს უძველესი ქართული პროფესიის რომანტიულობით ანთებულ ქართველ ვაჟკაცებს.



ერთი ჩვეულებრივი დღე ფოთის ნავსადგურში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი უდაბნო მთებში

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი კარლო ფაჩულია

ტაძარში შევიდნენ, უცებ გარკვევით ვერაფერი დაინახეს, მარჯვნივ და მარცხნივ კედლებში დატანებული თითო ვიწრო სარკმელი ტაძარს სუსტად ანათებდა. მაგრამ თვალი მალე შეეჩვია ნახევარსიბნელეს და პირველად რაც შენიშნეს, ტაძარში გამეფებული სისუფთავე იყო. ვილაცას (სხვა ვინ იქნებოდა, სანდრო პაპას მეტი?) იატაკი დაეგავა. ნესტიან ფილაქანს თითო-ოროლა აგური ასცვენოდა და ოთხკუთხა ღრმულებს მწვანე ხავერდივით ხავსი მოსდებოდა.

ყმაწვილები ხარბად შესცქეროდნენ ტაძრის ჭერზე გამოსახულ, იშვიათი ოსტატობით შესრულებულ ფრესკებს, რომელთა ნაწილი ჭერიდან ნადენ წვიმის ნაჟურს დაეზიანებინა და კირი თუ მარილი ალაგ-ალაგ თეთრ ფუფხებად გამოჰყროდა. კარის მოპირდაპირე კედელზე, შავი ან მუქი ლურჯი საღებავით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერა მოჩანდა.

— რომელს შეგიძლიათ ამოიკითხოთ, რა წერია კედელზე? — ჰკითხა ყმაწვილებს ტყისმცველმა და ხალათის ფართო ჯიბიდან ქაღალდში შეხვეული სანთლები ამოიღო, ორი ცალი აანთო, კედელზე მიამაგრა და პასუხისთვის არ დაუცდია, განაგრძო: — სანთლის შუქი და სუნი რომ დატრიალდება, ბებერი ტაძარი იტყვის, მეც პატრონი მყავს, ვილაცას ვახსოვარო.

სანთლის შუქზე უფრო მკაფიო გახდა წარწერა. მერი ბორძიკ-ბორძიკ მოჰყვა ასოების გარჩევას, მას გუბაზიც მიეხმარა და აი, რა ამოიკითხეს: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა“.

წუთით დუმილმა დაისადგურა ტაძარში.

მარტო გარედან შემოსული ტყის შრიალი და ფრინველთა ხმები მოისმოდა.

დუმილი გუბაზმა დაარღვია:

— ნეტავი რომელი საუკუნის ძეგლია? — ის ამაოდ ეძებდა კედლებზე სხვა წარწერას, ნიშანს, რომ პასუხით დაკმაყოფილებულიყო.

— ბარბაროსთაგან დაიცავი ერი შენიო, არა? — თქვა სანდრომ და ტაძრიდან გარეთ გამოვიდა. ყმაწვილებმაც დატოვეს ტაძარი. — რამდენ შემოსევას გაუძლო ამ არემარემ. ეს ტაძარიც გადაურჩა ბარბაროსთა ცეცხლსა და მახვილს. ეხლა კი... ქვეყანა ვითომ განათლებული ხალხით გაივსო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვესმის, მიწას გაუფრთხილდი, წყალს გაუფრთხილდი, ჰაერს გაუფრთხილდიო და მაინც ცოტანი ვუფრთხილდებით. თითქოს ყრუები ვიყოთ, ბრმები ვიყოთ. საოცარი ისაა, რომ ზოგჯერ კანონიც უძლურია მათ წინაშე, ვისაც პირზე სახელმწიფო გეგმები აკერია. სინამდვილეში კი, აბა, რა ხალხია! თანამედროვე ბარბაროსები, რომლებიც იმდენად გეგმებზე არ ფიქრობენ, რამდენსაც საკუთარ ჯიბეზე! — ტყისმცველს ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ ღელავდა. სიგარეტს მოუკიდა, ორჯერ-სამჯერ მოქაჩა, მერე ძირს დააგდო და ისე მაგრად ჩასრისა ფეხით, თითქოს იმათზე ეყაროს ჯავრი, ვისაც ბარბაროსებში გულისხმობდა. შემდეგ ტაძრის გარეთა, მარჯვენა მხარეს გასწია და ყმაწვილებს უთხრა:

— ვიდრე კირქვის კარიერებზე გადაგახედებთ, წამოდით, კბილამთის ერთ საოცრებას კიდევ გიჩვენებთ.

სანდრომ ყმაწვილები ტაძრის უკან აღმართულ, ხვიარა მცენარეებით შებანჯგვლულ კირქვის კლდესთან მიიყვანა. კლდეში შავად დაეღო პირი დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის მღვიმეს. მის შესასვლელთან ერთმანეთზე ეყარა მარმარილოსავით თეთრი კირქვის ჩამონაქცევები. ხის ტოტებში გამოჭრილ, მზის სხივებით განათებულ კირქვის ბრტყელ ნამსხვრევზე მწვანე ხვლიკი განაბულიყო, ფეხის ხმაზე დაფრთხა, სწრაფად ძირს ჩაირბინა და მიიმალა.

— მღვიმეში უნდა შევძვრეთ. შესასვლელი დაბალია, ჯერ ცოტა გაგვიჭირდება, წელში მოხრილებმა უნდა ვიაროთ, მერე არა უშავს, გავიმართებით! — სანდრომ თავი დაღუნა, წელში მოიხარა და მღვიმეში პირველი შევიდა, მას მერი მიჰყვა, მერის გუბაზი.

რამდენიმე მეტრი რომ გაიარეს, მღვიმის ჭერმა მართლაც თანდათან აიწია და წელში გაიშალნენ. სამაგიეროდ, მღვიმეში ჩამობნელდა. გარედან ველარ აღწევდა დღის შუქი. ძირს ნაყარი, დანის პირებივით წამახული კირქვის ნამსხვრევები აღარ ჩანდა. ბორძიკი დაიწყეს.

— ფრთხილად, ბავშვებო, ფრთხილად, — დროდადრო მოისმოდა სანდროს ხმა. ბოლოს შეჩერდა და ბრძანა, ყმაწვილებიც შეჩერებულიყვნენ.

სიბნელეში ასანთმა გაიტკაცუნა. სანდროს ცალ ხელში ანთებული ასანთის ღერი ეჭირა, მეორეში — სამი სანთელი. სამივე აანთო, ერთი თვითონ დაიტოვა, დანარჩენები ყმაწვილებს მისცა. სანთლის მოციმციმე შუქმა იქაურობა გაანათა, ისინი პატარა ოთახისხელა მღვიმეში იდგნენ, რომლის ერთი მხარე სადღაც წყვდიადში გრძელდებოდა.

— ეხლა სანთლები გვაქვს და სიარული არ გაგვიჭირდება, მაინც ფრთხილად იყავით. სველ ქვებზე ფეხი არ დაგიცდეთ, არ წაიქცეთ!

დასასრული. იხ. „პიონერი“ №№ 10, 11, 12.

განაგრძეს გზა. რაც წინ მიიწევდნენ, სიგრილე მატულობდა. ჰაერი ნესტის სუნით გაჟღენთილიყო. ჭერიდან ყინულივით ცივმა წყლის წვეთებმა იწყო დენა. რამდენიმე წვეთი მერის კისერში ჩაუვარდა. უიო, მხიარულად წამოიკივლა და სანთელი მღვიმის ჭერს მიანათა.

— შეხედე, გუბაზ! — შესძახა მან და თითი მაღლა აიშვირა.

მღვიმის ჭერზე ყინულის ლოლუებივით სტალაქტიტები ეკიდა. სანთლის შუქზე ვერცხლისფრად ბრწყინავდნენ და ლივლივებდნენ.

— რა ლამაზია, დედა! აი თურმე რა საოცრების ჩვენებას აპირებდა სანდრო პაპა! — ამბობდა აღფრთოვანებული გოგონა.

— აქ სტალაგმიტებიც იქნება, ფრთხილად ვიაროთ, რომ ფეხით არ დავაზიანოთ, — თქვა გუბაზმა და დაბლა დაიხარა, მღვიმის ლოდებად ქცეული კედლის გასწვრივ სანთელი მოატარა. მართლაც იპოვნა სხვადასხვა ზომისა და ფორმის სტალაგმიტები. ზოგი ძაბრს წააგავდა, ზოგი სოკოს, იყო ნახევარსფეროსებურიც. ჯამივით ამოღრუებულ სტალაგმიტში წყალი ლიცლიცებდა, ჭერიდან ჩამოსულ წყლის წვეთებს შიგ წკაპიწკუპი გაჰქონდათ.

ყმაწვილებმა მღვიმეში უფრო ღრმად მოიწადინეს შესვლა. სანდრომ დაუშალათ: შორს ველარ წავალთ, მღვიმე ვიწროვდება, არც სანთლები გვეყოფა, უკან დაბრუნებას ველარ შევძლებთო.

დიდი სინანულით გამოვიდნენ მღვიმიდან ბავშვები. სიგრილეში ნამყოფებს ტყის ნიავი სხეულზე თბილად, სასიამოვნოდ მოელამუნათ.



სანდრო პაპა ყმაწვილებს ახლა კბილამთის ჩრდილოეთ მხარეს გაუძღვა. ტყე უკან დარჩა. ბუჩქნარითა და ბალახით დაფარულ ფერდობზე გავიდნენ. აქ ნიავი უფრო მძლავრობდა, პირდაპირ ალაზნის ველიდან უბერავდა. ტალღა-ტალღად არხევდა აბიბინებულ მწვანე ბალახს და შიგადაშიგ ნაირფერებად გადაშლილ ყვავილებს. ქვევით უზარმაზარი, ჭრელი ფარდაგივით გადაშლილი ალაზნის ველი და იმას იქით, ეე, საიდან სად გაჭიმული კავკასიონის ლურჯი მთები მოჩანდა. ხერხის კბილებივით მახვილ, ულრუბლო მწვერვალებს ზაფხულის მზეც ვერ მორეოდა, თოვლი შემორჩენოდათ და თეთრად ბრწყინავდნენ.

— ალაზანი? რატომ ვერ ვხედავ ალაზანს? — თვალების ცეცებით წამოიძახა მერიმ.

— აგერ, მინდვრებს იქით, ნაცრისფერი ტყის ზოლი რომ იწყება, იმის პირას მოედინება. მოსახვევში ტბასავით ბრწყინავს! — თითი გაიშვირა გუბაზმა.

— ვხედავ, ვხედავ... — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა მერი, რომ სიტყვა პირზე შეაშრა. მთას ცის ქუხილივით აფეთქების ხმამ გადაუარა.

— ეს რა ამბავია, პაპა, ქვემეხებს ისვრიან? — გაიოცა გუბაზმა.

— კირქვის ქანებს აფეთქებენ, — წყნარად უპასუხა სანდრომ და ყმაწვილებს ანიშნა, მომყევითო.

მათ გეზი მთის აღმოსავლეთ მხარეს დაიჭირეს. რაც წინ მიიწევდნენ, ნიადაგი მცენარეებისაგან ღარიბდებოდა; კანტიკუნტად ხვდებოდათ და ბოლოს სულ გაქრა ბუჩქები. სამაგიეროდ მრავლდებოდა სოკოებივით მაღლა ამოწეული, ქარისა და წვიმისაგან მიწაგადარეცხილი კირქვა. ბოლოს მთის იმ ნაწილს მიაღწიეს, სადაც ბალახის ერთ ღერსაც ვერ იპოვიდით. მთის მოშიშვლებული, მცენარეებშემოძარცული წვეროდან ქვევით, ფერდობის დასასრულამდე, თითქოს გიგანტური მანქანის ძარიდან გადმოუცლიათო, მზისგან გახურებული კირქვის ნაშალი ჩაშვავებულიყო.

ყმაწვილებს დაბლა კარიერებისკენ რომ კარგად გადაეხედათ, სანდრომ ფერდობზე ამაღლებული ადგილი შეარჩია და ზედ შედგნენ. მათ თვალწინ, როგორც ხელისგულზე, ისე გამოჩნდა კირქვის კარიერები. თეთრ გზებსა თუ ტერასებზე შავი ხოჭოებივით მოძრაობდნენ ბულდოზერები. კირქვის ქანებს ღმუილით ამსხვრევდნენ ექსკავატორები, ივსებდნენ ვეება ჩანებს და ავტოთვითმცლელების ძარებში აპირქვავებდნენ. მძიმედ დატვირთული მანქანები კირქვის დასაქუცმაცებელი ქარხნებისკენ მიიჩქაროდნენ და მათ ადგილს სხვები იკავებდნენ. კირის გამოსაწვავ ღუმელებს — საკირეებს აგურით ნაშენი მილები ცისკენ ქვემეხის ლულებივით აეშვირათ და შავად ხრჩოლავდნენ.

გუბაზმა პაპის მონაყოლიდან ხომ იცოდა, რაც კბილამთის სიახლოვეს ხდებოდა, მაგრამ ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა. მართლაც უდაბნოს წააგავდა წალმაუკულმა გადათხრილი კირქვის კარიერები. გომბორის მთის ამ ნაწილს მოურჩენელი ჭრილობა გასჩენოდა. ნუთუ კბილამთასაც ის დღე ელოდა, რაც ქვევით თეთრ უდაბნოში ხდებოდა?

უფრო მეტად გაოცებული იყო მერი. ეს რა ამბავია, რატომ გაუთხრიათ აქაურობაო, ვერ გაეგო.

— კირქვას ამზადებენ! — უთხრა გუბაზმა.

მისმა პასუხმა გოგონა ვერ დააკმაყოფილა.

— რისთვის?

გუბაზმა დაიწყო იმის მოყოლა, რაც კირქვის კარიერების შესახებ იცოდა. სიტყვა სანდრო პაპამ შეაწყვეტინა.

— აგერ, მატარებელს ხომ ხედავთ, მაგ ადგილას მშვენიერი მთა იდგა. ათი წლის წინ კირქვის მომპოვებლებმა იმ მთის „ათვისება“ დაიწყეს. ანგრიეს და ანგრიეს საცოდავი, ლესვისაგან შეჭმული ცულივით ყუამდე დაიყვანეს. დახრეს და გაატიალეს. მერე რა კარგად უხდებოდა ის მთა ამ არემარეს, ალაზნის ველისკენ მიქცეული ფერდობი, თითქოს ხელეჩოთი ჩამოუთლიათო, კლდოვანი ჰქონდა. განთიადისას, როცა კავკასიონის მთებიდან მზე წითლად ამოშუქდებოდა, მაგის ყურებას არაფერი ჯობდა. მთის შიშველი მხარე მზის სხივებზე ვარდისფრად ელვარებდა. აიწევდა მზე მაღლა-მაღლა, წითელი ფერი გამარჯანისფერდებოდა და მთის კალთაც მარჯნის ფერს დაიდებდა... მთა დაანგრიეს, გაზიდეს და გაქრა ის სილამაზე. მთასთან ერთად დაიღუპა ტყე, მცენარეები, სხვა ადგილები მოძებნეს ფრინველებმა და ცხოველებმა. ეხლა ჯერი კბილამთაზეა, ამასაც უპირებენ შეჭმას.

მოულოდნელმა ამბავმა უსაზღვროდ განაცვიფრა მერი.

— სანდრო პაპა, განა კბილამთასაც უპირებენ დანგრევას?

— უპირებენ, შვილო, უპირებენ!

— მერე ტაძარი? მღვიმე? ტყე?..

— დაიღუპება!

მერის არ უნდოდა, რომ სანდრო პაპას ნათქვამი ერწმუნა. კბილამთის მოსპობა ვერ წარმოედგინა. ეჭვი გამოთქვა, იქნებ ტყუილიაო.

— არა, შვილო, სარწმუნოა, — დაბეჯითებით თქვა სანდრომ. — ამას წინათ იქითა მხრიდან კარიერებზე ცხენით გადმოვიარე. დაბლა, მთის ძირამდე მოვედი. ვხედავ, მთის კალთაზე ბულდოზერი მუშაობს. აგერ ის გზა, საკირის ზემოდან რომ გადმოდის, აქეთ გამოუგრძელებიათ. ბულდოზერის მემანქანეს ვკითხე, რა ამბავია, კბილამთასაც ხომ არაფერს უპირებენ-მეთქი და, დიახო, მალე აქაც კარიერს გამართავენო. ძალიან შევწუხდი. მატარებელი რომ მოჩანს, იმას იქით კირქვის კარიერების სამმართველოა, ცხენი მოვაბრუნე და წავედი. ვიკითხე. მართალი გამოდგა მემანქანის ნათქვამი. მერე ვილას არ ვუთხარი, ვის არ ვეღრიჯე: ნუ დაანგრევთ კბილამთას, მასთან ერთად ბევრი რამ იღუპება, კირად და ნაგვად ნუ გადააქცევთ, მომავალ თაობებს ნუ გაველანძღვინებით-მეთქი. არავინ დამიგდო ყური. აი, ამ ქვას რამე ესმის? — სანდრომ კირქვის ლოდს ჯოხი მიუკაკუნა, — ისე იმათ ვერაფერი გავაგებინე. დამცინეს კიდეც. წადი, რაც გაკისრია, იმას მიხედე, ტყიდან ოფოფები არ გაგიფრინდნენო. არც ჩემმა სატყეო მეურნეობამ დამიჭირა მხარი, დამტოვეს პირში ჩალაგამოვლებული. ვის მივმართო? მარტო ისღა დამრჩენია, დავანებო ტყეს თავი, შინ დავჯდე და მთის ნგრევა-გაპარტახებას აღარ ვუყურო მაინც.

ყმაწვილები სულგანაბულები უსმენდნენ სანდროს, გულზე დარდი შემოსწოლოდათ. ნუთუ კბილამთის ადგილზეც ისეთივე თეთრი უდაბნო გაბატონდება, როგორიც ქვევით მოჩანდა?

მერიკო სანდრო პაპასთან მივიდა, თანაგრძნობის ნიშნად ლოყაზე აკოცა და თქვა:

— კბილამთას არავის დავანგრევინებთ, სანდრო პაპა, განა ქვეყანა ჩალით არის დახურული. მე და გუბაზი ამოგიდგებით მხარში, მთის გადასარჩენად ერთად ვიბრძოლოთ.

აქამდე მდუმარედ მდგომმა გუბაზმაც ხმა ამოიღო:

— გუშინ სანდრო პაპას დავპირდი, რომელიმე რედაქციას წერილს მივწერ-მეთქი.

— მივწეროთ. — მაშინვე დაეთანხმა მერი.

— რამდენ ხანში მივა წერილი თბილისში?

— ორ-სამ დღეში!

— რომ დააგვიანოს?

— ჩვენ თვითონ წავიდეთ და წავიღოთ. ხვალ დილითვე გავყვეთ მანქანით მამაჩემს. მივალთ რედაქციაში, მოვუყვებით, რაც უჭირს კბილამთას. აი ნახავ, თუ არ დაგვეხმარებიან!

— სანდრო პაპაც ხომ არ წავიყვანოთ? — გუბაზმა პაპას შეხედა. დაღვრემილი ტყისმცველი ჯოხს ხელებით ჩამოყრდნობოდა და სივრცეში იყურებოდა. ფიქრებში წასულს ყმაწვილების საუბარი არ ესმოდა.

მთა-მთა ხეტებით დაღლილებმა და მოშიებულებმა საყარაულოს რომ მოაღწიეს, უცნაური ამბის მოწმენი გახდნენ. პატარა მინდვრიანზე ტყისკენ ლაბადიანი კაცი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ხელები მაღლა აეწია და თითქოს აბეზარ ბუზებს იგერიებსო, გამალებით ჰაერში იქნევდა.

— რა დაემართა იმ კაცს, გიჟი ხომ არ არის, სად გარბის? — იკითხა მერიმ და გაიცინა.

ლაბადიანი კაცი ტყეში შევარდა.

— ის არის, პაპა, ის! — შესძახა გუბაზმა და პაპას შეხედა, — ვერ იცანი?

სანდრომ თავი დაიქნია.

— როგორ ვერ ვიცანი, თხლეპოა!

— რამ დააფეთიანა, ვითომ ჩვენ რომ დაგვინახა, იმიტომ დაფრთხა?! — გაუკვირდა გუბაზს.

— არა, სხვა მიზეზია. ეგ უწმინდური საყარაულოს სიახლოვეს უამბოდ არ მოვიდოდა. მოიცათ, მოიცათ, სანდრომ ლატნების ღობიდან ეზოს გადახედა, — ხომ ვთქვი, ნახეთ, რა უქნია მაგ უპატრონოს!

ყმაწვილებს გულსატკენი სურათი გადაეშალათ თვალწინ. იმათ იქ არყოფნაში თხლეპოს ბოსტნეულის ნათესი დაერბია. მიწის პირზე ეყარა პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის ჩითილები; ფეხით გაექელა ნივრისა და ხახვის კვლები, დაემტვრია ხეხილის ნერგები. დათვივით დაერბია საფუტკრეც, ოთხივე სკა გადაეყირავებინა. ჰაერში შავი ღრუბელივით ტრიალებდა ფუტკარი. ისინი ბრაზიანი ბზუილით დაჰქროდნენ და სკებიდან გადმოცვენილ ჩარჩოებს ეხვეოდნენ.

ფუტკრებს რომ არ დაეკბინათ, სანდრომ გუბაზი და მერი საჩეხში დატოვა. თვითონ ქოხიდან პირბადე გამოიტანა, თავზე ჩამოიმხო და სკებს მიაშურა, სწრაფად წამოაყენა, თავ-თავის ადგილზე დადგა, შიგ ჩარჩოები ჩაალაგა, გაასწორა დ სახურავები მოარგო.

სკები რომ მოაწესრიგა, საყარაულოსკენ წამოვიდა, პირბადე მოიხსნა.

— არ გიკბინეს ფუტკრებმა, სანდრო პაპა? — ჰკითხა მერიმ.

— არაფერია, ფუტკრის შხამს ჩემი ორგანიზმი მიჩვეულია. იმას რა ეშველება, იმ საცოდავ თხლეპოს. ფუტკრები რჯულამდე გაჰყვებიან. ისე დაკბენენ და დაასიებენ, მშობელი დედაც ვერ იცნობს! — მიუგო სანდრომ.

— თურმე იმიტომ გარბოდა შლეგიანივით! — გაიცინა მერიმ, ტყისკენ გაქცეული თხლეპო რომ გაახსენდა.

— აი ასე იქნევდა ხელებს! — გუბაზმა თავს ზემოთ ხელები აიქნია და რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა, თხლეპოს გამოაჯავრა.

— ამ ქვეყნად სიავკაცე არავის შერჩენია და სამაგიერო მალე მიერგუნა. თფუი მაგის კაცობას! — სანდრომ ზიზღით გვერდზე გადააფურთხა. ცხენის სადგომიდან თოხი და ფოცხი გამოიტანა. ყვაწვილების დახმარებით

აკრიფა და ეზოს გარეთ გადაყარა დაწყვეტილი ან მომტვრეული ჩითილები, რის გახარებაც შეიძლებოდა, ისევ მიწაში ჩარგეს; ფეხზე დააყენეს და გაამაგრეს ლობიოს ჭიგოები. როგორც შეეძლოთ, ბოსტანი მოაწესრიგეს. დაწყნარდნენ ფუტკრებიც, ჰაერში აღარ ისმოდა მათი გაჯავრებული ზუზუნი.

სანდრომ, მერიმ და გუბაზმა ხელები გადაიბანეს. მაგიდაზე საჭმელი დაალაგეს და მადიანად შეუდგნენ ჭამას, თან იმ დღის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ამ საუბარში მოტოციკლის ხმა შემოესმათ, ტყის მხრიდან მილიციის ინსპექტორი მოჰქროდა...

სანდრომ სუფრა მიატოვა და კარლოს შესაგებებლად გაემართა.

მოტოციკლი ეზოს კართან მოგრიალდა. ინსპექტორმა მოტორი გამორთო და, ძირს ფეხი არ გადმოუდგამს, ისე დაიძახა:



— სანდრო, ჰაი, სანდრო!

— რა იყო, კაცო, აქა ვარ! — გაეხმიანა სანდრო და ჭიშკარი გამოაღო.

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს. გადმოდი, რა მანდედან იყურები, კაცო!

— მეჩქარება, გადმოსასვლელად სადა მცალია! მოდი ახლო, რაღაც უნდა გითხრა.

ინსპექტორმა და ტყისმცველმა ხმას დაუწიეს. რა ილაპარაკეს, მერის და გუბაზს არ გაუგონიათ.

ეტყობა, სანდრომ დაიყოლია ინსპექტორი. ის მოტოციკლიდან გადმოვიდა, ტყისმცველთან ერთად ლაპარაკით საჩეხისკენ გამოსწია.

გუბაზმა შეატყო, რომ პაპას გუნება შესცვლოდა, სუფრას უხალისოდ მიუჯდა, სამაგიეროდ, როგორც გუშინ, ხალისიანად იყო კარლო. პურის ნაჭერი აიღო და ღიმილით იკითხა, ეს ლამაზი გოგონა ვისი გორისაა.

— ჩემი მეგობრის შვილიშვილია! — უპასუხა სანდრომ.

— სტუმარი ყოფილა, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ლამაზი და კარგი გოგო-ბიჭები, — თქვა კარლომ ლუკმის ღეჭვით და გუბაზს მიუბრუნდა:

— ვაჟკაც, პაპაშენს რომ თავს არ ანებებს გამომძიებელი? დღეს პროკურატურაში იბარებენ.

გუბაზმა პაპას შეხედა.

— მართლა გიბარებს გამომძიებელი, პაპა?

სანდრომ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— გუშინ ისე დამემუქრა, უამბოდ ჩაატარებს?

— არ წახვიდე, სანდრო პაპა! თუ კარგია, თვითონ მობრძანდეს აქ, — ჯავრი მოუვიდა გამომძიებელზე მერის.

— არაფერია, — ხელი უდარდელად ჩაიქნია ინსპექტორმა. — ახალგამომცხვარი გამომძიებელია. მალე მიხვდება, რომ, რასაც იძიებს, მტკნარი სიყალბეა. გუშინ აქედან რომ წავიყვანე, განა გზაზე არ ველაპარაკე?! მე, ჩემო კარგებო, ოცი წელია, მილიციას ვემსახურები და ემაგისთანა რამეები ცხოვრებაში ბევრი მინახავს.

— კარლო, კარგი, მე გამოგყვები გამომძიებელთან, — დათანხმდა ტყისმცველი ინსპექტორს, — მაგრამ ესენი? ტყეში მარტოდ ხომ ვერ დავტოვებ?!

— აქ რა უნდათ, კაცო, ამათ ტრასამდე ჟავიყვანთ. ემანდ არ არის? ავტობუსში ჩავსხათ და შინ წავლენ, რა გაყოლა უნდათ. საბავშვობაღელები ხომ არ არიან?!

— ამ გოგოს მამა მოსასვლელია, — სანდრომ თავი მერისკენ გადაიქნია, — დაპირებულები ვართ, საღამომდე აქ დაველოდოთ!

— თრთვილა, პაპა? — შეახსენა გუბაზმა სანდროს.

— ხო, ცხენიც, იქ რომ შევფერხდე, ცხენს ვინ მიმიხედავს?!

ინსპექტორმა მაინც უკან არ დაიხია.

— მაგეების წამალი მე ვიცი. ქაღალდზე ამ ბავშვების კოორდინატები დავწეროთ, სად იქნებიან, და ჭიშკარზე მივაკრათ. ცხენი ებას საბალახოზე, ჯერ ხომ ადრეა. გამომძიებელთან საქმეს რომ მორჩები, წამოგიყვან, მორჩა და გათავდა.

გუბაზს არ უნდოდა პაპის მიტოვება და სოფელში წასვლაზე სასტიკი უარი განაცხადა. პაპას უთხრა, შენთან ერთად წამოვალო.

— მეც წამოვალ თქვენთან, სოფელში რა მინდა! — წამოიძახა მერიმ.

ინსპექტორი ტყისმცველს მიუბრუნდა:

— რას იტყვი, სანდრო, ესენიც წავიყვანოთ რაიონში?

— სამივე დავეტევით?

— ჩემს შამილაზე? მაშ, კაცო! შენ უკან შემომიჯდები, ესენი გვერდით ძარაში ჩასხდებიან, ერთი კაცი კიდევ რომ გვყავდეს, გაჭირვებაში იმასაც მოვუძებნიდი ადგილს! — სიცილით დაამთავრა თავისი გადაწყვეტილება ინსპექტორმა.

მალე ინსპექტორის მძიმედ დატვირთული „შამილა“ რაიონის ცენტრისკენ მიჰქროდა.

●

სასამართლო-პროკურატურის შენობის წინ ვიწრო ქუჩაა, მთელ მის გაყოლებაზე სასეირნო ბაღია. ვიღაცას „ბებრების ბაღი“ შეურქმევია. იქ მეტწილად ხნიერი ხალხი — პენსიონერები იყრიან თავს. სხედან მათსავით ასაკოვანი ცაცხვებისა და ფიჭვების ჩრდილში ჩამორიგებულ, მწვანედ გადაღებილ გრძელ სკამებზე და წყნარად საუბრობენ. ზოგჯერ ჩუმად, უმძრახებივით არიან. ჩაფიქრებული სახეებით გასცქერიან ფერადი მოზაიკით აჭრელებულ აუზს, რომლის შუაგულში ლურჯზურგიანი დელფინი ამართულა და პირიდან შადრევანს აფრქვევს.

„ბებრების ბაღს“ უცხო ხალხიც ესტუმრება ხოლმე, ისინი ხშირად სასამართლოში ან პროკურატურაში გამოძახებულები არიან. ზოგჯერ იმდენი კაცი და ქალი იყრის თავს, ბაღში სკამებზე ტევა აღარ არის. ლოდინითა და ფეხზე დგომით გაბეზრებულები მრგვალი აუზის ვარშემო ჩამორიგდებიან და იცდიან.

კარლომ თავისი „შამილა“ პროკურატურის წინ რომ მოაქროლა, ბაღი გამოცარიელებული იყო. ცხელოდა და ალბათ ულალატო, მუდმივი სტუმრები მზეს მოერიდნენ, შინ დარჩენა არჩიეს.

— ბავშვებო, თქვენ აგერ იქ, ბაღში დაგვიცადეთ, მე მგონია, მალე გამოვალთ, — უთხრა ინსპექტორმა გუბაზსა და მერის.

ისინიც ბაღში შევიდნენ, აუზის ახლოს სკამზე დასხდნენ და შადრევანს მიაჩერდნენ.

გუბაზს ეფიქრებოდა: ერთიც ვნახოთ, სანდრო პაპამ თავისი ალალმართლობა ვერ დაამტკიცოსო, გულში ჯავრობდა, მშობლებს ემდუროდა, რაღა ახლა არიან ზღვაზე წასულები, როცა პაპას უჭირს. აქ რომ იყვნენ, გამოექომაგებოდნენ, საქმის გასარკვევად ვინმეს ჩარევდნენო.

მერიმ გუბაზის გამხიარულება სცადა. ჯერ ის უამბო, წლეულს იანვარში მთელი მათი მეშვიდე კლასი „შატალოზე“ რომ წავიდა. მექსიკურ ფილმზე უნდოდათ დასწრება, მაგრამ ბედი არ გინდა? დენი გამოირთო. ყველა ხახამშრალი დარჩა, ვერც კინო ნახეს და სკოლის დირექტორის საყვედურიც დაიმსახურეს.

— ჩვენთან ერთად შატალოზე გურამიც წამოვიდა, — განაგრძობდა მერი. — ის მამასთან ერთად ავარიაში მოყვა. მარცხენა ფეხი მოკვეთილი აქვს და ყავარჯნით დადის. ვთხოვეთ, დარჩენილიყო. მაგრამ, თუ ამხანაგები ვართ, ერთად უნდა ვიყოთო. შარშან ქართული ენის მასწავლებელმა დაფაზე სასვენი ნიშნების გარეშე ასეთი წინადადება დაწერა: „საწყალი ბეჩავი ქუჩი ვარ შემიბრალე“ და გურამს უთხრა:

— აბა, ჩემო გურამ, მიკარნახე, ამ წინადადებაში სად რა ნიშანი მივუწეროო?

გურამმაც უკარნახა: „საწყალი, — მძიმე, ბეჩავი ქუჩი ვარ — მძიმე, შემიბრალე — ყვირილის ნიშანი“, მასწ.

აუ, რა სიცილი ატყდა კლასში! გურამი ჯერ აზრზე არ იყო, გაოცებული გვიყურებდა, რა აცინებთო, მერე მიხვდა და ისიც აგვყვა. იცინოდა დარიკო მასწავლებელიც! — ამბობდა მერი და კისკისებდა.

— ყვირილის ნიშანიო?! — გაიმეორა გუბაზმა და ნაძალადევად გაიღიმა. თვალი უკან, პროკურატურისკენ გაურბოდა, ეჩვენებოდა, რომ პაპა იქ დიდხანს დარჩა.

უცებ მერიმ სიცილი შეწყვიტა, ფეხზე წამოხტა და წამოიძახა:

— ეაი, რა მომაგონდა, გუბაზ?!



ბიჭი მისკენ შეტრიალდა.

— რა?

— ჩქარა, წამოდი!

მერიმ ხელი ხელში ჩაავლო, მძლავრად მოქაჩა.

— ადე, ბიჭო!

— სად მივდივართ, გოგო, არ იტყვი?

— რაიკომში!

— რაიკომში რა გვინდა!

— სანდრო პაპას რაც უჭირს, იქ ვინმეს მოვუყვებით, დახმარება ვთხოვოთ!

გუბაზი უწადინოდ ადგა. გაყოლა არ უნდოდა, ერჩივნა, სანდრო პაპასთვის ბაღში მოეცადა, მაგრამ მერიმ არ დააყენა, ჩქარა, ნუ ზოზინობ, წავიდეთო.

— სად არის რაიკომი, იცი მაინც?

— ვიცი, ამას წინათ სოფლიდან მამას გამოვყევი, საქმე ჰქონდა, აქ სადღაც ახლოს არის!

ბავშვებმა „ბებრების ბაღი“ გადაჭრეს და ჩქარი ნაბიჯით აღმართიან ქუჩას დაადგნენ. ქუჩამ მაღალი შენობებით, მაღაზიებითა და კინოთეატრით დამშვენებულ, სტადიონისხელა მოედანზე გაიყვანა ისინი. მერიმ მოედნის ერთ მხარეს გრძელი, ოთხსართულიანი შენობა დაანახვა გუბაზს.

— აგერ ის არის რაიკომი!

რაიკომის პირველ სართულზე შესასვლელში ხნიერი კაცი დახვდათ და ჰკითხათ:

— ვისთან მიდიხართ, ყმაწვილებო?

— რაიკომის მდივანი გვინდა, ძია! — მიუგო მერიმ.

— მეოთხე სართულზე ადით, ოღონდ, წყნარად, — დაარიგა იმ კაცმა ყმაწვილები.

იმათაც აირბინეს სამი სართული და მეოთხეზე პირდაპირ პირველი მდივნის მისაღები ოთახის წინ აღმოჩნდნენ.

კარი მერიმ შეაღო. მისაღებში კედლებთან მიდგმულ სკამებზე რამდენიმე კაცი და ქალი იჯდა. ზოგი ფეხზე ტრიალებდა, ერთმანეთს დაბალი ხმით ელაპარაკებოდნენ. მდივნის კაბინეტის კართან ახლოს ტელეფონის აპარატებით სავსე მაგიდა იდგა. მაგიდას თეთრ პერანგში გამოწყობილი ჭაბუკი მისჯდომოდა და ტელეფონით საუბრობდა, მაგარყდიან წიგნაკში ფანქრით რაღაცას იწერდა.

გუბაზმა ბევრი ხალხი რომ დაინახა, მოსაცდელის კართან შეყოყმანდა, მოიცაო, გადაუჩურჩულა მერის. მან კი თითქოს ვერ გაიგოო, ბიჭს ანიშნა, მომყევიო და პირდაპირ იმ ყმაწვილისკენ წავიდა, მის წინ მაგიდასთან გაჩერდა. მეტი რა ჩარა იყო, გუბაზი მიჰყვა, გვერდში ამოუდგა.

ახალგაზრდამ ორიოდე წუთს კიდევ ილაპარაკა ტელეფონით, შემდეგ ყურმილი დადო, წიგნაკი გვერდზე გასწია და ყმაწვილები შეათვალიერა.

— გისმენთ, ბავშვებო! მე მდივნის თანაშემწე გახლავართ.

— გამარჯობათ! — ღიმილითა და თავის დაკვრით მიესალმა მერი.

— გაგიმარჯოთ!

— მდივანთან გვინდა შესვლა, შეიძლება?

— მდივანი დაკავებულია!

— გეხვეწებით რა, შეგვიშვით?!

— არ სცალია, თბილისში, ცეკას ელაპარაკება, თანაც, ხომ ხედავთ, რამდენი ხალხი უცდის მიღებას! თქვენც ცოტა უნდა მოიცადოთ! — თქვა თანაშემწემ.

მერიმ ჯიუტად გაიქნია თავი:

— ვერ მოვიცდით!

— რატომ? — თანაშემწემ ხმაში წყენა გაურია.

— ძალიან საჭირო საქმე გვაქვს. სასწრაფოდ უნდა მოველაპარაკოთ! — განაცხადა გოგონამ.

— იქნებ უმისოდ გადავწყვიტოთ?

— მაპატიეთ და თქვენ ვერ გადაწყვეტთ!

— განა რა არის ამისთანა?! — გაოცდა მდივნის თანაშემწე. — ეგ მაინც მითხარით, მდივანთან რომ შეხვალ, რა მოვახსენო, ვინ ბრძანდებით, რა საკითხზე აპირებთ მასთან საუბარს?

მერიმ გუბაზზე ანიშნა:

— ამ ბიჭის პაპას იჭერენ!

— ვინ არის მაგის პაპა?

— ტყისმცველია!

— რამე დააშავა?

— არაფერი არ დაუშავებია. პირიქით, სხვებმა დააშავეს, დღეს... — მერის აღარ დასცალდა ბოლომდე ეთქვა, მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. მდივნის თანაშემწემ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო, ერთი წუთითო, სთხოვა მერის, ხოლო მარცხენათი ხინდროსფერი ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ, ბატონო ნუგზარ! დიახ, ახლავე...

მაგიდიდან მუყაოს თეთრყდიანი საქაღალდე აიღო, ყმაწვილებს მოუბოდიშა, მდივანი მეძახისო, და კაბინეტის კარი ფრთხილად გამოაღო. გუბაზმა მისაღებში მომლოდინე ხალხისკენ თვალი გააპარა და მერის ჩუმად უთხრა:

— ხედავ, რამდენი ხალხია მდივანთან? ურიგოდ ვინ შეგვიშვებს.

— ნუ გეშინია, ბავშვები არიანო, იტყვიან, არ დაგვემდურებიან, აი ნახავ! — დარწმუნებით თქვა მერიმ და აღარც გუბაზი გამოდავებია.

მდივნის თანაშემწე კაბინეტიდან მალე გამოვიდა და ყმაწვილებს კარზე ანიშნა:

— შედით, მდივანი გელოდებათ.

ამ მოულოდნელმა მიწვევამ ორივე გაახარა. თანაშემწეს მადლობა უთხრეს და კაბინეტში შევიდნენ.

დერეფანივით გრძელ კაბინეტში სასიამოვნოდ გრილოდა. მოედნის მხარეს ფანჯრებზე ჩამოფარებულ სალათისფერ ფარდებს კონდიციონერებიდან გამოტყორცნილი ჰაერის ნაკადი იალქნებივით აფრიალებდა. კაბინეტის შუაში თაფლისფერი, სარკესავით პრიალა, გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდის ბოლოში ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, მსხვილწარბება შავგვრემანი კაცი იჯდა. ყმაწვილებს თვალი შეავლო თუ არა, სავარძლიდან სწრაფად წამოდგა, სტუმრებს ღიმილით შეეგება, ხელი ჩამოართვა და მაგიდასთან მიიწვია, დაბრძანდითო, სკამები გამოუწია, თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

თურმე ადამიანისთვის გაბედულება რა დიდი განძი ყოფილა! მარტო გუბაზი რომ მოსულიყო მდივანთან, ალბათ ბრინჯივით დაიბნეოდა, დალაგებულად ვერ ეტყოდა სათქმელს. მერიმ კი ოდნავადაც არ დაირცხვინა, ისე შინაურულად გაუბა ლაპარაკი პირველ მდივანს, გეგონებოდათ, გუშინაც მასთან ყოფილიყო და ესაუბრნათ. ჯერ, რა თქმა უნდა, გამოეცნაურა. ვინ იყვნენ ის და გუბაზი, სადაურები, მერე სანდრო პაპას დახასიათებას მოჰყვა:

— ნუგზარ ძია (მდივნის სახელი გარეთ თანაშემწისაგან ტელეფონზე ლაპარაკისას გაიგო), გუბაზს პაპა რომ ჰყავს, მაგისთანა კარგ, ყოჩაღ ტყისმცველს მეორეს ვერ შეხვდებით!

— სასიამოვნოა! — ღიმილით თქვა მდივანმა და მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო.

— დედას გეფიცებით, — მერიმ გულწრფელი ფიცის ნიშნად მკერდზე ხელი მიიდო, — სიმართლეს მოგახსენებთ, სანდრო პაპა და ჩემი პაპა ნიკა დიდი ხნის მეგობრები არიან, სამამულო ომში ერთად იბრძოდნენ, კომკავშირში ერთად მიუღიათ... მერი ერთ წამს შეყოყმანდა, იფიქრა: მოდი, მდივანს ვაცინებ, ვიტყვი, ნიკა პაპამ კომკავშირში მიღებისას შეკითხვაზე რა უპასუხაო, მაგრამ უმალ გადაიფიქრა, უხერხული არ იყოსო და განაგრძო:

— ნიკა პაპა სულ სანდრო პაპას ქებაშია. მაგ კაცს ტყე საკუთარ თავს ურჩევნია, ეგ რომ არა, იქნებ კპილამთის მიდამოებში ერთი ხეირიანი ხე ველარ გვეპოვნა, ტყის ქურდები მთლად გააჩანაგებდნენო.

მდივანს სახე გამოუცოცხლდა, სავარძელზე გადაწვა, თავიააკანტურა.

— ვიცი, ვიცი, რაიონში ცნობილი პიროვნებაა, მეტსახელად ეძახიან... — მდივანმა შუბლი თითით მოისრისა, ვიდრე ის გაიხსენებდა, მერიმ მოაგონა:

— რკინის კეტს!

— დიახ, დიახ, რკინის კეტს! — დაეთანხმა მდივანი. — ეტყობა, პირდაპირი, მტკიცე ხასიათის კაცია. ამ გაზაფხულზე სატყეო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე სიტყვით გამოვიდა. მომეწონა. მეურნეობის დირექცია გააკრიტიკა, სატყეო სანერგეები ცოტა გვაქვს, ტყეს მცირე ფართობებზე ვაშენებთო. იქ გავიცანი. პატიოსანი ტყისმცველი ჩანს. მერე, მერე? განაგრძეთ!

— მერე რა და, ნუგზარ ძია, ლამის დარდმა შეჭამოს და გაათავოს სანდრო პაპა, — მერიკო ენაგადაყლაპულივით მჯდომი გუბაზისკენ მიბრუნდა, — ხომ ასეა, გუბაზ!

— კი, ასეა, პაპა ძალიან დარდიანია! — დაუდასტურა გუბაზმა და ვერ გაეგო, რატომ პირდაპირ არ ამბობდა მერი სათქმელს, რომ სანდრო პაპა გამომძიებელს პროკურატურაში ჰყავს გამოძახებული და მას შველა სჭირდება?

— რა დაემართა რკინის კეტს?! — დაინტერესდა მდივანი.

— კბილამთის ბედმა დაადარდიანა, ნუგზარ ძია, — მიუგო მერიმ.

— კბილამთის ბედმა?! — რაღაც საინტერესო ამბის მოლოდინში მდივანი სმენად იქცა.

მერიმ იფიქრა, შეიძლება მდივანმა არ იცის კბილამთის არსებობაო, და აუხსნა:

— ეს მთა კირქვის კარიერებთანაა, სანდრო პაპას საყარაულოს ახლოს.

— დიახ, კარიერებს ემიჯნება! — დაეთანხმა მდივანი.

— გცოდნიათ, — გაუხარდა მერის და უფრო ხალისიანად განაგრძო. — დღეს დილით მე და გუბაზი სანდრო პაპამ კბილამთაზე წაგვიყვანა. ავედით და, ნუგზარ ძია, მთა კი არა, სასწაულია, ზღაპარია. ჯერ რა მცენარე გინდათ, რომ ბოტანიკური ბაღივით, აქ არ ხარობდეს. ერთ თბილისელ ბიოლოგს ისეთი მცენარეც აღმოუჩენია კბილამთაზე, რომელიც დიდი ხანია საქართველოში გადაშენებული ეგონათ.

— მართლა? ალბათ ჩემს აქ ჩამოსვლამდე იყო, თორემ გავიგებდი, მე არაფერი მსმენია! — გაუკვირდა მდივანს.

— სანდრო პაპამ თქვა, იმ ბიოლოგს ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში“ დაუბეჭდავს წერილი თავისი აღმოჩენის შესახებ.

მდივანმა ფანქრით ქაღალდზე რაღაც ჩაინიშნა.

— განაგრძე, მერიკო, განაგრძე!

— კბილამთაზე ადრინდელ საუკუნეთა იშვიათი ძეგლიც ვნახეთ — პატარა ტაძარი. ტყიან ფერდობზე ჩიტის ბუდესავით არის შეყუჟული. შორიდან არ ჩანს. მისი არსებობა არავინ იცის. სანდრო პაპასაც შემთხვევით აღმოუჩენია, ბარდებისაგან გაუწმენდია და გაუსუფთავებია. ტაძრის ერთ კედელზე ძველი ქართული წარწერაა!

— მართლა? საინტერესოა, რა შინაარსის წარწერაა? — იკითხა მდივანმა.

გუბაზს კარგად ახსოვდა კედლის წარწერა და მერის დაასწრო, თავიდან ბოლომდე ხმამაღლა, უშეცდომოდ წარმოთქვა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი...“

მდივანმა ისევ ფანქარი მოიმარჯვა, ქაღალდზე სიტყვა „ტაძარი“ დაწერა, გარშემო ხაზები გაუკეთა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გადავყევით სოფლის მეურნეობას, მინდვრებსა და ფერმებში გვილამ-გვითენდება და ამისთანა საკითხებისათვის ვერ მოგვიცლია!

— მღვიმე! — წასჩურჩულა გუბაზმა მერის.

მდივანმა ტელეფონის ყურმილი აიღო, დარეკვას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, ყურმილი დადო და ბავშვებს სთხოვა, განაგრძეთო.

მერიმ მღვიმის შესახებაც ილაპარაკა. მდივანი უფრო განცვიფრდა. მართლა შესანიშნავი, უნიკალური მთა ყოფილა, რომელიმე დღეს ტყისმცველს გავიყოლიებ და აუცილებლად ვნახავო.

— ხოდა, ნუგზარ ძია, აი, ამისთანა მთას დანგრევას უპირებენ, მოსპობა ემუქრება. სანდრო პაპას გაუგია და იმიტომ არის დარდიანი.

რაიკომის მდივანი არ მოელოდა საუბრის ასეთ დაბოლოებას.

— ვინ ემუქრება კბილამთას დანგრევით?

— კირქვის მომპოვებლები! — მიუგო მერიმ. — კბილამთა ხომ კირქვის ქანებისაგან შედგება. მე და გუბაზმა ვნახეთ, მთის აღმოსავლეთ ფერდობზე სამანქანე გზა მიუყვანიათ, მალე ნგრევას დაიწყებენ!

მერის ნათქვამს გუბაზმა დაუმატა:

— სანდრო პაპა ამბობს, ადრე რაიონის ხელმძღვანელთა წაყრუებამ და გულგრილობამ სხვა მთა-გორაკებიც შეიწირა კირქვის გულისთვისო. ეხლა კბილამთას დაადგეს თვალი, ვის შევჩივლო ჩემი დარდი, რომ მთა არ მოსპონ, თეთრ უდაბნოდ არ აქციონო.

— გასაგებია, — თქვა მდივანმა, — სანდრო პაპა სამართლიანად წუხს. კბილამთის ბედმა მეც ჩამაფიქრა. მიხარია, რომ მოხვედით და გამაგებინეთ. ნეტავი სხვა ბავშვებიც თქვენსავით იქცეოდნენ, თქვენ ხომ უფრო ახლოს ხართ ბუნებასთან? თქვენი თვალი ბევრჯერ იმისთანა რამეს ამჩნევს, რასაც ჩვენ, უფროსები, ვერ ვხედავთ. რამდენი მოუწესრიგებელი საკითხის მოგვარებაში შეგიძლიათ დაგვეხმაროთ, ამისათვის დღევანდელი მაგალითიც კმარა. გმადლობთ, ყმაწვილებო. პირობას გაძლევთ, რომ თეთრი უდაბნო შორს ვერ წავა. კბილამთას ვერავინ დაანგრევს, ერთ კენჭსაც ვერ მოაფხვნიან.

მდივანმა ყურმილი აიღო, თანაშემწეს ელაპარაკა, დღეს შვიდ საათზე თათბირია და ესა და ეს ხალხი გამოიძახეო, გვარები ჩააწერინა. ყურმილი დადო და ბავშვებს გადახედა. ისინი გახარებულები, თვალებგაბრწყინებულები შესცქეროდნენ მას. ცხადია, იმ სასიამოვნო დაპირების შემდეგ ნუგზარ ძიასათვის მადლობა უნდა ეთქვათ და გამომშვიდობებოდნენ, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობდნენ, ფეხს იბორძიკებდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ ა მ   კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი

## გაზაფხული

შემოვიდა გაზაფხული ცისარტყელას ფერებით,
ყურებს დაცქვეტს ყოჩივარდა, ველები და სერები.
სოფელ-სოფელ ჩაუყვება ნაკადულის ლიკლიკით,
ჩამოიტანს მთების ზღაპრებს ეს უენო შიკრიკი.

აუქროლებს, ჩაუქროლებს მარტში დამბალ გზა-შარებს,
უცბათ თვალში მოგაფეთებს თეთრი ტყემლის მაშხალებს.
ისე კოხტად გაგაცურებს, აღარც უნდა იდავო,
თვალხელშუა გადაპენტავს გატიტვლებულ მიდამოს.

გადაიცვამს ჩითის კაბას, ეზო-ეზო მოირბენს,
კაციშვილი ვერ მიხვდება ამ აპრილის ოინებს...

ზამთარს ნეკნებს ამოუყრის, დაუფეთებს ანგელოზს,
ზურგზე ცხელ მზეს დააცხუნებს, რომ სიცოცხლე
აგემოს.

ხნულებს მარცვალს გაუღვივებს ერთიასად მოსამკელს,
გადაამსხვრევს ყინვის ლოდებს, ერთიანად მოილევს,
კაციშვილი ვერ მიხვდება ამ აპრილის ოინებს...

მერე ბარად მოვარდება ნიაღვრების ბღავილით,
ზეცას გულმკერდს გადაუშლის ჭრელაჭრულა ყვავილით.
და კვირტებსაც შიშისაგან დაუსკდებათ გულები,
დაფრთხებიან ხატპეპლები — წუთისოფლის მდგმურები.

და კეთილად დამთავრდება ოინები აპრილის,
ვით მოვიდა, ისე წავა გუდანაბადაყრილი...



## ყაყაჩო

ეს ლექსი დიდხანს მიცდიდა,
რომ მეთქვა შენი ღირსი:
შენ ხარ
ქართული
მიწიდან
ამოხეთქილი
სისხლი!
ვდგავარ სიონის სანთლებთან
და კრწანისიდან ისმის:
ყაყაჩო არის
ქართველთა
ამბოხებული
სისხლი!

## ქარი



ხეს
ხე
ისე
დაეჯახა
ქარში,
თითქოს ჰქონდეთ გასაყოფი რამე.
შეშლილივით
შემოვარდა
სახლში
და მიუყვება ათასნაირ ამბებს...

მდივანს ეგონა, კარგად ვერ მიმიხვდნენ, რასაც შევპირდიო, და მტკიცედ, გამოკვეთილად გაიმეორა:

— კბილამთას ერთ კენჭსაც ვერ მოაფხვნიან, არავის მივცემთ უფლებას, რომ დაანგრიონ! ასე შეგიძლიათ გადასცეთ სანდრო პაპას!

ყმაწვილებმა მადლობა გადაუხადეს მდივანს და უთხრეს, რომ ერთი სათხოვარი კიდევ ჰქონდათ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — წააქეზა ისინი მდივანმა.

— შენ თქვი, გუბაზ! — უთხრა მერიმ ბიჭს.

გუბაზმა სანდრო პაპასა და გამომძიებლის გუშინდელი შეხვედრის ამბავი უამბო. ისიც დაუმატა, ახლა პაპა პროკურატურაში გამომძიებელთან არისო.

— ერთი წუთით მადროვეთ, — მიმართა მდივანმა ყმაწვილებს და ტელეფონის ნომრები აკრიფა. — ბატონო ალექსანდრე, თქვენთან პროკურატურაში გამომძიებელთან ტყისმცველი ყოფილა, დიახ, სანდრო ინაშვილი, რკინის კეტს ეძახიან, ვილაც უჩივის... დიახ, საქმის კურსში ხართ, ხომ?.. რაო, ცილისმწამებლური განცხადება გამოდგა? ბოდიშიც მოუხადეს? ძალიან კარგი. მე ვიცნობ, პატიოსანი კაცია და მაგიტომ შეგაწუხეთ. კეთილი, კეთილი, კარგად იყავით!

მდივანმა გუბაზს გაუცინა.

— შენი პაპა თავისუფალია, მომჩივნებს ბოდიშიც მოუხდიათ, შევცდითო, დღეს პროკურატურაში მაგიტომ დაუბარებიათ.

სიხარულისაგან სახეწამოწითლებული გუბაზი ადგა. ერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გაქცეულიყო კაბინეტიდან, რომ სანდრო პაპას შეხვედროდა.

არანაკლებ აღტაცებული იყო მერი. ის მდივანთან მივიდა, კისერზე ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

— გმადლობთ, ნუგზარ ძია!

მდივანი სავარძლიდან წამოდგა. ორივეს ხელი მაგრად ჩამოართვა, შუაში ჩაუდგა და კაბინეტის კარამდე მიაცილა.

მერე არც ერთს აღარ ახსოვდა, როგორ გაიარეს თანაშემწის ხალხით სავსე ოთახი. რაიკომის კიბეზე კისრისტეხით დაეშვნენ და მზით გაფიცხებულ ასფალტიან მოედანზე გაიჭრნენ.

პროკურატურასთან შორიდანვე სანდრო პაპას და ინსპექტორს მოჰკრეს თვალი. ტყისმცველს მხარზე თავისი განუყრელი ორლულიანი თოფი გადაეკიდა და ყმაწვილების მოლოდინში მხიარულად მოსაუბრე კარლოს მდუმარედ უსმენდა.

## ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ

# ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲗ!

ნანა
ფავლენიშვილი

იცვლებიან თაობები... ერთნი მშობლიურ სასწავლებელს ემშვიდობებიან, ახალბედები კი მათთვის უცნობ ჯადოსნურ სამყაროში შებიჯებენ. აქ მათ ხვდებიან მასწავლებლები, ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში ნათელსა და წმინდას აზიარებენ, აფაქიზებენ და ამშვენიერებენ მოზარდების სულიერ სამყაროს.

ამჯერად მინდა გაგაცნოთ ხელოვნების მაღალი იდეალების პროპაგანდისტი, სახელოვანი მუსიკოს-შემსრულებლებითა და მდიდარი ტრადიციებით გამორჩეული ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, პედაგოგი ლაურა იაშვილი, რომელსაც საყვარელი საქმის სამსახური ბედნიერებას ანიჭებს და მისი აღზრდილების წარმატებანი განუზომელ სიხარულს ჰგვრიან.

— ჩემი როიალი — ჩემი ცხოვრებაა! — იწყებს საუბარს ქალბატონი ლაურა. — ის ჩემი მესაიდუმლეა. მას ვანდობ ჩემს ნაზრევს, ჩემს ოცნებებს, ჩემს გასაჭირსა და სიხარულს! — ეს ჩემი სიტყვები არაა, ისინი გენიალურ უნგრელ პიანისტსა და კომპოზიტორს, ფერენც ლისტს ეკუთვნის. მეც ბევრი ფიქრი და ოცნება გამინდვია როიალისთვის; როცა ვუკრავდი, ჩემთვის მხოლოდ მუსიკა არსებობდა, დავფრინავდი მის ზღაპრულ სამყაროში და თითქოს სულიერად ვიხვეწებოდი, ვიწმინდებოდი, ვძლიერდებოდი.

— ქალბატონო ლაურა, მუსიკისადმი ესოდენ ძლიერი ლტოლვის გაღვიძებაში ალბათ ოჯახურმა ტრადიციებმა ითამაშა როლი...

— დიახ, ჩემი ოჯახი მუსიკალური ტრადიციებით მდიდარი ოჯახი იყო. დედ-მამისა და ახლო ნათესავების საშემსრულებლო ოსტატობამ სურვილი გამიჩინა, მეც მალე ვზიარებოდი მუსიკალურ სამყაროს.

პირველი გაკვეთილები... პირველი გაუბედავი ნაბიჯები... გოგონას ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მისმა პირველმა მასწავლებელმა, ქალბატონმა სუსანა ელიავაგაბუნიამ, რომელიც ქართველ პიანისტ-პედაგოგთა სკოლის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება.

შემდეგ — ზ. ფალიაშვილის ცენტრალური სამუსიკო სკოლა, ელენე მგალობლიშვილის საფორტეპიანო კლასი, საშემსრულებლო ოსტატობის გამომუშავება, შეუპოვარი შრომა, ვარჯიში და პირველი კონცერტი, პირველი აღიარება...

— არასოდეს დამავიწყდება ის კონცერტი, რომელზედაც მე და ჩემმა სათაყვანო მასწავლებელმა ანასტასია ვირსალაძემ შევასრულეთ ჩემი უსაყვარლესი კომპოზიტორის, სერგეი რახმანინოვის კონცერტი.

ქალბატონ ლაურას თავმდაბლობით უნდა ავხსნათ, რომ იგი არ ახსენებს, სკოლაცა და კონსერვატორიაც რომ ბრწყინვალედ დაამთავრა. უდავოდ, მომავალში იგი ერთ-ერთი უნიჭიერესი მუსიკოს-შემსრულებელი გახდებოდა, საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა, მაგრამ...

მეორეკურსელი ქალიშვილი მსახიობ გივი თოხაძის მეუღლე გახდა და შესანიშნავი ტკბილი ქართული ოჯახი შექმნა. ოჯახმა კი უამრავი დრო და ენერგია მოითხოვა ახალგაზრდა დიასახლისისაგან. სათნო მეუღლე და თბილი დედა დღეს სამი ვაჟკაცის — კონსტანტინეს, ოთარისა და მამუკას — სულიერი მეგობარი და მესაიდუმლეა.

გავიდა წლები... და აი, კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდა ქალმა პირველად შედგა ფეხი მეორე სამუსიკო სკოლაში და ნორჩ ხელოვანთა აღზრდას მოჰკიდა ხელი. უმალ დაიკავა თავისი ადგილი, როგორც მცოდნე, მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგმა, თავისი პროფესიონალიზმით, ფაქიზი ზნეობით, სიახლის გრძნობითა და [illegible] არი პედაგოგიური ალღოთი მან [illegible] ძლო ჩვენი ნორჩი თაობის სულის სიღრმეში ჩაწვდომა. მისი ესთეტიკური და მუსიკალური განათლების გაღრმავება. ამაგდარი პედაგოგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აგერ უკვე 32 წელია, რაც იგი აქ მუშაობს და კოლექტივში ცნობილია, როგორც თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, თავმდაბალი, გულისხმიერი და, ამავე დროს, მომთხოვნი და სამართლიანი მასწავლებელი.

მრავალმა მალხაზმა ბიჭუნამ და თვალხატულა გოგონამ გაიარა ქალბატონი ლაურას ხელში და თითოეულ მათგანს მოარგო მან თავისი გასაღები, შესძლო შეხებოდა თითოეული მათგანის სიღრმისეულ სულიერ სიმებს.

— ...პირველი გაკვეთილიდანვე ვცდილობ, ბავშვის ბუნებრივი ნიჭი გამოვავლინო, ორგანიზებულობას, წესრიგს მივაჩვიო, რადგან მუსიკალურ მონაცემებთან ერთად მნიშვნელობა აქვს მტკიცე ნებისყოფას.

მშვიდ, დამაჯერებელ ტონს, ყურადღებასა და მოთმინებას თავისი შედეგი მოაქვს. ამ მეთოდით ვმუშაობ ამ წლების განმავლობაში და ჯერ მას ჩემთვის არ უღალატნია. ჩემი მოსწავლეები ჩემი შვილები არიან. მხოლოდ მშრალი გაკვეთილებით ვერ გავუღვივებთ მოზარდს სწრაფვას მშვენიერებისაკენ, ამიტომ ხშირად დავდივართ თეატრებში, ოპერაში, კონცერტებზე. შემდეგ კი ვარჩევთ და ვაანალიზებთ ნანახსა და მოსმენილს. მუსიკაში დროის ფაქტორი არ არსებობს. შეუძლებელია, 45 წუთში შესძლო ყველაფრის თქმა. მით უმეტეს, როცა ბავშვი უკვე მაღალ კლასებშია და პროგრამა რთულია. ამიტომ ხშირად ვმუშაობთ დამატებით გაკვეთილებზე. სადაც უფრო სრულვყოფთ და ვხვეწავთ საშემსრულებლო ოსტატობას.

პირველი საფეხური ნაწარმოების გაცნობაა, მომდევნო — ვარჯიში, საბოლოოდ კი — მისი დახვეწა, ესე იგი, სრულყოფა. აქ უკვე თითოეული ბგერის სილამაზესა და ჟღერადობას ექცევა უდიდესი მნიშვნელობა.

გული მწყდება, როცა რაიმე მიზეზის გამო ჩემი აღზრდილები ამ დარგს აღარ მიჰყვებიან, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რომ თითოეულისათვის სწავლის წლებს ფუჭად არ ჩაუვლია და ისინი მშვენიერების სამყაროს ეზიარნენ.

მოზარდი თაობის აღზრდის მიზნით გაწეულ წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს მრავალი ჯილდო და საპატიო სიგელი, რომლებიც ლაურა იაშვილმა მიიღო წლების განმავლობაში. მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის მისი აღზრდილების წარმატებებია.

ქალბატონი ლაურა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობას უთავსებს. ეს თანამდებობა დიდ შრომას, ენერგიასა და ორგანიზატორულ ნიჭს მოითხოვს. პედაგოგიური კოლექტივისათვის სასიხარულო მოვლენაა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრის შემატება და ქალბატონი ლაურა სათანადო მეთოდურ რჩევა-დარიგებას აძლევს, სიმხნევესა და გამბედაობას ჰმატებს. უშურველად უზიარებს თავის გამოცდილებას უმცროს კოლეგებს, მეორე სასწავლო ნაწილის გამგესთან, დარეჯან ჩიკვილაძესთან ერთად აწესრიგებს სასწავლო პროცესებს და აზუსტებს ცხრილებს.

— ტაქტი და მოთმინება — აი, პედაგოგის მთავარი იარაღი, — ხშირად იმეორებს ხოლმე ლაურა მასწავლებელი და ურჩევს ახალგაზრდა სპეციალისტებს, მშვიდად და აუღელვებლად ჩაატარონ გაკვეთილები. ამ ახალგაზრდა მასწავლებელთა შორისაა მისი ყოფილი მოსწავლე ნინო სანებლიძე, რომელიც ახლა თავად აზიარებს პატარებს მუსიკის სამყაროს.

— მეამაყება, რომ ამდენი წელია, სწორედ აქ, ამ შესანიშნავი ტრადიციების მქონე სამუსიკო სკოლაში ვმუშაობ (სკოლას ამჟამად დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, კომპოზიტორი ოთარ ხუციშვილი უძღვება). ხშირად ტარდება ღონისძიებები, კონცერტები, საღამოები, შეხვედრები ცნობილ კომპოზიტორებთან და დამსახურებულ პედაგოგებთან.

საკლასო ოთახში, სადაც მე და ქალბატონი ლაურა ვსაუბრობთ, მორიდებით შემოდის გოგონა...

— შემოდი, რუსიკო, მოემზადე და დავიწყოთ...

გოგონა როიალს მიუჯდა, აჟღერდა პირველი აკორდები... რუსიკო მგზნებარედ უკრავს შუმან-ლისტის „მიძღვნას“...

ისმის მასწავლებლის რბილი, ხავერდოვანი ხმა:

— რუსიკო, მთლიანი პედალი, კრეშენდო გააძლიერე, მაჩვენე კულმინაცია, უფრო ძლიერად, უფრო მკაფიოდ! ახლა მელოდია მარცხენა ხელში გადადის, უფრო თამამად, მთელი დაძაბულობით, წარმოიდგინე, რომ მწვერვალს იპყრობ, გიჟირს, ძალზე გიჟირს. უფრო ამაღლებულად, უფრო მეტი ჟღერადობით! აჰა, ახვედი კიდეც... ახლა დამშვიდდი, უფრო ნელა, უფრო პიანო, პიანისსიმო... აი, ასე!

— აბა, გავაგრძელოთ! — და ისევ და ისევ იხვეწება თითოეული ფრაზა, თითოეული ბგერა.

რუსიკო მუმლაძე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სკოლის მოსწავლეა და მისი ხელმძღვანელია ქალბატონი ლაურა, რომელიც მრავალი წელია, აქაც ნაყოფიერად მუშაობს.

შუმანის საფორტეპიანო კონცერტი რუსიკოს საკონცერტო პროგრამაშია შეტანილი, გოგონა მალე წარსდგება მკაცრი შემფასებლებისა და მაყურებლის წინაშე.

— გარდა შუმანისა, ჩვენ ვამზადებთ ბახს, მოცარტს, ლისტს — ყველაფერი ეს ძალზე რთულია და ბევრ შრომასაც მოითხოვს, მაგრამ რუსიკო ბეჯითად და მონდომებით მეცადინეობს და მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.



რუსიკო მუმლაძე ყურადღებით ისმენს ლაურა მასწავლებლის ყოველ სიტყვას

სხვათა შორის, რუსიკო საკუთარ სიმღერებსაც წერს. მისი ერთი მშვენიერი ნაწარმოები — „თბილისს“ — შარშან „პიონერის“ მე-8 ნომერში დაიბეჭდა. მე ვთხოვ რუსიკოს, დაუკრას რომელიმე თავისი ნაწარმოები. რუსიკომ დაიმორცხვა, მაგრამ შემდეგ მაინც მიუჯდა ინსტრუმენტს. სიმღერა ეძღვნება 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთ, თითქოს ისმის გოდებისა და ტირილის მელოდია, ამაღელვებელი სიტყვები. სიმღერაში ოსტატურადაა ჩართული სულმნათი ილიას სიტყვებზე შექმნილი რევაზ ლაღიძის სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ!...“ „საქართველო გადარჩება!“ — მღერის მთრთოლვარე ხმით რუსიკო და დიდი, ნათელი იმედი გამოსჭვივის ამ სიმღერიდან.

ჭეშმარიტად, „საქართველო გადარჩება“ და ჩვენი სამშობლო უკეთეს მომავალს მოესწრება — სწორედ ამ რწმენითა და იმედით იღვწის და თავის კეთილშობილურ საქმეს აკეთებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი — სათნო და ფაქიზი სულის ადამიანი, ქალბატონი ლაურა იაშვილი.

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს სრულიად საქართველო ფართოდ აღნიშნავს თავისი სასიქადულო მგოსნის, აკაკი წერეთლის იუბილეს — დაბადებიდან 150 წლისთავს.
ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენ ვთხოვეთ პოეტ ბივი ბებეჭკორს, მოეთხრო თქვენთვის აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აკაკი ვასილის კუნძულზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში.

„მუშური". „იმერული ნანინა".

აკაკი „ჩემს თავგადასავალში" უმთავრესად თავის ბავშვობასა და ყრმობას აგვიწერს და თხრობას, პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად როცა ჩადის, იქ ამთავრებს. აკაკის ცხოვრების თავგადასავალი ჩვენც სწორედ აქედან დავიწყოთ.

პეტერბურგში ქართველ სტუდენტებს, რომლებთანაც აკაკის მისი ძმა ილიკო მიიყვანს, ბინა უფრო ვასილის კუნძულზე აქვთ დაქირავებული.

აკაკი დაუმთავრებელ რომანში „იმერლები" სწორედ ამ უბანს აგვიწერს: „პეტერბურგში, ვასილის კუნძულზე, ერთი დიდი სახლი დგას, რომელშიაც ორი ათას მცხოვრებლამდე თავსდება და მათს რიცხვში ასამდე მაინც, თუ არა მეტი, სტუდენტები იქნებიან, რადგან მათთვის ეს სახლი სამარჯვოა, როგორც უნივერსიტეტთან სიახლოვით, ისე ოთახების სიიაფითაც..."

აკაკიც უთუოდ იქ დაბინავდება. ვასილის კუნძულზე. მისი ბინა ნიკო ნიკოლაძის მოგონებებში აღწერილი სტუდენტური ოთახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ...

პატარა ოთახის ერთადერთი ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შმორიან ეზოს გადაჰყურებს. ოთახში ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი საწოლია და ამ საწოლებს შუა, ფანჯრის წინ მხოლოდ პატარა მაგიდა ეტევა. ამის გარდა ოთახში ორიოდე სკამი და პირსაბანი ტაშტი დგას... მეორე სტუდენტს უშველებელი ბინძური სახლის მეოთხე თუ მეხუთე სართულზე პაწაწინა ოთახი აქვს ნაქირავები, სადაც მასთან კიდევ ორი პოლონელი სტუდენტი ცხოვრობს, ყელჩამომტვრეულ ბოთლში სანთელი არჭვია, მაგიდაზე და ფანჯრებზე წიგნები უთავბოლოდ ყრია, წიგნები ალაგ-ალაგ ყრია იატაკზეც, ოთახის კუთხეში დაყრილია ჩექმები, ჩუსტებად გადაქცეული კალოშები... საწოლზე ლოგინი მთელი ერთი თვეა არავის გაუსწორებია, საბნობას პალტო და მაზარა ეწევა. ბალიშის პირისა და ზეწრის ხსენება არსად არის. მუთაქის მაგივრობას წიგნები სწევენ. ერთ საწოლს ფეხი აქვს მოტეხილი და ფეხის მაგივრად ქვეშ წიგნები დაულაგებიათ. ყველაფერს თითის სისქე მტვერი ადევს. მაგიდაზე უთავბოლოდ ყრია წიგნები, შავი პურის ნაჭრები, გაყვითლებულ ქაღალდში გახვეული მარილი, კუპატი, თამბაქოში არეული შაქარი, ჩაის ჭიქა, რძის ბოთლი... დაბალ კედლებს მეტისმეტად ვიწრო და დაბალი ფანჯრები აქვს დატანებული, შპალერი ალაგ-ალაგ აფხრეწილი და გაცვეთილია, ჭერი გაყვითლებულია, კედლებსა და იატაკს შმორისა და ნესტის სუნი ასდის. ამ პაწაწინა ოთახში სამი სტუდენტი ეტევა...

ნიკო ნიკოლაძე ვასილის კუნძულზე ქართველი სტუდენტების სასადილოსაც აგვიწერს:

ბნელ და ნოტიო ოთახში გრძელი სუფრაა გაშლილი და მაგიდას ოციოდე ყმაწვილი უზის. შეექცევიან იმ ორ თავ სადილს, მომტანებს რომ მოაქვთ... ზოგი ტანსაცმელზე და თერძზე ლაპარაკობს, ზოგი — შინიდან ფულის მოლოდინზე, ზოგი — საგაზაფხულოდ საქართველოში წასვლაზე, ზოგი — ახლახან დამთავრებულ გამოცდებზე...

აკაკის ქართველი სტუდენტები ურჩევენ: სამშობლოს შენი ცოდნა უფრო გამოადგება, ვიდრე შენი გულუბრყვილო ოცნებაო: სამხედრო სამსახურს გადააფიქრებინებენ და პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე შესვლას გადააწყვეტინებენ. „მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავიო". წერს იგი „ჩემს თავგადასავალში".

უნივერსიტეტში შესასვლელად აკაკიმ უნდა ჩააბაროს გამოცდები რუსულ ლიტერატურაში, ლათინურ და ფრანგულ ენებში, ღვთისმეტყველებაში და ფიზიკაში. უკვე ივნისის დასაწყისია და გამოცდები კი აგვისტოშია ჩასაბარებელი. სტუდენტობა უფრო მეტად პავლოვსკში ისვენებს. კოხტა აფხაზის მოგონებიდან ვიცით, რომ ზაფხულობით ილია ჭავჭავაძეც იქ არის ხოლმე. აკაკი და ილია ერთმანეთს უთუოდ იქ გაეცნობიან მანამდე, სანამ ილია სამშობლოში გამოემგზავრება. ამ დროს ილია ავად არის, სისხლს ანთხევს და ექიმები საქართველოში გამომგზავრებას ურჩევენ.

აკაკი დედას სწორედ ამ დროს, 1859 წლის ივნისში ბარათით ატყობინებს: ილიკოს ნაწილი კრასნოე სელოში არის ბანაკად, იმასთან გუშინ ვიყავ, მე კი პეტერბურგიდან სიცხეების გამო პავლოვსკში გადმოვედიო. მერე დედას ევედრება, წიგნს, ე. ი. წერილს ნუ დამიგვიანებთ, წერილის დაგვიანება საშინელება ყოფილა, თვეში ბევრი საქმეების გამო მე ორის მეტს ვერ მოგწერთ და თქვენ კი თითომ თითო წერილი რომ გამომიგზავნოთ, ოთხი წერილი მომივაო (გულისხმობს სხვიტორში მყოფ დედას, მამას, ორ დას — ანას და მატას). ამის მერე წერილში აკაკი დედას კვლავ უმეორებს, როგორც უწინაც მოგწერეთ, უნივერსიტეტში შევდივარ, „ბეჯითად მინდა ვისწავლო ქართული, თათრული, სომხური და თურქული, რადგან ესენი ერთმანეთს არ გაშორდებიან", ფრანგულ ენას კი შინ ვისწავლი, მაგრამ მასწავლებელს ოცდახუთი თუმანი არ ეყოფა, მე კი უიმისოდაც გაჭირვებით ვცხოვრობ, თეატრშიც კი ვერ დავდივარ. რა ვუყოთ, ამათ ყველაფერს მოესწრება კაცი, სწავლას კი ვეღარ. მანდედან რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერა ისწავლოს რა, ცოდვა არ არისო?"

აკაკი ამ წელს ვერ ჩააბარებს გამოცდებს, როგორც საჭიროა, ისე ვერ მოემზადება. ამ წელს რომ გამოცდებს ვერ ჩააბარებს, ეს ნიკო ნიკოლაძის მოგონებიდან ვიცით; იგი 1860 წელს წერს: წინა წელს გამოცდებზე დამარცხდნენ ჩემზე გულმოდგინე და ნიჭიერი ყმაწვილები, მაგალითად, აკაკი წერეთელიო...

როგორც ვხედავთ, აკაკის ბეჯითი ყმაწვილის სახელი აქვს. მომავალი წლისათვის გულმოდგინედ ემზადება. მართალია, უფულობის გამო ფრანგული ენის მასწავლებელთან სიარულს ვერ ახერხებს, მაგრამ წიგნებს შეიძენს და დამოუკიდებლად სწავლობს.

უკვე 1860 წლის 1 მაისს იგი თავის დას ანას წერს: გამოცდების ჩაბარება კარგად დავიწყე და თუ ბოლომდე კარგად ჩავაბარე, აგვისტომდე ვეღარ ჩამოვალ, და თუ ვერ ჩავაბარე, მაშინ მალე ჩამოვალო. აკაკი გამოცდებს კარგად ჩააბარებს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხება.

ახლა მას უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ჰქვია, უფლება აქვს სტუდენტის მწვანე ქუდი ეხუროს და ტყავის საყელოიანი ბობრის შინელი ეცვას. როგორც ნიკო ნიკოლაძე იგონებს, უნივერსიტეტში ლექციები რვა საათზე იწყება. ენკენისთვეში ანუ სექტემბერში რვა საათზე ჯერ ისევ ბნელა; სტუდენტი ღამის ექვს საათზე უნდა ადგეს, ჩაი აიდუღოს, დალიოს, სამი ვერსი ანუ თითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის ოთხი კილომეტრი ფეხით გაიაროს, რომ ლექციებს მიუსწროს,

ამ დროს ახალგაზრდებს განსაკუთრებით რა აღელვებთ?

მდგომარეობა გლეხკაცობისა. მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოება და გლეხობა იბრძვის, რომ რუსეთმა ბატონყმობა მოიშოროს.

აკაკი პეტერბურგში წერს ლექსს „მუშური“. როცა ამ ლექსს წერს, მას უთუოდ თვალწინ უდგას სადუნიშვილების ის გამჭვარტლული სახლი სავანეში, სადაც მას აკვანს ურწევდნენ. ის ზემოიმერელი გლეხები, სულ მიწას რომ ჩასცქერიან და ოფლით რწყავენ. აკაკი ამ ლექსში მის ნაცნობსა და მშობლიურ სურათებს აცოცხლებს. სიმინდის მთოხნელები ამბობენ: სიმინდს თოხნა დავუწყოთ. სიმღერა ერთად დავძახოთ. იქნებ დაგვავიწყდეს, რომ უბედური გლეხები ვართ, მარტო ჩვენთვის არა ვშრომობთ, ბატონიც, შინაურიც და გარეულიც ყველა თავში გვიჩაჩქუნებს, ცხელ მიწას მონაწური ოფლით უხვად ვალბობთ, ცოლ-შვილი შიმშილით გვიკვდება და ჩვენი საზრდო პური, ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი



აკაკი სტუდენტობის დროს

ბატონს, აზნაურს, მდივანბეგის ბოქაულებს მიაქვთ, სამართალი აღარ არის, ჩვენ ვმუშაობთ, მწუხარებას სიმღერა გვიქარვებს და ბანს არე-მარე, მთა და ბარი გვეუბნებათ!

ბატონყმობა საქართველოში 1864 წელს გადავარდება. ამ დროისათვის აკაკი საქართველოში დაბრუნდება და „იმერულ ნანინას“ დაწერს.

პაწაწინა გლეხის შვილს დედის ტკბილ მკერდში ტკბილად და უდარდელად სძინავს და დედა ეუბნება: შენ სხვა ბედი გელის, მამიშენის ბედის არა ხარ, შენი ვარსკვლავი სხვა არის, შენ ბედმა გაგიცინა, შენ რა გიჭირს, ხომ შეიტყვე, შენ ბატონი აღარა გყავს, თავისუფალი გაიზრდები, ბატონი და ვალი ვერ შეგაწუხებს, სკოლაში ბატონიშვილს გვერდით მიუჯდები და სწავლაში არ ჩამორჩე, არ აფიქრებინო, რომ გლეხს ნიჭი არა აქვსო. გაიზარდე და ჩინოვნიკები როგორც ჩვენ გვაწვალებენ, შენ თავს ისე ნუ დააბრიყვებინებ. დღეს ეს ჩემი ნანინა ხომ გაიგონე, გამოილვიძე და ამ სოფლის ცრუ გამოცანა გამოიცანიო...

## წერილი დედასთან: „საიდუმლო ბარათი“. „ქართლის სალამო“. „სალამური“. „ძველი სამეფო“. „აჩირებული ფურცელი“. აკაკი უნივერსიტეტს ასრულებს. დაბრუნება. „ნათელა“.

მაგრამ ჯერ აკაკი პეტერბურგშია და ფიქრით კი სულ შინ არის, საქართველოში.

აი, იგი ხედავს სხვიტორს, მწვანე ბალახით დაფარულ ეზოს, დედა კიბეზე ჩადის, უკან ჭრელი ფარშავანგი მისდევს, ჩიხურის პირას ბაღი რომ აქვს გაშენებული, იქ თუ მიდის. ბაღში აუზებია, შიგ თევზები დაცურავენ. აუზებში ჩიხურას წყალი შედის, ნაწილდება, მერე თავს ერთგან იყრის და ფაცერში გამოდის, რომ თევზი არსად წავიდეს. მებაღე იქვე ცხოვრობს, ეზოში პატარა სახლი უდგას. ზარს რომ დარეკავენ, თევზები ზევით ხტებიან...

დედის წერილმა დაიგვიანა. იქნებ მოიწერა და დაიკარგა? ანა ან მატა მაინც მოიწერებოდნენ. აკაკის ძილი გაუტყდება, ქაღალდს დასწვდება და წერილის დასაწყისშივე „უსაყვარლესო ბატონო დედა, დღესასწაულის მოლოცვით ხელებს გიამბორებო, წერს, ხოლო წერილის ბოლოში „ხელებს ბატონ მამას ვუკოცნი და დებს, ანასა და მატას დავკოცნიო“, დედას უთვლის.

ბარათს ხშირად რომ ვერ იწერება, შინაურებს ამის მიზეზსაც ატყობინებს, არ გაგიკვირდეთ, არ გამამტყუნოთ, დღეს მესამე დღეა, რაც თქვენი წერილი მივიღე და პასუხს გწერთო. დროზე უნდა წავიდე, დროზე ვჭამო, დროზე დავიძინო, ნახევარი საათი რომ სადმე შევრჩე, ძილი უნდა დავიკლო და ექვსი საათის მაგივრად დღეში ხუთნახევარი საათი უნდა დავიძინოო.

აკაკი პეტერბურგიდან საქართველოში ლექსებსაც აგზავნის, თბილისში, ჟურნალ „ცისკარში“, ამ ჟურნალის რედაქტორთან ივანე კერესელიძესთან. 1860 წლამდე „ცისკარში“ აკაკი ლექსებს ინიციალებს აწერდა, მაგრამ პეტერბურგიდან გამოგზავნილ ლექსს „საიდუმლო ბარათს“ ივანე კერესელიძე აკაკის სახელსა და გვარს სრულად მოაწერს. ეს ლექსი აკაკის სახელს გაუთქვამს. ივანე კერესელიძის თვითნებობა აკაკის ეწყინება და ივანე თავს ასე იმართლებს: პლატონ იოსელიანი (ქართველი ლიტერატორი და მწიგნობარი, აკაკი წერეთლის ბიოგრაფია) ბარიატინსკის (მეფის ნაცვალს კავკასიაში) ქართულს ასწავლის, ბარიატინსკის შენი ლექსი ძალიან მოეწონა და შენი ვინაობა რომ გაიგო, მიბრძანა, სახელი და გვარი სრულად მოაწერეო.

პეტერბურგში 1869 წლის ივლისშია დაწერილი აკაკის ლექსი „ქართლის სალამო“. სამშობლო ჩემო, შენი ერთგული მონა, შენზე ოხვრით დაწყლულებული შორი ქვეყნიდან გულს გიგზავნიო, ამბობს აკაკი. რომ მოგშორდი, სევდამ მძლია, სიხარულს მანდ გამოვეთხოვე და ახლა იმის ფიქრი არ მასვენებს, ვაითუ ველარ გიხილოო, მაგრამ მომდევნო სტრიქონებში პოეტი უკვე დარწმუნებულია, რომ თავის ქვეყანას უთუოდ იხილავს. იგი სამშობლოს მოუწოდებს, აღსდგეს, გეყოფა, ბევრი გეძინა, ვინც უკან მოგდევდა, იმან წინ გაგისწრო. ნუ ხარ დაღონებული და შეშინებული, მამაცურად წამოდექ და გაიმართე, თუ იშრომებ, ცეცხლის გემებიც გექნება, რკინიგზებიც, ტელეგრაფიც! როგორც შენს ბუნებას შეჰფერის, ისე გაისარჯე და განათლება ისე გაავრცელეო...

ამ ლექსში უკვე საუბარია ერის გამოღვიძებაზე და განათლების გავრცელებაზე.

ერთი წლით ადრე პეტერბურგშია დაწერილი ილია ჭავჭავაძის ლექსი „ელეგია“, რომელშიც პოეტი სწორედ ერის გამოღვიძებაზე ლაპარაკობს და აღმოხდება: „სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებაო!“

პეტერბურგში ჩასულ აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძეს უნივერსიტეტში უფროს კურსებზე დახვდებიან ილია ჭავჭავაძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძეები და სხვანი, ხოლო აკაკის ჩასვლიდან ორი წლის შემდეგ ამ ჯგუფს შეემატებიან შემდეგში ცნობილი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი.

სანამ საქართველოში გამოემგზავრება, ქართველი სტუდენტების მეთაური ილია ჭავჭავაძეა, უიმისოდ არაფერი კეთდება: მისი ინიციატივით დაარსდება ქართველი სტუდენტების სათვისტომო, ურთიერთდამხმარე სალარო, ბიბლიოთეკა...

პეტერბურგში წერს აკაკი „სალამურს". პეტერბურგში აკაკის სალამურის ხმა ენატრება და ეკითხება: ჩემო საამურო და ხმატკბილო სალამურო, სადა ხარ, რომ შენი ხმით ჩრდილოეთში გული გაშხიარულო? შენ რომ მწყემსი ხელში დაგიჭერს და აგაკვნესებს, შენი მიხურო, შენ რომ მწყემსი ხელში დაგიჭერს და აგაკვნესებს, შენი ტკბილი ხმა ცაში და ნაღვლიანი ხმა ქვესკნელში იკარგება, ის აკვნესებული ხმა საქართველოს მწარე მოთქმას მაგონებს, როცა მტრები აოხრებდნენ და მუუდროებას უშფოთებდნენ, მაგრამ შენი ტკბილი ხმა მაინც სანუგეშოა, რადგან მამულის მცველ ქართველს წარა-მოვიდგენ ხოლმე, ბრძოლის ველზე მტერს რომ უყივის: „ჰკა მამასა!" შენი ტკბილხმოვანი, საამური ხმა ამიტომ არასოდეს მომგასა!" შენი ტკბილხმოვანი, საამური ხმა ამიტომ არასოდეს მომყირჭდება, მუდამ მომწყურდება, რადგან ქართველის კვნესა ხარ, ქართველს გულს ულხენ და წინაპრის ხასიათსა და ჩვეულებას აცოცხლებ... მაგრამ, ვაი რომ, ჩემო სალამურო, დღეს ყურს არავინ გიგდებს...

როგორც ხედავთ, აქაც იმის თაობაზეა საუბარი, რომ ერს სძინავს და სალამურის ხმა აღარავის ეყურება.

მაგრამ ახალ თაობას იმედი ულვივის და ორი წლის შემდეგ დაწერილ ლექსში „ძველ სამეფოს" აი, აკაკი რას ამბობს:

ძველთა-ძველი სამეფო საქართველო დღეს სნეულია, მისი დიდება ისე დამჭკნარია, როგორც ზაფხულში მზე აჭკნობს მდელოს, მაგრამ დრო შეიცვალა და საქართველო გაცოცხლდება! დღემდე რომ დაგვაძინა, ის ნანა უნდა დავივიწყოთ და თუ ბედმა გაგვიცინა, სხვა კილოზე უნდა ვიმღეროთ. ბებერო ქართლო, გულს ნუ გაიტეხ, გეყო, რაც ცრემლი გიღვრია! ამდენი ხნის მწუხარება მალე გაგეყრება, გაიღიმე. დროს ნუ ჰკარგავ, სიცოცხლე სიფხიზლეა. ჯერ არ შეგინიშნავს, ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს? ის ვარსკვლავი შენია და ბედს გპირდება, ნუ გძინავს, მიეგებე და მოემზადე, რომ შეგამკოს, ახალი დრო გვირგვინს გიწნავს! შენი შვილები წინ წავალთ, ახალ დროს კარს გავუღებთ და ძველი სენი რომ ჩამოგრეცხოთ, სისხლს დავღვრით, ალსდეგ, მზადა ვართ მსხვერპლად შეგეწიროთ! დღეს სნეულო ძველო დიდებავ, გულს ნუ გაიტეხ, წამოდექ და იმ დღეს მოგვასწარ, რომ ვიძახდეთ: „ვაშა, ვაშა, საქართველოო!"

ამ ლექსშიც კვლავ გამოღვიძებაზეა საუბარი...

აკაკი ერთ წერილში სამოციან წლებს გაზაფხულის გამოღვიძებას ადარებს: „გაზაფხულის პირად, სულ პირველ ხანებში, სანამ ტყე ფოთოლს მოისხამდეს და ხე ყვავილს გამოიღებდეს, კოკორი გაიფურჩქნებოდეს, ჯერ კიდევ გაცრცვნილ მცენარეულობას რაღაც სხვა ფერობა ეტყობა, თითქოს კარგ რასმე ეპირება და ღიმილი მოსდის. ეს გაზაფხულისაკენ გადასადგმელი პირველი ბიჯია, ის დრო, როდესაც ჯერ კიდევ მცენარის ტანში უჩინრად ჩამდგარი ცხოვრების წყალი ნელ-ნელა მხოლოდ მაჯას აცემინებს, რომ მერე ერთთავად გამოხეთქოს, გამოაღვიძოს მიძინებული ბუნება და სიცოცხლით სავსე შემოსოს ფოთოლ-ყვავილებით. მაშინდელ ჩვენ ცხოვრებაშიც სწორედ ამგვარი დრო იყო..."

გაზაფხულის პირზე სწორედ ქუხილივით დაიგრიალებს პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა", დაბეჭდილი 1861 წლის ჟურნალ „ცისკარში".

ამ წერილში ილია იტყვის, რომ ქართული სალიტერატურო ენა ხალხური უნდა იყოს, ლიტერატურული ენა ხალხის ენას უნდა დაეყრდნოს, ლექსი და მოთხრობა ისეთი უნდა დაიწეროს და ითარგმნოს, რომ ხალხმა წაიკითხოს და გაიგოს, ხალხს მის სატკივარზე ამ ენით უნდა ველაპარაკოთ.

ამჟამად გაბატონებულია ანტონ კათალიკოსისა და მისი მიმდევრების მაღალი სტილი, რომელიც ძველი ქართული ენის დამახინჯებული მიბაძვაა და ხალხის ენას დაშორებულია. ქართული სალიტერატურო ენა მოწყვეტილია ხალხურობას, ხალხურობა კი მუდამ ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი იყო.

ილიას ეს წერილი „მამებს" ანუ ძველ თაობას „შვილების" ანუ ახალი თაობის, თერგდალეულების წინააღმდეგ აამხედრებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ხამი ქართველი სტუდენტი იმავე ჟურნალ „ცისკარში" ილიას გამოესარჩლება. ორი თერგდალეულის წერილი, კირილე ლორთქიფანიძისა და გიორგი წერეთლისა, ერთ ნომერში დაიბეჭდება, ხოლო მესამე თერგდალეულის, აკაკის წერილი „აზირებული ფურცელი" — მომდევნო ნომერში.

აკაკი ილიას გვერდით ამოუდგება და იტყვის: იმ ენით უნდა ვწეროთ, რა ენაზედაც დღეს ხალხი ლაპარაკობს, რომ მათთვის გასაგები იყოსო. ჩვენ მათი ცოცხალი ენა უნდა შევითვისოთ, წერა და ბაასი დავიწყოთ იმ ენაზე, რომელსაც ჩვენი ხალხი ახლა ხმარობს, რადგან ჩვენი მიზანია, ხალხში ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთო.

ამის შემდეგ ილია და აკაკი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჭირშიაც და ლხინშიაც განუყრელად და განუმეორებლად სულ ერთად იქნებიან და ქართველი ერის ისტორიული ბედით ერთმანეთთან გადაბმულები, საქართველოს გაერთიანებისათვის ერთად იბრძოლებენ.

1861 წლის სექტემბერში პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტების არეულობა დაიწყება, სტუდენტებს აუკრძალავენ, თავისუფალი ორგანიზაციები რომ ჰქონდეთ და სტუდენტები ხმას აიმაღლებენ. არეულობის მონაწილეებს დააპატიმრებენ და ჯერ პეტრე-პავლეს სიმაგრეში მოათავსებენ და მერე კრონშტადტის ციხეში დაამწყვდევენ. იმათში ქართველი სტუდენტებიც არიან: კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძეები, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი....

ილია ამ დროს პეტერბურგში არ არის. აკაკი სტუდენტების შეკრებაზე შემთხვევით ვერ მივა და დაპატიმრებას გადაურჩება.

ორი თვის შემდეგ სტუდენტებს გაათავისუფლებენ და პეტერბურგელი თუ არ არის, იძულებით სამშობლოში აგზავნიან. ამას რომ თავი დაალწიოს, ნიკო ნიკოლაძე დაიმალება ზახაროვის ქუჩაზე, აკაკისთან, რომელიც მოხუც დიასახლისს შვილივით უყვარს. სანამ აკაკი უნივერსიტეტს დაამთავრებს, ნიკო ნიკოლაძე აკაკისთან იცხოვრებს. ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობს რუს ფილოსოფოსსა და რევოლუციონერს ჩერნიშევსკის, მის მეუღლეს და დას. აკაკის სამშობლოში გამომგზავრებამდე ნიკო ნიკოლაძე და აკაკის სხვა ამხანაგები პავლოვსკში ექვს მანეთად ჩერნიშევსკის ბინის ახლოს სათივეს იქირავებენ და ყოველ საღამოს რუსი ფილოსოფოსის ოჯახში სტუმრად იქნებიან. სამშობლოში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე იმათ აკაკიც შეუერთდება და ჩერნიშევსკის ოჯახით მოიხიბლება.

აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში ორ წელიწადში ყველა გამოცდას ჩააბარებს. თავისუფალი მსმენელი ვალდებული არ არის, უნივერსიტეტში სხვებივით ოთხ წელიწადს სწავლობდეს. შეუძლია გამოცდებიც ადრე ჩააბაროს და საკანდიდატო თხზულებაც ადრე წარადგინოს. 1862 წლის 31 მარტს აკაკი უკანასკნელ გამოცდას ჩააბარებს (თათრულ-აზერბაიჯანულ ენაში) და საკანდიდატო თხზულების თემად „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის საკითხს აირჩევს. უნივერსიტეტში ეს თხზულება მოეწონებათ, მაგრამ რადგან გიმნაზიის კურსის დამთავრების დიპლომს ვერ წარადგენს, აკაკი დიპლომს ვერ მიიღებს.

1862 წლის ზაფხულში აკაკი სტუდენტურ ცხოვრებას დაემშვიდობება და საქართველოში დროებით გამოემგზავრება.

აკაკის
სახლი
სხვიტორში



ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

## მეტროს ჩიტები

მზის სხივებს და პურის ნაფშვენს
დაეძებდნენ კიდით კიდე...
რა უნდოდათ ამ მეტროში,
ალბათ ყინვას გაერიდნენ;
ან უგულო ყმაწვილებმა
დაუშინეს ულვთოდ ქვები,
ჰოდა, ასე, სულ შემთხვევით,
გზა აებნათ, მოხვდნენ ქვევით...

ცივი ქარი დაჰქრის მაღლა,
ჭადრის შიშველ ტოტებს ამსხვრევს.
ჩიტებს მხსნელად აქ ვინა ჰყავთ?
ვინ სთავაზობთ საჭმელ-სასმელს?
მოხმაურე დარბაზებში
დღე თუ ამჩნევს ალბათ ვინმე,
კანტიკუნტად, აქეთ-იქით
უსიცოცხლოდ მოძრავ ფრინველს.

და ღამე კი ჭერში სადღაც
ყვითლად მბჟუტავ ნათურებთან
მიყუჟულან საცოდავად,
დაქანცულნი თვლემენ ერთად.
რას ხედავენ ნეტავ ძილში,
ხვალისთვის რომ მატებს ძალას? —
გაზაფხულის მწვანე ნისლით
აბოლებულ დედაქალაქს.

რევაზ ლორია

## ბუნების ლექსი

ეს, — ბუნებამ
მწვანე ყელი
მოიღერა
და
მღერის...
მღერის
ცის
და
მიწის ამბავს
თავისებურ წვა-ღელვით.
გადახატა
მთა
და
ბარი,
ერთ დროს
ნასისხლ-ნახმლევი...
რაც იმღერა —
ვაშა!
ვაშა —
კვლავ ბევრი აქვს
სამღერი!

## სიყვარულის დარიგება

შრომა
გვარქმევს კაცურ სახელს,
შრომითა ვართ,
თუ ვართ დიდი...
მოუარე
ამ ბუჩქს,
ამ ხეს,
ამ სიმწვანეს
გაუფრთხილდი!
ბარე,
თოხნე სიხარულით,
მიწა უფრო დაიჩითოს...
არვინ გვითხრას:
მიწის ყადრი
ქართველებმა არ იცითო.

## მეთუცნეკე მთა

ვუქცერ
და
ველარ მოვცილდი,
მთა არის,
თუ საოცრება —
წევს
დაღლილ გლეხიკაცივით
და
მისცემია ოცნებას...

## მუხა

რა მხიარული,
რა კარგი მოჩანს,
ამაყობს თავის
სახით და ფერით.
უთუოდ
კერავს მამულის
დროშებს, —
სათითეები
აუსხამს ბევრი.

19.397

ლიანა ხოშტარია

## შენ უნდა გაახარო

თვალი შეგასწარ
მთის ძირას,
ჩემო ხატულა იაო,
ცის საყურებლად
თვალები
იმ ცისფრად გაგიღიაო,
გნახავენ ცელქი
ბავშვები,
ვერ გადაგარჩენ,
იაო:
მოგწყვეტს ზაზა ან
თამარი,
ან კონად შეგკრავს
თინაო,
შენ უნდა გააცისკროვნო
რვა მარტის ლურჯი
დილაო.

## დედა

შენი სიკეთით ვხარობ,
როგორც ბუდეში — ჩიტი.
ხარ სიხარულის წყარო
და ღიმება მშვიდი.
შენი უბიდან მოდის
და დღენიადაგ ივლის
„იავ-ნანინას“ სითბო
და „მოუთხე“ ტკბილი.
შენით თენდება დილა,
შენით ღამდება დღე და
მსურს,
სულ ჩემს გვერდით იყო,
ჩემო ლამაზო დედავ.

## დედა ჩიტი

კატა კნავის,
ჩიტი ხეზე
დაფრენს
აჟივჟივებული,
ბუდე იქვე,
სუროში აქვს
ჩაწნული და ჩახვეული.
შიგნით
სამი ბარტყი უზის,
სულ ახალი
შებუმბლული...
დედაჩიტი
ბუდეს იცავს,
გასკდომამდე
უცემს გული.

ნაზი ჭელიძე

## მეტიტინება ერთი პატარა

მეტიტინება ერთი პატარა
საინტერესო მისთვის კითხვებით
(ვინ იცის, იქნებ ბევრი სხვისთვისაც):
შემოდგომაზე რატომ არ მწიფსო
მარწყვი, ბალი და ალუბალიო,
ან გაზაფხულზე — კომში, ყურძენი,
ფისო რატომ წევს ბუხრის პირას და
რატომ ვერ ძლებსო
ცეცხლთან კურდღელი...
მოდი და ასეთ უცნაურ კითხვებს
შენ უპასუხე, შენ გაუძელი!..
თვალმოციმციმე ერთი პატარა,
...მეტიტინება ყოველ ცისმარე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

# გზა დიდი რინგისაკენ



— მარცხენა პირდაპირი!.. მარჯვენა ჰუკი!.. ორი მარცხენა პირდაპირი!.. აპერკოტი!.. ასე, კარგია! — გაისმის ტყავის ხელთათმანების ყრუ ბაგაბუგში მწვრთნელის მკვეთრი შეძახილები. რინგის კვადრატულ ფიცარნაგზე პირდაპირ ცეცხლი დაანთეს 14-15 წლის მოზარდებმა. რეფერის მოვალეობას გია დარბაისელი ასრულებს — ახალგაზრდა მწვრთნელი, 22 წლის სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი (1984 წ.) და საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი (1984 წ.). მთავარი მწვრთნელი, წარსულში სახელგანთქმული მოკრივე ნოდარ დარბაისელი დარბაზიდან ადევნებს თვალს მწვრთნელისა და მოზარდი მოკრივეების მუშაობას.

ჩვენ ახლა ნოდარ დარბაისელის სახელობის სპორტულ კლუბში ვიმყოფებით. ეს კლუბი დაარსდა 1987 წლის თებერვალში და იმთავითვე, კომკავშირის ლენინის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით, ნ. დარბაისელის სახელი ეწოდა. სკოლის უფროსად და მთავარ მწვრთნელადაც სახელმოხვეჭილი მოკრივე დაინიშნა.

გვერდიგვერდ ვდგავართ ახლა დარბაზში მე და ბატონი ნოდარი, ჩემი ბიჭობისდროინდელი თანატოლების ფალავანი და კერპი.

— კრივს საქართველოში უმდიდრესი ტრადიციები აქვს, — მეუბნება ნოდარი. — ჯერ თბილისური ქალაქური მუშტიკრივის სანახაობები რად ღირს! აგერ ახლა, ჩვენს დროში, რა მოკრივეები გვყავდა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ანდრო ნავასარდოვი, ლევან ღუდუშაური, გაბო ხანუკაშვილი, შალვა გორგასლიძე, ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გ. დარბაისელი (ჩემი უმცროსი ძმა), ფრ. ლომიძე, ზ. ეფრემაშვილი, მერე — კვანტალიანი, პოპანდოპულო, ჯობავა, და ბოლოს, კიდევ ერთი ბრწყინვალე გაელვება ქართული კრივისა — დათო კვაჭაძე.

რინგის კვადრატზე ახალი წყვილია.

— თავი დაიცავი! კორპუსში, კორპუსში! თემურ! ახლოს შედი, ხომ ხედავ, შენზე მაღალია! აი, ეგრე, ყოჩაღ! — ისმის გიას შეძახილები.

— მწვრთნელებიც როგორები გვყავდნენ, — განაგრძობს ნოდარ დარბაისელი, — ალექსანდრე გოლდშტეინი, ენვერ ქელბაქიანი, ბორის კალაძე, შალვა გორგასლიძე, საშა ბაქრაძე, გიორგი ვართანოვი, ლევან ღუდუშაური... გული მტკიოდა, რომ ქართული კრივის დიდებას ჩრდილი დაეფინა, რომ ჩვენი ნორჩები ნაკლებად ეტანებიან ამ ვაჟკაცური სპორტის სახეობას, თუმცა ჩხუბი კი, მოგეცა ლხენა, ძალიან უყვართ... ჰოდა, აი, ერთხელ ამ ერთსართულიან შენობას წავაწყდი. ადრე საწყობი ყოფილა, მერე მიუტოვებიათ. ავიყოლიე ახლომახლო კორპუსების ბავშვები, ჩემი ვაჟები (დათო და გია — ორივე სპორტსმენია), ცოტცოტას იმ ბავშვების მშობლებიც დამეხმარნენ, ჩანაგვიანებული შენობა გავწმინდეთ, გავარემონტეთ. როცა დაინახეს, რომ ენთუზიაზმს თავისი გაჰქონდა, ლენინის რაიაღმასკომის საბინაო მეურნეობის ტრესტიც ამოგვიდგა მხარში... და აჰა, რაღაცას დავამსგავსეთ...

რაღაცასო...

ეს „რაღაცა“ მთლიანად 90 კვმ ფართობია, ვრცელი და საკმაოდ კეთილმოწყობილი სავარჯიშო დარბაზით, რინგით, ორი საშხაპით, ორი გასახდელით... ორ-ორი იმიტომაა, რომ ამ სპორტკლუბში, კრივის გარდა, მუშაობენ იოგას, ჯანმრთელო-





მოკრივე ღონიერი და მოქნილი უნდა იყოს

ბრძოლას წინ გულმოდგინე მოთელვა უსწრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, აერობიკის ჯგუფები, ამ ჯგუფებში კი ქალებიც არიან გაერთიანებულნი.

— შემდეგი წყვილი: ნოზაძე — ფუტკარაძე!.. მიესალმეთ ერთმანეთს! აბა, შეუდექით! — ისმის გიას ხმა რინგიდან. და ისევ — ტყავის ხელთათმანების ბაგაბუგი.

სპორტკლუბის კრივის ჯგუფში ამჟამად 27 მოზარდი მეცადინეობს. სწავლების 1-ელ წელს გადის 12 ბავშვი, 11 — მესამე წელს. ამ თერთმეტში შედიან ისინი, რომელთაც უკვე აქვთ ჩატარებული ღია ბრძოლები და შეუძლიათ ამა თუ იმ შეჯიბრებაში გამოსვლა. არის კიდევ რვაბავშვიანი ჯგუფი, ესენი არიან 6-9 წლის ნორჩები, რომლებიც საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიან და კრივის პირველ გაკვეთილებს მხოლოდ მაშინ მიიღებენ, როცა საამისოდ ფიზიკურად და მორალურად მომაგრდებიან.

— თქვენს სპორტულ წარმატებებს კარგად ვიცნობ, — ვეუბნები ბატონ ნოდარს: — ათგზის საქართველოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალისტი და პრიზიორი, მრავალი საერთაშორისო შეხვედრის გამარჯვებული, „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი... როგორ მოხვდით დიდ რინგზე, ბატონო ნოდარ?

დარბაისელი ფიქრიანად იღიმება.

— დავიბადე კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში 1929-ში, — დაიწყო მცირე პაუზის შემდეგ. — ასე რომ, წელს 60 შემისრულდა. ყოველ შაბათ-კვირას ჩვენთან, გარიყულაზე, ჭიდაობა იმართებოდა, ჩამოდიოდნენ ხოვლელი, მეტეხელი, ერთაწმინდელი, ახალციხელი, ნოსტელი მოჭიდავეები. გრანდიოზული სპორტული ზეიმი იმართებოდა. რა მოჭიდავეები გვყავდა! ჯერ მარტო კულა იანვარაშვილი რად ღირს, ქართული ჭიდაობის დიდი მოამაგე! აი, იქ ვიჭიდავე პირველად, პირველი მარცხიც იქ ვიწვნიე და პირველი გამარჯვებაც...

— ბაგირთან, ბაგირთან მიამწყვდიე! პირდაპირი დარტყმების სერია! ეგრე! — ისმის რინგიდან.

— 1941-დან თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად, — განაგრძობს ბატონი ნოდარი. — ორმოცდასამში მამაჩემი ომში დაიღუპა. იმავე წელს ფრონტზე გაპარვა დავაპირე და გავიპარე კიდეც, ფეხშიაც დავიჭერი ერთი შეხლა-შემოხლის დროს. მალე უკან დამაბრუნეს. 1944-ში 15 წლის ბიჭი ლიმონათის ქარხანაში ვმუშაობდი მტვირთავად. 1947 წელს პირველად მოვხვდი კრივის დარბაზში. ჯერ ენვერ ქელბაქიანი მწვრთნიდა, მერე — ბორის კალაძე. სწრაფად მივდიოდი წინ, თუმცა ერთ-ორჯერ, დამარცხების შემდეგ, კინაღამ სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. მწვრთნელების დახმარებით ვაჯობე საკუთარ თავს და 1948 წლის მარტში საზოგადოება „პიშჩევიკის“ თბილისის ჩემპიონი გავხდი...

— მერე?

— მერე — ბეჯითი, თითქმის თავგანწირული ვარჯიში... ძალ-ღონე არასოდეს მაკლდა, მაგრამ დაოსტატებას ბევრი შრომა დასჭირდა. შედეგმაც არ დააყოვნა: 1950-1959 წლებში არავისთვის დამითმია საქართველოს, ხოლო 1950-1960 წლებში — ამიერკავკასიის ჩემპიონის ტიტული. 1948-60 წლებში ჩატარებული 400-მდე ბრძოლიდან 200 ნოკაუტით მოვიგე, 20 — დიდი უპირატესობით, 120 — ქულებით.

— დიდებული მიღწევაა, — ჩავურთე.

— არ არისურიგო შედეგი, — თავშეკავებით მითხრა ბატონმა ნოდარმა. — მერე ის იყო, 1953 წელს „დინამოს“ ჩემპიონი გავხდი და დაიწყო ჩემი გზა „დიდ რინგზე“. განსაკუთრებით სამახსოვროა შეხვედრები გენადი შატკოვთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, ოლიმპიურ ჩემპიონთან საბჭოთა კავ-



„საუკეთესო დაცვა — ეს თავდასხმაა“, — შეაგონებს ნოდარ მასწავლებელი ახალბედა მოკრივეს



მარცხენა ჰუკი მზის წნულში!.. არის ქულა!

შირის ორგზის ჩემპიონთან, ერთადერთ საბჭოთა მოკრივესთან, რომელიც რინგზე შეხვდა ლეგენდარულ კასიუს კლეის — მუჰამედ ალის (გ. შატკოვი ახლა ლენინგრადის უნივერსიტეტის პრორექტორია, პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფინალურ შეხვედრაში მე აშკარად ვაჯობე შატკოვს, ბრძოლის დამთავრებისთანავე გენადიმ გულთბილად მომილოცა კიდეც გამარჯვება, მაგრამ... მსაჯებმა ჩემპიონად გ. შატკოვი გამოაცხადეს. სხვათა შორის, ბაქიობად ნუ ჩამომართმევთ და, — ბატონმა ნოდარმა გაიღიმა, — შატკოვმა თავის წიგნში „დიდი რინგი" ჩემზე ასეთი საქები სიტყვები ჩაწერა: „შემდეგი ბრძოლა ნოდარ დარბაისელთან მქონდა, სწორედ იმასთან, რომელიც მზად არის, სამი რაუნდის განმავლობაში განუწყვეტლივ იერიშზე იყოს და რომლის დარტყმასაც ხარის წაქცევა შეუძლია".

— დიდი აღიარებაა, — ვთქვი მე. გ. შატკოვის „დიდი რინგი" წაკითხული მქონდა, წაკითხული მქონდა ნ. დარბაისელის ახალგამოსული წიგნიც „რინგი და ცხოვრება".

... ნ. დარბაისელის სპორტული კლუბი თემქ-ის დასახლებაშია, მაგრამ, აბა ერთი, აღრიცხვის ჟურნალი გადაშალეთ, ვინ და საიდან არ მოდის აქ კრივის შესასწავლად: ვაშლიჯვარელი ნოდარ მოისეევი (27-ე პროფსასწავლებელი), მუხიანელი თემურ გოქსაძე (184-ე სკოლა), თემქელი ჯიმი ამირიანი (148-ე სკოლა), დიდდიღმელი ზაზა ფუტკარაძე (45-ე სკოლა), გლდანულელი გიორგი ბოლოთაშვილი (126-ე სკოლა)... იქ ჩემი ყოფნის დროს ერთი ბიჭი მოადგა კარს მამლაყინწური სითამამით — ძია ნოდარ, „შრომით რეზერვებში" დავდიოდი, იქ აღარ მინდა, თქვენთან მსურს მეცადინეობა. ზაზა ოგანეზოვი გამოდგა ის ბიჭი, 189-ე საშუალო სკოლის (გლდანი) მეცხრეკლასელი. ბატონმა ნოდარმა გია მასწავლებელთან გაგზავნა — მიდი, მოილაპარაკეთო. ერთი სიტყვით, მატულობს და მატულობს კრივის დაუფლების მსურველთა რიცხვი.



დიდი პერსპექტივა აქვს ნ. დარბაისელის სპორტკლუბს. ამიტომ დღის წესრიგში დგება ბაზის გაფართოება-კეთილმოწყობის საკითხი. თბილისის ზონალურმა საპროექტო ინსტიტუტმა (დირექტორი ო. თუხარელი) უსასყიდლოდ შეადგინა სპორტკლუბის შენობის მეორე სართულის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. პროექტი შენობის სიგანის მომატებასაც გულისხმობს და საბოლოოდ, როცა დედაქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველო საქმეს დაიწყებს და შეფისა — ვაგონშემკეთებელი ქარხნის (დირექტორი ტ. ჯაბაური) და სხვა ორგანიზაციების დახმარებით დაამთავრებს, მოზარდებს თავის განკარგულებაში ექნებათ 420 კვმ საერთო ფართის მქონე ორსართულიანი შენობა, სადაც სპორტის ჩამოთვლილ სახეობათა გარდა მსურველებს ყველა პირობა ექნებათ შექმნილი, იმეცადინონ კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მინიფეხბურთში. მათ აქ არც კარგი მწვრთნელები მოაკლდებათ, არც საექიმო მომსახურება — კვალიფიციური სპეციალისტი, ექთანი ვერონიკა კრინი ყოველთვის მზადაა, პირველი დახმარება გაუწიოს ახალბედა სპორტსმენებს.

შეფი ვახსენეთ... უნდა ითქვას, რომ ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექცია, მართალია, შეძლებისდაგვარად ეხმარება სპორტკლუბს თანხითა თუ სხვადასხვა მასალით, მაგრამ ურიგო როდი იქნება, თუ სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებანი მიბაძავენ მის მაგალითს. ამ კლუბში ხომ, სავსებით უანგაროდ, თითქმის უსასყიდლოდ, ზრდიან სხეულითა და სულით ჯანსაღ ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა — მოქალაქეებს, მერე კი — სპორტსმენებს, რომლებიც, ვინ იცის, სად და როდის მოგვიხვეჭენ სახელსა და დიდებას: როცა ამ კუნთმაგარი ბიჭების — ზ. წეროაშვილის, რ. ნოზაძის, თ. ჩარკვიანის, დ. ნადირაშვილისა თუ სხვათა ორთაბრძოლებს უყურებ, აშკარად გიჩნდება ამის იმედი. ვინ იცის, იქნებ აქ, თემქ-ის დასახლების მე-9 კვარტალში, ნოდარ დარბაისელის სპორტკლუბში იწყება სწორედ ნორჩ მოკრივეთა გზა დიდი რინგისაკენ!

ფოტო ჯემალ კასრაძისა

## დიალოგი „კოცონში" გაიმართა

წლევანდელი სასწავლო წელი რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციაში ძიების წლადაა გამოცხადებული. ბავშვთა და მოზარდთა ყოველ კოლექტივს საშუალება აქვს, პრაქტიკულად შექმნას ის, რაც მას აინტერესებს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ დისკუსია-საუბრებით, კონკრეტულად, არა სიტყვით, არამედ საქმით განახორციელოს თავისი ორგანიზაციის გარდაქმნა-განახლება. ამის შესახებ გაიმართა თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბ „კოცონის" წევრთა ერთ-ერთი მორიგი შეკრება თემაზე: „როგორი ვართ დღეს, როგორი ვიყოთ"... შეკრებაზე მოიწვიეს პიონერთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდისტები, პედაგოგები, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი იზა კეკელიძე, პედაგოგები ლია მამულაშვილი და წლების მანძილზე პიონერთა საქალაქო შტაბის ხელმძღვანელი ნელი ნიკურაძე.

პედაგოგებისა და პიონერთა საქალაქო შტაბის წევრთა დიალოგი ფართოდ გააშუქა რესპუბლიკური სასახლის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „გაზაფხულმა". იგი რესპუბლიკის ყველა რაიონისა თუ ქალაქის პიონერთა სასახლეებსა და სახლებს ეგზავნება და შეგიძლიათ იქ გაეცნოთ ამ საკითხის გარშემო მის ფურცლებზე დაბეჭდილ მასალებს.

„კოცონში" გამართული დიალოგის დროს ბევრი საგულისხმო მოსაზრება გამოითქვა. გაგაცნობთ ზოგიერთ მოსაზრებას.

იზა კეკელიძე: — როგორი უნდა იყოს პიონერთა ორგანიზაცია? თითქმის ორ წელიწადზე მეტია, რაც ამ საკითხზე დისკუსია მიმდინარეობს. ამ ბოლო დროს კი პრინციპულადაც კი დაისვა კით-

ვა: საჭიროა თუ არა ბავშვთა ორგანიზაცია? ან როგორი უნდა იყოს იგი, პოლიტიკური თუ — არა? მასობრივი თუ ნებაყოფლობითი? რომელი ასაკის ბავშვები უნდა გაერთიანდნენ მასში? ამ ორგანიზაციისადმი რა პოზიცია უნდა დაიჭირონ უფროსებმა? და ა. შ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კამათ-დისკუსიებისა და გაუთავებელი დიალოგების დროს მოზარდები უფროსების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და ღრმად ვერ სწვდებიან თავიანთი ორგანიზაციის სადღეისო სატკივრებს, უპირთ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება, რაც თავისთავად ჩვენი უაღრესად რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით სავსე დროით არის გამოწვეული.

ჩემი აზრით, რა ფორმითაც უნდა იარსებოს ბავშვთა ორგანიზაციამ, მან უპირველესად უნდა იზრუნოს, რომ თითოეული მისი წევრი აღიზარდოს ადამიანებზე მზრუნველ, პატიოსან, ერთგულ პიროვნებად: სწორედ ამგვარი ორგანიზაციიდან გამოსული თაობა სჭირდება დღეს საქართველოს. პიონერებთან არაერთმა შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ჩვენს ბავშვებს შეგნებული აქვთ ეს, სწორად ესმით რესპუბლიკის ბავშვთა ორგანიზაციის სადღეისო ამოცანა. ამგვარად, საქართველოს პიონერთა ორგანიზაცია დღევანდელობამ სულ სხვა თვალითა და სხვა შეფასებებით დაგვანახა. დავრწმუნდით, რომ იგი ძველ ჩარჩოებში არ შეიძლება არსებობდეს.

ნელი ნიკურაძე: — წლების განმავლობაში პიონერულ შტაბ „კოცონის" შეკრებებზე მუდამ იყო მსჯელობა პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შინაარსზე. მაგრამ საქმე ნელა იძვრის ადგილიდან. ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული, ყველა ბავშვისათვის თვალსაჩინო საქმის კეთებამ უნდა შეაკავშიროს მათი კოლექტივები, მხოლოდ და მხოლოდ საქმემ, რომელსაც საფუძვლად ეროვნული თვალსაზრისი დაედება. უმეტესობა ინტერესების მიხედვით კლუბების შექმნის მომხრეა. ეს ცუდი მოსაზრება არ არის, მხოლოდ აუცილებელია, იგი მიზანდასახული იყოს და მუშაობის საინტერესო ფორმები გამოინახოს, ინტერესების მიხედვით შეკავშირებულ კოლექტივებს კი გაუჭირდებათ კეთილი უფროსი მეგობრის გარეშე, ისეთი მეგობრისა, რომელიც ყოველი მათი ახალი წამოწყების თანამზრახველი და ხელისშემწყობი იქნება.

ლია მამულაშვილი: — ბევრს მიაჩნია, რომ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობას სტრუქტურის შეცვლა გარდაქმნის, რაც არ არის სწორი; მთავარია მისი შინაარსის გარდაქმნა.

ბავშვებმა უნდა იმუშაონ კლუბებში ინტერესების მიხედვით, საწარმო-დაწესებულებებთან თუ კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებებთან, ხოლო მათთან მუშაობის ფორმები იყოს ინდივიდუალური, სალექციო, სასემინარო, საწრეო, საკლუბო...

ინტერესთა მიხედვით შექმნილი კლუბები მიმაჩნია იმ გარდამავალ საფეხურად, სადაც მოზარდთა ცნობიერების შემზადება ხდება საიმისოდ, რომ შემდეგ მათ თავად შექმნან საკუთარი ორგანიზაცია (ეროვნული, პროფილური თუ პოლიტიკური). ბავშვები თავიანთი ინტერესების მიხედვით გარკვეული მიმართულებებით იმუშავებენ (ეკოლოგთა, ისტორიკოსთა, მშობლიური ენის სიწმინდის დამცველთა, ეკონომისტ-პოლიტიკოსთა თუ სხვა ჯგუფები). ამ მხრივ თბილისის სკოლებში უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები.

## ზუგდიდელთა კონკრეტული საქმეები

ამბობენ, „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო". ჰოდა, ძიების წელი ზუგდიდის რაიონის თითოეული სკოლის ბავშვთა და მოზარდთა კოლექტივებში კონკრეტული, შედეგიანი საქმეების კეთებით მიმდინარეობს. პირველ რიგში მშობლიურ სოფლებში მიმოიხედეს და სასარგებლო საქმეს მოკიდეს ხელი. მაგალითად, ნარაზენის სკოლის პიონერები თავისი მინიმეურნეობით ამაყობენ; ამ მეურნეობის ძირითადი პროფილი მეჩაიეობაა. ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მიუზომა სამუშაოდ. მოსწავლეები თავად არიან ამ პატარა მეურნეობის დირექტორიც, ბუღალტერიც, ბრიგადირიც და ეკონომისტიც.

ნარაზენელი ბავშვები მთელი ზაფხული მხარში ედგნენ თანასოფლელებს, სანიმუშოდ მოუარეს ჩაის ბუჩქებს. ედიშერ თოდუამ 500 კგ ჩაი მოკრიფა, პაპუნა კუხალეიშვილმა — 480, სოფიკო თურქიამ — 400, ოლეგ კუტალიამ — 860, ლავრენტი შელიამ — 815 კგ. მინიმეურნეობამ გეგმით ნავარაუდევი 7 ტონის ნაცვლად 8,5 „მწვანე ოქრო" ჩააბარა სახელმწიფოს, თანაც — სულ პირველი ხარისხისა.

ახალსოფლელი ნორჩი მეციტრუსეები კი მთელ რაიონში არიან ცნობილნი. მათ განსაკუთრებით ლიმონის მოვლით, ადგილობრივი გარემოს პირობებში ამ მცენარის კულტივირებით გამოიჩინეს თავი. ტრადიციას არ ღალატობენ სუზანა ქადარია, ნანა ხარჩილავა, მაკა დავითაია, ქრისტინე ქადარია და მაკა როგავა. ისინი 0.7 ჰექტარ სკოლის საცდელ ნაკვეთზე მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანით არიან გატაცებულნი, ამავე დროს, ხელი მოკიდეს მშობლიური სოფლის ენდემურ მცენარეთა აღწერა-პასპორტიზაციასაც.

სოფელ ყულისკარის სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა დიდი წვლილი შეიტანეს მე-17 საუკუნეში აგებული ყულის ტაძრის ეზო-გარემოს მოწესრიგებაში, გვერდში ედგნენ რესტავრატორებსა და თანასოფლელ ენთუზიასტებს.

ცაიშელმა ნორჩმა ეკოლოგებმა კი ერთი განგაში ატეხეს, მდინარე ჯუმის დანაგვიანება ხდებაო. ჯუმი ჩხოუშიას ერთვის, ის კი — ენგურს, ენგური შავ ზღვას, ხოლო შავ ზღვას რომ შველა უნდა, აქ ეს ყველამ იცის.

სოფლის ტყესაც მიხედეს ცაიშის სკოლის „ცისფერი საგუშაგოსა" და „მწვანეთა" რაზმის წევრებმა ინგა წყობალიამ, ხათუნა ციცკორავამ, პაატა ჯანჯღავამ, ელიზბარ ქირიამ. დროზე მოუსწრეს რცხილას, კოპიტს, კუნელს, ბაძგას, მუხას.... ტყიდან დაიფრინეს ნაჯახმომარჯვებული ბრაკონიერები...

ახალაბასთუმნის სკოლის მხარეთმცოდნეებმა სულ ნაბიჯნაბიჯ შემოიარეს მშობლიური სოფელი და ოთხი წყარო აღმოაჩინეს, წყალს სადინარები გაუკეთეს, კეთილმოაწყვეს. ორ წყაროს მათი თანასოფლელების, სამამულო ომში დაცემული საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას და აწ გარდაცვლილი მისი ქალიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის, ცნობილი მეჩაიის ვინარი სხულუხიას საპატივცემლოდ „გრიგოლისა" და „ვინარის" წყაროები უწოდეს.

...ასე, დღითიდღე, კონკრეტული საქმეებით იკინძება საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ძიების წელიწადის ფურცლები.

ნათელა ფაილოძე

ნინო ლონდარიძე

მხატვარი თინა კრაწაშვილი

ორი ზღაპარი



# მეხანძრე

ერთ ქალაქში ხანძარი გახშირდა ძალიან. იქ მცხოვრებთა გასაჭირს ისიც ართულებდა, რომ მათ მეხანძრე არ ჰყავდათ. მაგრამ ერთხელაც ქალაქში ყველაზე ულარიბესმა კაცმა გადაწყვიტა მეხანძრე გამხდარიყო. იფიქრა, ხალხსაც დავეხმარები და თან ლუკმაპურის ფულსაც ვიშოვიო. და აი, შემოდგომის ერთ ცივ დღეს კაცმა წყლით სავსე ჰურჭელი მოიკიდა და ქუჩაში გავიდა, რომ სადაც კი ცეცხლს მოჰკრავდა თვალს, უმალ ჩაექრო. ორიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ უეცრად ხე შენიშნა, ჰკნობის პირზე მისული. მეხანძრეს გულმა არ მოუთმინა და ხეს თავისი ჰურჭლიდან წყალი გაუნაწილა. ისიც იმავე წამს გამოცოცხლდა და მშველელს გაუღიმა. კაცმა კვლავ გააგრძელა გზა და ახლა წყურვილისაგან ენაგადმოგდებული ძაღლი შენიშნა. მეხანძრემ მასაც დაალევინა წყალი. მთელი დღის განმავლობაში გზაზე ვინც კი მწყურვალი შეხვდა, ყველას გაუმასპინძლდა. საღამოხანს კი, როცა შინ გამობრუნება დააპირა, დაინახა, რომ ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან კვამლი გამოდიოდა. მეხანძრე თვალის დახამხამებაში ფანჯარაში შეიჭრა და ზურგიდან წყლის ჰურჭელი მოიხსნა, რომ ცეცხლი ჩაექრო, მაგრამ... ჰოი, უი, დედუნებავ! ჰურჭელი ცარიელი აღმოჩნდა. მეხანძრეს ისღა დარჩენოდა, სამოსი გაეძრო და ისე გამკლავებოდა ცეცხლს. ამასობაში სახლთან ხალხმა მოიყარა თავი. ყველამ შეიტყო მეხანძრის უწყლოდ დარჩენის ამბავი და, თუმცა მან რის ვაივაგლახით ხანძარი ჩააქრო და ნახევრად შიშველი, გამურული გარეთ გამოვიდა, ერთხმად მიაძახეს: შენგან არაფერი გამოვა, ის გირჩევნია, შინ დაჯდე და ნაცარი ქექო.

დაღონებული წავიდა მეხანძრე შინისაკენ. თავის ჰიშკარს რომ მიუახლოვდა, გათანგული იქვე ჩამოჯდა და მწარე ფიქრებს მიეცა. მოულოდნელად რაღაც სითბო იგრძნო. გათოშილს ემა კიდეც. შემდეგ აიხედა და რას ხედავს — ცეცხლს ადამიანივით ფეხი აუდგამს და მისკენ მოემართება... გაოცდა კაცი — მეხანძრესთან ცეცხლი თავისი ფეხით მიდიოდეს, ვის გაუგონია?!

— შენ რა იფიქრე, დამამარცხებდი?! — ამაყად შესძახა ცეცხლმა შორიდანვე. მეხანძრემ არაფერი უპასუხა. ცეცხლი სულ ახლოს მივიდა მასთან.

— ცოტა გაიწიე, არ დამწვა! — სთხოვა მეხანძრემ.

— აი ასეა! ყველა გამირბის! — განაწყენდა ცეცხლი.

— ამიტომ კეთილი უნდა გახდე! — ურჩია მეხანძრემ, — ეს ყველას შეუძლია, ვისაც ამის სურვილი დაებადება!

ამ დროს, სად იყო და სად არა, ცა მოიქუფრა და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა.

— ვაიმე, რას შევეფარო?! ნამდვილად ჩამაქრობს! — ავიშვიშდა ცეცხლი, მაგრამ კეთილმა მეხანძრემ იგი უყოყმანოდ შინ მიიწვია. ცეცხლი გაოცებისაგან ლამის ჩაქრა...

— ვიჩქაროთ! — წამოიძახა მეხანძრემ და შინისაკენ გაიქცა.

ცეცხლიც ფეხდაფეხ მიჰყვა. როცა ოთახში შევიდნენ, ცეცხლმა ინანა, ასეთი კეთილი კაცი ულუკმაპუროდ რომ დატოვა, და გადაწყვიტა კეთილი გამხდარიყო. უეცრად ბუხარი შენიშნა, რომელიც დიდი ხანია, არ დანთებულიყო. აბა, ღარიბ კაცს შეშის საყიდელი ფული სად ექნებოდა?! ჰოდა, ცეცხლს დიდხანს აღარ უფიქრია, ბუხარში ისკუპა! მას შემდეგ იგი კეთილი მეხანძრის ბუხრის ბინადარი გახდა. როცა ქალაქში ყველაზე მდიდარსაც კი არა აქვს შეშა, ამ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს და ამიტომაც მეხანძრე გამვლელ-გამომვლელს შინ მთელი გულით ეპატიჟება.



# მღებავი

ერთ სოფელში კეთილი მღებავი ცხოვრობდა. საოცარი ფერის საღებავებით გულმოდგინედ ალამაზებდა თანასოფლელთა სახლების კარ-ფან-



ჯრებს, ლობეებს, ბავშვების მაგიდებსა და სკამებს; ჭიშკრებზე ხასხასა ჩიტებს, პეპლებს და ჯადოსნურ ყვავილებს ხატავდა. მისი ნახელავი, რომლის ჩამორეცხვა არც წვიმას შეეძლო და არც ადამიანს, ყველას გულს უხარებდა. ამის გამო იმ მიდამოში ხალხი ლაღად და ბედნიერად გრძნობდა თავს... მაგრამ იქვე, შორიახლოს, იყო ერთი მარტოხელა, ბოღმით სავსე კაცი. მას ნათელი ფერებით გალამაზებული სახლები, მოხატული ჭიშკრები და თანასოფლელთა სიხარული გულს უღონებდა.

ერთხელ ეს კაცი სოფლის განაპირა ბილიკით ტყისკენ მიდიოდა და თან იმას ფიქრობდა, როგორ გადაეხვეწა სადმე კეთილი მღებავი. სად იყო და სად არა, გზად ერთი თავქარიანი ქალი გადაეყარა. ქალმა დაბოღმილი კაცი რომ დაინახა, სახე გაუბრწყინდა სიხარულისაგან და ახარხარდა.

— რა გაცინებს?! — გაბრაზებით უთხრა კაცმა.

— როგორ თუ რა მაცინებს! მე ღამის ფერია ვარ და ბოღმისაგან სახემოჯღუნულ კაცს რომ დავინახავ, გული მინათდება! — აუხსნა ქალმა.

— შენც ჩემნაირი ზნე გჭირს და ამიტომ დარდსაც იოლად გამიგებ! — თქვა კაცმა და თავისი გასაჭირი დაწვრილებით უამბო.

— ისე, მაგნაირი ადამიანების გადასხვაფერება ძალიან ძნელია! თუმცა შევეცდები, დაგეხმარო, — უთხრა ქალმა კაცს და ერთი უშნო ფუნჯი გაუწოდა. — რასაც კი ამით შეეხები, უმალ ისეთ მოქამულ შეფერილობას მიიღებს, რომ მის შემხედვარე ადამიანს გული უიმედობით აევსება! ჰოდა, წაშალე ამ ფუნჯით კეთილი მღებავის ნახელავი და თუ ის ამის შემდეგ თავის საქმიანობაზე ხელს აიღებს და გადაიხვეწება, ხომ კარგი, შენ უფლება გექნება სოფელში დარჩე; თუ არა და, შენ უნდა გაეცალო იქაურობას!

კაცი სიხარულით შეხვდა ამგვარ პირობას და შინისაკენ გაძუნძულდა. შუაღამისას, როცა სოფელმა მიიძინა, იგი ჩუმად გამოვიდა გარეთ, სათითაოდ ყველა სახლს ჩამოუარა და კეთილი მღებავის ნახელავს თავისი ფუნჯი აუსვ-დაუსვა, სულ ერთთავად ჩააქამა ყველაფერი... მაგრამ, როცა უკანასკნელი სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა და თავისი ფუნჯი შემართა, კეთილი მღებავის ნახატიდან ერთი ლამაზი, იმედის მომგვრელი ფერებით მოხატული ჩიტი ამოფრინდა და სადღაც გაუჩინარდა! კაცმა ამ ამბავს ყურადღება არ მიაქცია და თავისი საქმის დასრულების შემდეგ შინ შებრუნდა, რომ ფანჯრიდან ეთვალთვალა, რა მოხდებოდა!

დილით სოფელმა გამოიღვიძა. ხალხმა სარკმლები გამოაღო, რომ მზეს და ერთიმეორეს მისალმებოდნენ, მაგრამ რას ხედავენ! ხასხასა ფერების ნაცვლად ირგვლივ ქამი და სევდაა! დაღონდა ყველა. ამ დროს კეთილი მღებავიც გამოვიდა შინიდან. შეხედა ნისლში ჩაძირულ მიდამოს და გული სევდით მოეწურა... იფიქრა, ალბათ საოცარი ფერები გამინაწყენდნენო, და გადაწყვიტა, სადმე შორს გადახვეწილიყო. ნივთები ერთ გუდაში გამოკრა და



წასვლამდე კარის ზღურბლიდან უკანასკნელად გადახედა თავის სოფელს. სანამ ნაბიჯს გადადგამდა, დამწუხრებულმა ხელი ზეაღმართა, რათა უიმედოდ ჩაექნია, მაგრამ...

უეცრად საიდანღაც გაჩნდა მისივე ნახატიდან ამოფრენილი იმედის ფერებით გაბრწყინებული ჩიტი და... მის საჩვენებელ თითზე ჩამოჯდა...

# აისი

## საქართველო

ქართველი ვარ და ვიზრდები
ჩემს ულამაზეს მხარეში,
მახარებს მისი მთვარე და
მისი მზე მიდგას თვალებში.

რა უნდა მოხდეს ისეთი,
ვინმემ სამშობლო წამართვას,
ძარღვებში სისხლი მიდუღს მე
ჩემი მამულის წამლადა.

ხათუნა ბიბლარიშვილი,
თბილისი, 169-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## ჩემი ვარსკვლავი

ყველაზე მეტად მთვარიანი ღამე მიყვარს — მშვიდი, წყნარი და ნათელი ღამე. მიყვარს ვარსკვლავებიც... გამორჩეულად კი ის ვარსკვლავი, ჩემი ოთახის ფანჯარაში რომ იხედება და მკრთალად მილიმის თუ ანათებს. შურით ვუყურებ ხოლმე უფრო დიდრონებს, რატომ არ არის ჩემი ვარსკვლავიც ასეთი დიდი და კაშკაშა-მეთქი? ისევ მის სიმორცხვესა და სიამაყეს ვაბრალებ. ასე მგონია, სხვა ვარსკვლავები ცაზე არც არსებობენ-მეთქი, ისე ვარ შეყვარებული ჩემს ვარსკვლავზე... ასე მგონია, მარტო მე კი არა, ყველა სხვაც, თუკი ერთხელ დაინახავს, მას შეეტრფის, მისკენ მიისწრაფვის... იმიტომ, რომ ჩემი ვარსკვლავი ყველაზე სტუმართმოყვარეა, ცის ვეებერთელა ლანგარზე მხოლოდ სამოყვროდაა გამოწვდილი...

...ოდესღაც დიდი ყოფილა ჩემი პატარა ვარსკვლავიც, მაგრამ ბოროტი ადამიანების ცქერასა და მათ საქმეებზე დარდს დაუჭკნია, ერთი ციდა გამხდარა. ის ბოროტი ადამიანები ახლაც არ აძლევენ მოსვენებას ჩემს ვარსკვლავს — ამაყსა და მრავალ ჭირგამოვლილს. ამბობენ, მრავალ ჭირგამოვლილებს ღმერთი იფარავსო... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

გინდათ, გაგიმხილოთ მისი სახელი? მე მას... საქართველო დავარქვი... იმიტომ, რომ პატარა და ლამაზია ჩემს ქვეყანასავით, მისებრ საყვარელია და სათაყვანებელი. მისი ჩაქრობა არ შეიძლება! ის უნდა ენთოს ჩემს იმედად, შენს იმედად, ყველას იმედად! ეს მხოლოდ ოცნება როდია ჩემი, მოთხოვნაც არის!

რუსუდან სურმანიძე,
ხულო, ყინჩაურის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## მიყვარს...

მიყვარს ზამთრის ტყე... თეთრ
თოვლზე
ფერმკრთალი სხივის ციმციმი,
მთა — მთა-წვერ-ულვაშჭაღარა,
გადაგრეხ-გადმოგრეხილი,
ტანდაძარღვული ბერმუხა,
ქარებით გადაზნექილი,
თოვლი და თოვლის ზვავობა
და თოვლის მერე... ჯეჯილი.

ეკა ხუციშვილი,
ხაშური, მე-8 საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## ქვა

ქვას არაფერი ადარდებს. უბრალოდ გდია ზარმაცი კაცივით. არც წვიმა არსებობს მისთვის, არც — მზე. არა, ორივე უნახავს, მაგრამ არ უგრძვნია, იმიტომ, რომ ქვაა. ბოლოს დგება დრო, როცა ყველა ლოდს ბზარი უჩნდება და მაშინ...

...იდო ერთი ჩვეულებრივი მოზრდილი ქვა — ლოდი. ხან მზე აწუხებდა, ხან აწვიმდა და ათოვდა, ხან ვინმე ჩამოჯდებოდა მასზე. ის კი იწვა და იწვა, ეძინა და ეძინა. ხმა ერთხელაც არ ამოუღია, თუმცა რაა გასაკვირი, ის ხომ ლოდი იყო, არაფრის მაქნისი ლოდი. მას მარტო წოლა შეეძლო.

ერთ მზიან დღეს ქვამ იგრძნო, რომ ვიღაცა ულიტინებდა ქვემოდან. ჯერ ესიამოვნა, მერე კი გაბრაზდა, აცახცახდა. ღიტინი არ ეშვებოდა. აღარ შეეძლო მეტი, ქვა შუაზე გაიპო და უცებ პატარა ყვავილი გამოჩნდა. ქვა გაბრაზდა, უფრო სწორად, ქვები — ნამსხვრევები გაბრაზდნენ. პაწია ყვავილმა კი მზე იხილა.

...დრო გადიოდა, ქვები თანდათან პატარა კენჭებად დაიშალნენ. ახლა კენჭები უყურებდნენ ყვავილს გაბრაზებით — ისინიც ხომ თავიანთი წინაპრის — ლოდის შთამომავალნი არიან...

სოფიკო რონიშვილი,
თბილისი, მე-2 ექსპერიმენტული
საშუალო სკოლა, VIII კლასი.



„რა კარგი დღეა". ირაკლი ჯანჯღავა. სოხუმი. მე-5 საშ. სკოლა, II კლასი.

# დედამიწის ტყვეები



ვლადიმერ
მიროშნიჩენკო

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

ვასია სემიონოვს თქვენ უკანასკნელად „პიონერის“ 1984 წლის მე-12 ნომერში შეხვდით. ხომ გახსოვთ „დაბრუნებული ბიჭი“?

დაბრუნდა თუ არა ვასია ზღვისპირა პიონერული ბანაკიდან, მწვრთნელმა, ძია დიმიტრიმ, უყოყმანოდ წარუდგინა მისი კანდიდატურა ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებს, რომელსაც საერთაშორისო ტურნირში უნდა ეთამაშნა. ვარჯიში სექტემბერში იწყებოდა და ვასია ბებიებთან გაემგზავრა სოფელ პეტუშკიში. იქ ორი დღე დაჰყო. მოსწყინდა და ქალაქში გაბრუნება დააპირა. მაგრამ უცებ შეიტყო, რომ ტყის გადაღმა, სატანის ცხაურად სახელდებულ ჭაობში წინა საღამოს ციდან ცეცხლოვანი სფერო დაშვებულა. ამ ამბავს აქაური მწყემსი, პაპა ეგორი და მისი ვაჟი, სავსებით ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი (იგი ტოკიოდან დაბრუნდა, სადაც უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა), ძია არკადი შესწრებიან. ვასია რაღა ვასია იქნებოდა, რომ ცნობისმოყვარეობას არ აეტაცნა...

ვასია სემიონოვმა ფრთხილად შეაღო ოთახის კარი. ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას ჩაფიქრებული ახალგაზრდა კაცი მისჯდომოდა.

— შეიძლება, ძია არკადი? — ხმადაბლა იკითხა ბიჭმა, მიპატიჟებას აღარ დაუცადა, შევიდა და კარი მიიხურა. — მე ვასია ვარ, ნიკოლოზ სიმიონოვის ვაჟიშვილი.

— ოო, ვასილიოკ, მობრძანდი, მობრძანდი! — გაუღიმა დამხვდურმა.— ეს რამოდენა გაზრდილხარ, კაცო, ა?

ამას მოჰყვა კითხვები: „მამა როგორ არის?“ „დედა რას შვრება?“ „როგორ სწავლობ?“ და მისთანები. ბოლოს, როგორც იქნა, ვასიამ წამიერი პაუზით ისარგებლა და სიტყვა ღამით მომხდარ ამბავზე ჩამოაგდო.

— ჰო, მეც შევესწარი, — უხალისოდ თქვა ძია არკადიმ. — მამაჩემს ვთხოვე, საიდუმლოდ შეენახა, მაგრამ უკვე მთელმა სოფელმა იცის და, მგონი, სატანის ცხაურზე წასვლასაც აპირებენ ზოგიერთები...

— მეც ვაპირებ,—არ დაუმალა სემიონოვმა. — მეტეორიტს ვიპოვნი და მეცნიერებათა აკადემიას გადავცემ. უსასყიდლოდ...

— არ არის საჭირო, — შეაწყვეტინა მეცნიერმა.

— რა... არ არის საჭირო? — გაიკვირვა ვასიამ.

— იქ წასვლა... და, საერთოდ...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ... ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ და გეტყვი: არავითარი მეტეორიტი თუ ბოლიდი არ იყო ეგ... დამიჯერე, რაღაც-რაღაცები მესმის ამ საკითხებში...

— მაშ, რა უნდა იყოს? — ვერ ისვენებდა ვასია.

— მოდი, ასე შევთანხმდეთ: მე საღამოს მოსკოვში მივფრინავ ორი დღით. ჩემს ჩამოსვლამდე არაფერი მოიმოქმედო. საქმე გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე შენ გგონია... ჩემი აზრით, ჩვენ უმო-სთან — უცნობ მფრინავ ობიექტთან — შეხვედრა გვქონის. გაგიგონია უმო?

„გამიგონიაო?“... ვილას არ გაუგონია უმო?

ძია არკადის რჩევის შესრულება ნამდვილად აღემატებოდა სემიონოვის შესაძლებლობებს და იგი მეორე დღეს, დილიდანვე დაადგა გზას. ტყე მეჩხერი იყო, ალაგ-ალაგ ახოები ხვდებოდა. ჩამოცხა. ბიჭი შუადღის მზეს ერთ ბორცვზე მდგარ მიტოვებულ ბეღელში დაემალა. თივაზე წამოწოლილს ჩაეძინა და როცა გაეღვიძა, უკვე ბინდდებოდა. ცა შავ საავდრო ღრუბლებს დაეფარა. მალე მეხთატეხა ატყდა. ვასიამ სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ტყეში გზა აებნა. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ ფართო ბილიკზე თეთრტანსაცმლიანი კაცი დალანდა, ჯერ შეხმიანება დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და კვალდაკვალ მიჰყვა უცნობს იმ იმედით, ამ გზით პეტუშკიმდე მიმიყვანსო...

უცნობი მაღალ ბუჩქნარში მიიმალა, ვასიაც თან მიჰყვა და ბუჩქნარი გათავდა თუ არა, ჭაობის პირას აღმოჩნდა. მიმოიხედა და ინსტინქტით, რომელიღაც მეექვსე თუ მეცხრე გრძნობით მიხვდა, რომ სატანის ცხაურის ყველაზე საშინელ ადგილთან, ეშმაკის ჭასთან იდგა.

ეს იყო ჭაობით გარშემორტყმული სუფთა წყლის დიდი წრე. მის ზედაპირზე ახლა უცნაური რამ ხდებოდა: სუსტად განათებული სფერული ნისლის ცენტრიდან აქეთა ნაპირამდე მკაფიო მწვანე ფერის ზოლი იყო ხიდივით გადებული. თეთრტანსაცმლიანმა უცნობმა ფეხი შედგა ამ ზოლზე და დინდგობილად მიჰყვა მას. ნისლოვან წარმონაქმნს მიუახლოვდა თუ არა, უცნობი მოულოდნელად გაქრა.

ვასილიოკს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ უცნობი უცხოპლანეტელი იყო, ხოლო ნისლოვანი წარმონაქმნის მიღმა მისი (მათი!) ხომალდი. უმო —



ეროვნული ბიბლიოთეკა



უცნობი მფრინავი ობიექტი იმყოფებოდა.

როგორც იქნა!

ბოლოს და ბოლოს, მოფრინდნენ ჩვენი უცხოპლანეტელი ძმები! და პირველი, ვინც სტუმრებთან კონტაქტს დაამყარებს, ვასია სემიონოვი იქნება!.. და ვასიამ გაბედულად შედგა ფეხი მკაფიო მწვანე ზოლზე. ზოლი ოდნავ ჩაილუნა, მაგრამ ბიჭმა იცოდა, რომ რაკი უცნობის სიმძიმეს გაუძლო, მის წონასაც გაუძლებდა, და თამამად მიჰყვა ამ უცნაურ ბილიკს.

მწვანე ნისლი შემოეხვია ვასიას, ნესტოები აუწვა, „დეზინფექცია?“ — გაიფიქრა. იმ წამსვე დამაბრმავებელი სინათლე დაეტაკა თვალებში. ხელი აიფარა და როცა მოიშორა, დაინახა, რომ ზღვის ნაპირას იდგა.

ლაჟვარდისფერი ზღვა სუსტად ფრთონავდა. ძლივს შესამჩნევი ტალღები ალერსით ლოკავდნენ თეთრი სილით დაფარულ სანაპირო ზოლს. ცაზე მხიარულად ჩახჩახებდა დიდებული მწვანე მზე.

ტანმაღალი ხეების ჩრდილში მდგარ დიდ მაგიდასთან რამდენიმე კაცი იჯდა. ყველანი ბიჭს შემოჰყურებდნენ.

ერთ-ერთი უცხოპლანეტელი წამოდგა, ვასიას მოუახლოვდა და უცნაური, არამიწიერი, მაგრამ სავსებით გასაგები ჟესტით მაგიდასთან მიიწვია. ხის ჩრდილში მსხდომნი ძალზე ჰგავდნენ ადამიანებს.

— გამარჯობათ, — თქვა ბიჭმა, მაგიდას რომ მიუახლოვდა. უცხოებმა თავი დაუქნიეს და მზერა დაებინდათ. არაფრით არ ელოდა სემიონოვი ასეთ შეხვედრას. სადაა ორკესტრი, ყვავილები?.. — რა მოხდა? — იკითხა, როცა პაუზა აუტანელი გახდა.

— სამშობლოს ვემშვიდობებით, — უპასუხა რომელიღაცამ. არადა, პირი არავის გაუღია, ტუჩებიც კი არ შერხევიათ.

— როგორ? რატომ?

— ვეღარასოდეს ვიხილავთ ჩვენს საყვარელ იასამნისფერ პლანეტა მიგალს, ვეღარასოდეს ჩავისუნთქავთ მის მათრობელა ჰაერს...

ვასიას ყელში თითქოს რაღაც გაეჩხირა, ისეთი სევდა გამოსჭვიოდა ამ სიტყვებში და უცხოთა მზერაშიაც.

— მაინც რატომ? რა მოხდა? — კინაღამ იყვირა. — იქნებ შევძლო რითიმე დაგეხმაროთ?

უცებ მიდამოს ბინდი მოეფინა, მერე მრავალფეროვან ნისლში ჩაიძირა. ნისლი რომ გაიფანტა, ვასიამ მიმოიხედა და მიხვდა, რომ ამჯერად კოსმოსურ ხომალდში იმყოფებოდა.

უცხოპლანეტელები სამართავ პულტთან ისხდნენ და ხელები სხვადასხვა ფერისა და სიდიდის ბერკეტებზე ედოთ. პულტის ცენტრში მოკლე ღერძზე შემდგარი ფიალა იდგა, რომელიც, წესით, როგორც სემიონოვმა გაიფიქრა, ცარიელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა კი შიგ არაფერი ჩანდა.

— შენ მართალი ხარ, დედამიწელო, — რომელიღაც უცხომ მყისვე გამოიცნო მისი ფიქრი. — უმაგისოდ სამშობლოში ვერ დავბრუნდებით. ახლა ჩვენ დედამიწის ტყვეები ვართ...

...იასამნისფერ პლანეტა მიგალზე მაღალგანვითარებული ცივილიზაცია ცხოვრობდა. არაფერი აკლდათ, გარდა ერთისა: უკიდეგანო კოსმოსში თავიანთი მსგავსნი სურდათ ეპოვნათ. მეცნიერებმა შექმნეს საოცარი ხელსაწყო, რომელსაც შეეძლო კოსმოსურ სივრცეში მათი გონიერი თანამოძმეების აღმოჩენა. მთავარი წარმმართველი ძალა ამ ხელსაწყოსი იყო ყვითელი ლითონის პატარა სფერო. ამ ლითონს დედამიწაზე ოქროს უწოდებენ. მაგრამ ეს, უბრალოდ, მარტო ოქრო როდი იყო, იგი დაამზადეს რამდენიმე სამაჯურისა და ბეჭდისაგან, რომელთაც მიგალელთა ცივილიზაციის არაერთი თაობა ატარებდა და რომლებიც თავიანთ მფლობელთა ბიოველს ატარებდნენ. სწორედ ეს ბიოველი, მილიარდჯერ გაძლიერებული, წარმართავდა მიგალელთა ასობით ხომალდს მსგავსი ცივილიზაციებისაკენ.

ხომალდმა, რომელშიც ახლა დედამიწელი იმყოფება, მოაღწია ცისფერ პლანეტას და დიდი ქალაქის სიახლოვეს დაეშვა, მაგრამ პირველმავე აბორიგენმა, სულ „ოკეის“ რომ გაიძახოდა, დრო იხელთა და გაიტაცა ოქროს სფერო. აბორიგენი დიდხანს ეძებეს, მაგრამ ამაოდ.

მალე ხომალდს რამდენიმე მუხლუხოიანი მძიმე მანქანა მოადგა. აბორიგენმა, რომელიც, ეტყობა, უფროსი იყო, ტექნიკური ინფორმაციის სანაცვლოდ ნებისმიერი რაოდენობის ოქრო შესთავაზა უცხოპლანეტელებს. მაგრამ მათ მხოლოდ თავიანთი ოქროს პატარა სფერო სჭირდებოდათ, ამიტომ უარი თქვეს, დამცავი ველი იფარეს, ჰაერში აიჭრნენ და აქ, ამ ტყის პირას დაეშვნენ.

— აქ, ჩვენში, არავინ არაფერს გერჩით, — მხურვალედ მიმართა დაღონებულ უცხოპლანეტელებს ვასიამ. — იცხოვრეთ ჩვენთან.

— ვთქვათ და დავრჩით, — იყო პასუხი. — მაგრამ მერე? თქვენ ჩვენ-

თან ურთიერთობა, კონტაქტს რომ უწოდებთ, არაფერს მოგცემთ. ცოდნას, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, ვერ გადმოგცემთ — ეტყობა, ჯერ თქვენ მომწიფებული არა ხართ საამისოდ. იგი უბედურების მეტს არაფერს მოგიტანთ.

სემიონოვს შუბლი შეეჭმუხნა.

— საქმე მარტო ცოდნაში არ არის. ჩვენი ვალია, დავეხმაროთ გაჭირვებაში მყოფთ. მე ვიცი, რომ ყველანაირი ოქრო თქვენ არ გამოგადგებათ. მაგრამ დედამიწაზე უამრავია ადამიანი, რომელთაც თქვენსავით იდეალებად გაუხდიათ მშვიდობა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება. აი, მათ მივმართავ... მარტო ჩემს სოფელში, იცით, რამდენია ასეთი პიროვნება?

ერთ-ერთი მიგალელი წამოდგა, ვასიასთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

— კეთილი. თუ დედამიწაზე მართლაც ბევრია ასეთი ადამიანი და შენ შესძლებ, მათი დახმარებით აღადგინო ჩვენი ოქროს სფერო, ჩვენი ტექნიკური ცოდნა თქვენი საზიარო გახდება. ხვალამდე დაგიცდით... ხვალ აქვე გელოდებით... ახლა კი წადი...

ვასია შემობრუნდა, ნაბიჯი გადადგა და უცებ ბებიების ეზოში ამოჰყო თავი. ეზო თანასოფლელებით იყო სავსე. ბიჭს შემოეხვივნენ, თან საყვედურობდნენ, სად დაიკარგე, გული რად გაგვიხეთქეო, თან ეფერებოდნენ, სხეულს უსინჯავდნენ, ყველაფერი მთელი აქვს თუ არაო.

ამ დროს ეზოს ჭიშკარი მილიციის რწმუნებულმა შემოაღო.

— რა ამბავია, მთელ სოფელს რომ აქ მოუყრია თავი? — იკითხა მკაცრად და პასუხისთვის არც დაუცდია: — მოსკოვიდან დარეკეს, ტყეში ფეხიც კი არავინ შედგასო, გასაგებია?!

— ხვალ ჯარს ჩამოიყვანენ, შეკრავენ იქაურობას, — ხმადაბლა თქვა პაპა კონსტანტინემ. — როცა რამე ამოუცნობი ხდება, მუდამ ასეა ხოლმე.

უცებ ვასიამ რაღაც წიწკვნა იგრძნო მარცხენა მაჯაზე. დაიხედა და — რატომღაც არ გაკვირვებია — ზედ ბრჭყვიალა ლითონის მოციმციმე სამაჯური ეკეთა. „ნუ გეშინია, — მოესმა ხმა, — ეს ჩვენი მეკავშირეა. როცა ხომალდზე მოსვლას ისურვებ, მარჯვნივ მოაბრუნე, ვიდრე ტკაცანს არ გაიგონებ...“

„ჯარი... ტანკები... რაკეტები... — შიშით გაიფიქრა სემიონოვმა. — იგივე ამბავი განმეორდება... ძალზე ცოტა დრო მომცეს მიგალელებმა. უნდა ვთხოვო...“ — და ის იყო, ადგილს მოსწყდა, რომ ბებიამ ხელი სტაცა.

— სად გარბიხარ? ისედაც მთელი დღე დაგვეკარგე!

ბებიას მარჯვენა ხელის არათითზე ოქროს ბეჭედი უბრჭყვიალებდა — ომში დაღუპული ქმრის სახსოვარი. მსგავსი ბეჭედი ეკეთა მეორე ბებიასაც — იმასაც ომში დაეღუპა ქმარი. და განა მარტო მეუღლეები დაკარგეს მოხუცებმა — პეტუშკი ხომ ფაშისტებმა გადაწვეს, თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს მოსახლეობა, მიწასთან გაასწორეს სოფელი. თუ სურთ, სწორედ ასეთ მოხუცებს სურთ მშვიდობა, ძმობა, თავისუფლება....

— ბებიებო, უნდა წავიდე, საქმე მაქვს!

ხალხი თანდათან გაიკრიფა ეზოდან, მარტო მოხუცი მეზობელი ქალი, ვარვარა ბებია დარჩა ამათთან.

— ვიდრე არ გვიამბობ, სად იყავი, ფეხსაც ვერ მოიცვლი! — გაჯავრდა მეორე ბებიაც. ეტყობა, არ ხუმრობდა, ბრაზით ერთიანად ცახცახებდა.

მაშინ ვასიამ ყველაფერი უამბო ბებიებს. აუხსნა, როგორი ოქრო სჭირდებოდათ უბედურებაში ჩავარდნილ მიგალელებს.

— სცრუობ! — არ დაუჯერა ერთმა ბებიამ. მეორე აქეთ-იქით საყვედურით აქნევდა თავს. ვარვარა ბებია დუმდა.

— რა, არა გჯერათ? — განაწყენდა სემიონოვი. — მაშ, თუ ასეა, აჰა, უყურეთ!

ვასიამ მკვეთრად შეატრიალა სამაჯური მარჯვნივ, გაისმა ხმადაბალი ტკაცანი და განცვიფრებულმა ბებიებმა შვილიშვილის ზურგს უკან ხომალდის კაბინის იასამნისფერი ბინდბუნდი დაინახეს. ბიჭი შებრუნდა. უცხოპლანეტელები მჭიდრო ჯგუფად იდგნენ და თვალს არ აცილებდნენ დედამიწელებს.



— შვილიშვილმა ჭეშმარიტება გითხრათ, — გაისმა ყრუ ხმა. — ჩვენ მართლაც თქვენი პლანეტის ტყვეები

ვართ და მხოლოდ ამ პატარა დედამიწელმა იცის, რას შეუძლია ჩვენი ხსნა. ძალიან გთხოვთ, დაუჯეროთ...

ბებიებმა ინსტინქტურად ზურგს უკან დამალეს ხელები.

უცხოპლანეტელებს მზერა დაებინდათ. სახე მოეღუშათ. „ყველა დედამიწელი ერთნაირი ყოფილაო“, იქნებ ასეც გაიფიქრეს. სემიონოვს ერჩია, მიწა გახეთქოდა. და ამ დროს უცებ ერთი ბებია ალაპარაკდა:

— ეს ბეჭედი ჩემმა ალექსიმ მაჩუქა, როცა ჯვარს ვიწერდით. მაშინ. ბედნიერები ვიყავით. სახლი ავაშენეთ, ხუთ შვილს ვზრდიდით. ფაშისტები დაგვესხნენ თავს, თითქმის მთელი სოფელი ამოჟლიტეს და გადაბუგეს. ერთადერთი ბიჭი გადამირჩა, ნანგრევ-ნახანძრალიდან აი, ამ ხელებით ამოვიყვანე... აჰა, ჩემი ხელები რა დღეშია... ახლაც დასიებულ-დაკოჟრილია. ვთქვათ, გულით მოვინდომო, ვერც კი წავიძრობ თითიდან ამ ბეჭედს...

უცხოპლანეტელები უხმოდ იდგნენ. ბებია შვილიშვილს მიუბრუნდა:

— მიდი, ვასილიოკ, ლოჯი და ჩაქუჩი მოიტანე!

— საჭირო არ არის, — თქვა უცებ ხომალდის მეთაურმა. — მაჩვენეთ თქვენი ხელი.

მოხუცმა მარჯვენა გაუწოდა. მეთაურმა ხელი დაადო მის ბებრულ მტევანს, ნაზად გადაუსვა ხელისგული. ბეჭედი სულ თავისუფლად წაძრო და საიდანღაც გაჩენილ ბრჭყვიალა ფიალაში წკარუნით ჩააგდო.

ბებია განცვიფრებული დაჰყურებდა თავის ხელს და ველარ სცნობდა: ნაოჭები გაუქრა, კანი დაეწმინდა და დაეჭიმა, თითების სახსრები დაუპატარავდა და ისეთივე ფაქიზი გაუხდა, ახალგაზრდობაში რომ ჰქონდა.

— მე რა, მე საფლავში წავიღებ თან ამ ჩემს ბეჭედს, . თუ როგორ ფიქრობთ? — შესძახა მეორე ბებიამ. — ეს ბეჭედი ჩემმა განსვენებულმა დედამთილმა წამომაცვა თითზე. ისიც იმ ქლეტისას დაიღუპა...

— კეთილი ადამიანებისათვის არაფერი მენანება, — წინ წამოდგა ბებია ვარვარა. — აჰა, ჩემი მრავალჭირნახული ბეჭედიც ინებეთ...

— საკმარისია, — თქვა მეთაურმა, როცა ბებია ვარვარას ბეჭედიც წკარუნით ჩავარდა ფიალაში. სამივე ბეჭედი უცებ ლალისფრად აენთო, ალი წამის შემდეგ ჩაქრა და ყველამ დაინახა ფიალის ფსკერზე ყვითლად მოელვარე ოქროს პაწაწინა სფერო. ფიალა გაცურდა და პულტის თავზე თავისი ადგილი დაიკავა. კაბინის ჭერი გადაიხსნა, ფიალიდან იასამნისფერი სხივი აიჭრა ზემოთ და აციმციმებულ ვარსკვლავთაგან ერთ-ერთ ყველაზე უკაშკაშეს მნათობს მიებჯინა.

— მიგალი! — ერთხმად შესძახეს უცხოპლანეტელებმა.

მეთაური დედამიწელებისკენ შემობრუნდა.

— ჩვენ მივდივართ, — თქვა მან. ხელი გაიშვირა და იმ წამსვე მის ხელისგულზე მომცრო მრავალფეროვანი კრისტალი გაჩნდა. — გამომართვი, ახალგაზრდა დედამიწელო! თქვენს ნებისმიერ კომპიუტერს შეუძლია მისი გაშიფვრა. შიგ კოლოსალური ცოდნაა ჩაწერილი და კიდევ — ოთხი მცნება: მშვიდობა, ძმობა, ერთობა, თანასწორობა!... თქვენ კი, მშვენიერო დედამიწელო ქალიშვილებო, გმადლობთ და მშვიდობით!..

თქვა და გაქრა.

„მშვენიერო დედამიწელო ქალიშვილებოო?!“

ვასია სემიონოვი ბებიებს მიუბრუნდა და განცვიფრებული პირღია დარჩა: მის წინ მოხუცები კი არა, სიცოცხლით სავსე მშვენიერი ქალიშვილები იდგნენ, სწორედ ისეთები, მათ ძველისძველ ფოტოსურათებზე რომ უნახავს.

ხოლო წამის შემდეგ სატანის ცხაურის თავზე დაფიონი აინთო, ცეცხლოვანმა სფერომ ნელ-ნელა აიწია ზევით, მერე თანდათან აჩქარდა და უკიდეგანო კოსმოსს შეერია.

„ჩვენ დავბრუნდებით, დედამიწელებო!“ — მოესმა ვასია სემიონოვს იდუმალი ხმა.

წკრიალა სიჩუმე იდგა სოფელში.

თარგმნა
**ნ. მარიხიამ**

ყველაზე საოცარი ამ უაღრესად პოპულარული შავკანიანი ამერიკელი მომღერლის შემოქმედებაში ის არის, რომ წარმატების მწვერვალს მან 45 წლისამ მიაღწია. ეს იყო 1984 წელს, როცა გამოვიდა ტინას სოლო ალბომი „ვცეკვავ ფულისათვის“ („პრაივატ დენს“). ეს ფირფიტა ათმილიონიანი ტირაჟით გამოვიდა და ხმის ჩამწერი კომპანიების სამი უმაღლესი ჯილდო („გრემმი“) მოუტანა მომღერალს.

1985 წელს ტინა ტერნერმა მაიკლ ჯექსონთან, ბობ დილანთან, რეი ჩარლზთან, ბრიუს სპრაინგსტინთან ერთად ჩაწერა ცნობილი ალბომი „ჩვენ წარმოვადგენთ პლანეტას“, („ვი ა ზე“), რომელიც აფრიკის დამშეული მოსახლეობის სასარგებლო აქციას წარმოადგენდა. მომღერალმა აფრიკის სასარგებლო მეორე საქველმოქმედო აქციაშიც მიიღო მონაწილეობა. მაშინ იგი სცენაზე „როლინგ სტოუნზის“ ვოკალისტ მიკი ჯაგერთან ერთად გამოვიდა.

ტინა ტერნერის მეორე ალბომი „ძირს ყველა წესი“ („ბრეიკ ევრი რულ“) 1987 წელს გამოვიდა და ისიც მილიონობით გავრცელდა. ამის შემდეგ მომღერალი ხანგრძლივ ტურნეში გაემგზავრა. რიო დე ჟანეიროში გამართულ მის ერთ-ერთ კონცერტზე 180 ათასი მსმენელი მოვიდა. ამბობენ, ჯერ არც ერთ სხვა

## მაღალი ზნეობის გაკვეთილები

(ლ. ორბელის ცხოვრებიდან)

არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ მაღალი პროფესიონალიზმი მუდამ არ ნიშნავს მხოლოდ საკუთარი საქმის კარგად ცოდნას. იგი თავის თავში თითქმის ყოველთვის პიროვნების მაღალ მოქალაქეობრივ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

საბჭოთა ფიზიოლოგიის ისტორია

# თანამედროვე რიტმები



# ტინა ტერნერი

შემსრულებელს არ შეუკრებია ამდენი მსმენელი თუ მაყურებელიო.

ტინას შემოქმედებითი კარიერა კი მისურის შტატის ქ. სენტ-ლუისის გეტოების ციცქნა კლუბებში დაიწყო. მაშინ მას სახელიც სხვა ჰქონდა, ნამდვილი — ანი მეი ბულოკი. აწეწილ-დაწეწილი ოჯახის გამო გოგონა თავს მიუსაფრად გრძნობდა, ხან დედასთან ცხოვრობდა, ხან — მამასთან, ხან — ბებიასთან და შორეულ ნათესავებთანაც კი. მოგვიანებით მომღერალი იხსენებდა, იმ წლებში ჩემი ერთადერთი სიხარული და სიამოვნება საეკლესიო გუნდში სიმღერა იყოო. 1956 წელს ანი ქმარს საბოლოოდ გაშორებულ დედასთან გადადის საცხოვრებლად სენტ-ლუისში. ერთხელაც ელინ ბულოკმა ღამის კლუბ „მანჰეტენში" მიიყვანა თავისი 16 წლის და, ანი. კლუბში იმხანად გამოდიოდა ქალაქის ყველაზე პოპულარული მუსიკალური ჯგუფი „რიტმის მეფეები" აიკ ტერნერის ხელმძღვანელობით. აიკმა მოუსმინა ქალიშვილს და იმდენად მოეწონა მისი ხმა, რომ მაშინვე ჯგუფში მიიწვია. მალე ტინა ცოლადაც გაჰყვა ტერნერს და სწორედ მაშინ დაიწყო მისი წამება. გარდა იმისა, რომ უაღრესად ინტენსიური, მომქანცავი მუშაობა უწევდა — გამოსვლები, ჩაწერები — ტინა ქმრის აღვირახსნილობასაც ითმენდა. უმძიმესი ხასიათის პატრონი, კოკაინით გაბრუებული ტერნერი ხშირად სცემდა კიდეც მას. სასოწარკვეთილებამდე მისულმა ტინამ თავის მოკვლაც კი სცადა, მაგრამ ექიმებმა გადაარჩინეს. ერთხელაც, როცა აიკმა კვლავ სცემა, ტინამ ბოლოს და ბოლოს მიატოვა იგი და 86 ცენტის ამარა წამოვიდა სახლიდან. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა, შვილებს უმუშევრობისათვის მიღებული დახმარებით არჩენდა. მაგრამ მაინც მოახერხა დისკოს სტილის მშვენიერი კოლექტივის შექმნა. მერე ახალი მენეჯერი, როჯერ დევისიც გამოუჩნდა და 1981 წელს ნიუ-იორკის როკ-კლუბ „რიცში" შედგა ტინა ტერნერის დებიუტი, რომელმაც ისეთი წარმატებით ჩაიარა, რომ მომღერალმა და მისმა ანსამბლმა უმალ რამდენიმე მიწვევა მიიღეს. წარმატებას წარმატება მოსდევდა. 1982 წელს ტინამ ზედიზედ ჩაწერა „შფოთის ბურთი", „ცდუნებანი", „ნუ დავცილდებით ერთმანეთს". ამ უკანასკნელს დიდი წარმატება ხვდა ინგლისში, ეს სინგლი ამერიკაშიც მოისმინეს და ტინა ტერნერს ჩაწერაც შესთავაზეს. ამის შემდეგ ტინა ძალზე პოპულარულ შავკანიან მომღერალთან და კომპოზიტორთან ლაიონელ რიჩისთან ერთად საგასტროლოდ გაემგზავრა. დიდი წარმატება ხვდა წილად მის სინგლს „რა შუაშია აქ სიყვარული", რომლის წყალობითაც მომღერალმა პირველად დაიკავა პირველი ადგილი ჰით პარადებში.

ტინა ტერნერის ტრიუმფალურ დაბრუნებას როკ-მუსიკაში, მის დიდ პოპულარობას არა მხოლოდ მისი შემოქმედებითი სტაბილურობით და ბრწყინვალე მუსიკალური მონაცემებით ხსნიან, არამედ, პირველ რიგში, მისი პიროვნებით, მისი ხასიათის სიმტკიცით.

---

იცნობს ამ მხრივ საგულისხმო ერთ ასეთ ფაქტს: ჩვენ ქვეყანაში საყოველთაოდ აღიარებული ფიზიოლოგი ლეონ ორბელი დაინტერესდა წყალქვეშა და კოსმოსში მომუშავეთა პირობებით. უფრო კონკრეტულად, მან ჩაიფიქრა, მიეგნო საშუალებისათვის, რომლითაც მეცნიერებას არ გაუჭირდებოდა კრიტიკულ სიტუაციებში — ვთქვათ, წყალქვეშა და კოსმოსურ ხომალდებში ჰაერის საჭირო მარაგის მოულოდნელად გამოლევისას — დახმარებოდა ამ პროფესიების ადამიანებს. ამისათვის მეცნიერმა საკუთარ ორგანიზმზე შეისწავლა ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა სულის ხუთვის მომენტში. ლ. ორბელმა ჩაატარა, ერთი შეხედვით, თითქოს არცთუ ძნელი ასეთი ცდა. იგი თავად ჩაჯდა ჰერმეტულ საკანში, რომლიდანაც ჰაერი წინასწარ ამოატუმბინა იმ რაოდენობით, რომ შიგ დარჩენილიყო მხოლოდ 12 კმ-ის სიმაღლეზე არსებული ჰაერის რაოდენობის შესატყვისი მარაგი. გაბედულ ექსპერიმენტატორს სული შეეხუთა. მან გრძნობა დაკარგა. მეცნიერი გონს მოიყვანეს 4 საათის შემდეგ, მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის ჩატარების შედეგად. მიუხედავად ჯანმრთელობის დამანგრეველი ზემოქმედებისა, ლ. ორბელმა საკუთარ ორგანიზმზე ისევ ჩაატარა ამ ტიპის მეორე ცდა. ექსპერიმენტი განხორციელდა შავ ზღვაზე, წყალქვეშა ნავის ნაკვეთურში. რისკი, რა თქმა უნდა, ამჯერადაც უზარმაზარი იყო. ამ ექსპერიმენტთა ციკლით ცნობილმა საბჭოთა ფიზიოლოგმა ფარდა ახადა მეცნიერებისათვის უამრავ ბუნდოვან საკითხს, კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა ჭეშმარიტებას.

ჩვენი წარსულიდან

# ანიკეტი

ანიკეტი ქართველი ხალხის საამაყო შვილია. მისი სახელი ჩაუქრობელ შუქურასავით ანთია საქართველოს ისტორიაში, მან გმირულად გასწირა თავი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ანიკეტი შავიზღვისპირელი ქართველი იყო. იგი დაიბადა და აღიზარდა ძველთაძველი მხარის, ქალდეს, ანუ ხალდეს დაბაში, რომელსაც შვიდსოფელს ეძახდნენ. მისი წინაპრები მესხეთ-ჯავახეთის სოფლის ანაკერტის მკვიდრნი ყოფილან. შესაძლოა, გვარ-სახელი ანიკეტი ანაკერტიდან მომდინარეობდეს.

ანიკეტს ბავშვობიდანვე უყვარდა და იტაცებდა მშობლიური ზღვა. ხშირად დარბოდა მის ნაპირებზე, თავის თანატოლებთან მშვილდ-ისრით ომობანასაც თამაშობდა. ცურვაში ხომ ბადალი არა ჰყავდა. ხისგან პატარა ნავებს აკეთებდა, ზღვაში უშვებდა, პატარა „ფლოტილიას" წინ მიუძღოდა. ასეთ ნავს კამარას ეძახდა. ანიკეტის მიერ გაკეთებული ნავები, თითქოს კამარა შეჰკრესო, ისე მოექცეოდნენ ხოლმე თავზე ზღვის ტალღებს.

ჩვენ არ ვიცით, ვისი შვილი იყო ანიკეტი, რა პირობებში აღიზარდა. ის კი ცნობილია, რომ მშრომელთა წრიდან იყო გამოსული. პირადი ნიჭის წყალობით ყმობას თავი მალე დააღწია. ლაზთა მეფე პოლემონმა იგი გაათავისუფლა და თავის ამალაში ჩარიცხა. ანიკეტმა, როგორც საზღვაო-საბრძოლო საქმის დიდმა მცოდნემ და თავად მამაცმა და საზრიანმა მეომარმა, სამეფო ფლოტის უფროსობამდე მიაღწია. შემდეგ სამეფო კართან მომხდარი რაღაც უთანხმოების გამო ანიკეტი სამეფო ფლოტს ჩამოშორდა და ტრაპიზონში მოღვაწეობდა.

ანიკეტი არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური მოღვაწეც იყო. გმირული სულით ანთებულმა, ახოვანებითა და გონიერებით სახელგანთქმულმა ხალხში დიდი პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ანიკეტი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როდესაც საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი მხარე ჭანეთი რომაელებმა დაიპყრეს. ეს მოხდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შუა წლებში. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი წერდა: „ანიკეტი გულმტკივნეული იყო იმ ცვლილების გამო, რომ სამეფო პროვინციად აქციესო".

რომაელთა დაპყრობითი გეგმები სრულიადაც არ ეთანხმებოდა ანიკეტის პოლიტიკურ მიზნებს. ეს უნდა ყოფილიყო კოლხთა სამეფო კართან მისი უთანხმოების ძირითადი მიზეზი — მეფე პოლემონი უფრო ზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო რომაელებთან დამოკიდებულებაში.

ანიკეტმა შემოიკრიბა თავდადებული გმირები და მოამზადა დიდი სახალხო აჯანყება. მისი მიზანი იყო, ტრაპიზონში გაენადგურებინა რომაელთა გარნიზონი და ქალაქი უცხოელ დამპყრობთაგან გაეწმინდა, ხოლო შემდეგ ზღვაზე ხელთ ეგდო მტრის ფლოტი. ამ დროს ტრაპიზონში დაბანაკებული იყო ელინ ჯარისკაცთა კოჰორტა. ეტყობა, რომაელები ელინთა იმედით იყვნენ გამაგრებული ამ ქალაქში.

ანიკეტმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და კარგად მოწყობილი აჯანყება წარმატებით განახორციელა. მან ეს ასე მოახერხა: როდესაც რომაელთა ფლოტის უფროსმა მუკიანემ ჯარი ტრაპიზონიდან ზღვით ბიზანტიაში გაიყვანა (ტრაპიზონში კი ელინთა ჯარისკაცების გარნიზონი იდგა) და ხომალდები უკან დაბრუნდა, შეიარაღებული ქართველები ანიკეტის მეთაურობით შეიჭრნენ ტრაპიზონში, ელინთა კოჰორტა ამოხოცეს და შემდეგ ხომალდებს ცეცხლი წაუკიდეს. ტრაპიზონში ანიკეტმა თავისი ჯარი დააყენა, ზღვაში კი თავისი ხომალდები (კამარები) გაუშვა. ქალაქშიც და ზღვაშიც ქართული დროშები აფრიალდა.

ხალხმა ამ აჯანყებას ანიკეტის აჯანყება უწოდა. პირზე ყველას მეთაურის სახელი ეკერა. ლაზთა მეფე სიხარულით შეხვდა ამ გამარჯვებას და დიდად დაუმადლა ანიკეტს.

აჯანყების ამბავი რომში შეიტყვეს. იმპერატორმა ვესპასიანემ თავისი ლეგიონებიდან რჩეული რაზმები გამოჰყო, გამოცდილი მხედართუფროსი ვირდი გემინი უსარდლა და კოლხეთში გამოგზავნა. აჯანყებულ ქართველებსა და რომაელთა შორის სასტიკი ბრძოლები ჯერ ზღვაზე გაიმართა, შემდეგ კი ტრაპიზონსა და მის სანახებში გაიშალა. მტრის სიმრავლემ აიძულა ანიკეტი, მძიმე ბრძოლებით უკან დაეხია და შავ ზღვასთან, მდინარე ხობის შესართავში, საიმედო ადგილას გამაგრებულიყო. სხვა გადმოცემით, ანიკეტი თავისი თანამებრძოლებით გამაგრდა ციხეგოჯისა და შხეთის სანახებში. აქ, ამ ადგილებში, მღვიმეებსა და დარანებში, მართლაც საიმედო თავშესაფარი იყო.

რომაელებმა კარგად იცოდნენ, რომ ანიკეტსა და ლაზთა მეფეს ურთიერთკავშირი ჰქონდათ და ამიტომაც შეეცადნენ, მათ შორის მტრობა ჩამოეგდოთ. ვირდი გემინმა ლაზთა მეფეს საგანგებო ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა: „ომი გინდა თუ ჯილდო? იცოდე, ანიკეტთან კავშირი უნდა გაწყვიტოო". მეფემ უპასუხა: „ჯილდო რა საკადრისია და არც ომი გვინდაო".

ომის შიშით მეფემ, ეტყობა, ვეღარ შესძლო ანიკეტისა და მისი მებრძოლი გუნდის დაცვა. მიუხედავად ამისა, რომაელებმა მაინც ვერ მოახერხეს ანიკეტის ხელში ჩაგდება,



ხობის უდაბურ ხეობაში ეს ადვილი არ იყო. ანიკეტის რაზმი გმირულად შეაკვდა მოძალებულ მტერს. მძიმედ დაჭრილი მეთაური კი რომაელებმა დაატყვევეს.

ზოგიერთი გადმოცემით, ანიკეტი განკურნების შემდეგ რომში წაუყვანიათ და, როგორც საზღვაო საქმის დიდი მცოდნისათვის, იმპერატორის ფლოტში გემის კაპიტნობა მიუციათ.

ისტორიკოსი სვეტონიუსი გადმოგვცემს, რომ იმპერატორმა ნერონმა სამეფო ტახტის დაკარგვის შიშით საკუთარი დედის, აგრიპინას თავიდან მოცილება განიზრახა. ამისათვის დაიბარა გემის კაპიტანი ანიკეტი და საიდუმლოდ დაავალა, აგრიპინა წაეყვანა გემით ნეაპოლის უბეში აგარაკზე და ისე მოეხერხებინა, რომ შუა ზღვაში გემი დაეზიანებინა, რათა წყლით ავსებულიყო და აგრიპინა დამხრჩვალიყო.

ქართველი დედის აღზრდილმა გმირმა ნერონის საშიში და ვერაგული დავალება არ შეასრულა, თუმცა ამის გამო სიკვდილი მოელოდა: გემი ნაპირთან ახლოს მეჩეჩს დააჯახა და დააზიანა. აგრიპინამ კარგი ცურვა იცოდა და ნაპირზე გამოვიდა. ანიკეტმა ნერონს აცნობა, გემი მეჩეჩს დაეჯახა და თქვენი დავალება ვერ შევასრულეო. იმპერატორმა შემონათვალი ირწმუნა. როდესაც ნერონის ხელისუფლება დაემხო და თვით ნერონიც ამ ქვეყნად აღარ იყო, ანიკეტი იტალიის კუნძულ სარდინიაზე გადაასახლეს, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა.

ანიკეტის შესახებ ცნობები ქართულ ისტორიულ წყაროებში, სამწუხაროდ, დაცული არ არის. ისინი უთუოდ იქნებოდა, მაგრამ, ეტყობა, ჟამთა სიავეს ვერ გადაურჩა. არც ხალხურ თქმულებებს მოუღწევია ჩვენამდე, თუმცა წარმოუდგენელია, რომ ანიკეტზე, როგორც სახალხო გმირზე, ხალხის აღტაცებული სიტყვა არ თქმულიყო.

ანიკეტის აჯანყების ამბავი მოთხრობილი აქვს რომაელ ისტორიკოსს ტაციტუსს, რომელიც ანიკეტის თანამედროვე და, შესაძლოა, მოწმეც იყო მისი გმირული ბრძოლებისა.

ვახტანგ სიდამონიძე

## საინტერესო სიახლენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ელვა-საკინძე... ქირურგიაში

ქალაქ შჩეცინის (პოლონეთი) ერთმა ფაბრიკამ, ევროპაში მეორემ, დაიწყო ელვა-საკინძის გამოშვება ქირურგიისათვის. ელვა-საკინძე ცვლის ნაკერს, რომელსაც ჭრილობაზე ოპერაციის შემდეგადებენ.

ოპერაციის წინ იმ ადგილას, რომელიც უნდა გაკვეთონ, აკრავენ მწებარე ლენტებზე გაკეთებულ პლასტმასის ელვა-საკინძეს. საკინძეს გახსნიან და ქირურგი იწყებს სკალპელით მუშაობას. ოპერაციის დასრულების შემდეგ ელვა-საკინძეს ჰკრავენ, ხოლო როცა შეხორცების პროცესი დამთავრდება, უბრალოდ,ააძრობენ ნაიარევი ადგილიდან.

### პერსონალური მიკროკლიმატი

ცნობილმა იაპონურმა ფირმა „მაცუსიტამ" დაიწყო კონდიციონერით აღჭურვილი საწერი მაგიდების გამოშვება. მაგიდა ქმნის მიკროკლიმატის პერსონალურ ზონას, რომელიც ზაფხულში გრილია, ზამთარში კი — თბილი. გამოდის სამი მოდელი — მოზრდილებისათვის, სტუდენტებისათვის და მოსწავლეებისათვის.

### უგრძესი გვირაბი

მსოფლიოში უგრძესი წყალგამტარი გვირაბი გაიყვანეს იუგოსლაველმა ინჟინრებმა. მისი სიგრძე 8088 მეტრია. გვირაბი მდინარე ვისოჩიცის ჰიდროელექტროსადგურის ვეება წყალსაცავს აწვდის წყალს.

### წისქვილი მადნისათვის

ერთმა ცნობილმა ფინურმა ფირმამ საბჭოთა კავშირის დაკვეთით შექმნა მსოფლიოში უდიდესი სფერული წისქვილი მადნის დაქუცმაცებისათვის. ერთი ასეთი წისქვილი 6-7 ნაკლები სიმძლავრის აგრეგატს ცვლის, ხოლო ერთი ტონა დაქუცმაცებული მადანი ოცდაათი პროცენტით უფრო იაფი ჯდება. კონსტრუქცია საინტერესოა იმით, რომ არ გააჩნია ცალკე ელექტრომოტორი. ელექტრო ძრავას როტორის მაგივრობას თვით წისქვილის დოლურა სწევს.





4. სხვა წვრილმანი პრობლემები

- სუფრის მარილის ძლიერი ხსნარით (2 სუფრის კოვზი ერთ ჭიქა წყალში) შეიძლება სწრაფად გაწმინდოთ გაყინული ფანჯრის მინები. როცა მინებს ყინული მთლიანად მოსცილდება, ისინი რბილი ჩვრით გაამშრალეთ.
- ოთახის თუ ავტომანქანის ფანჯრის მინა არ დაორთქლდება, თუ მას მარილში ამოვლებულ სველ მარლას გადაუსვამთ.
- სათბურა დიდხანს შეინარჩუნებს სითბოს, თუ წყალს ცოტაოდენ მარილს დაუმატებთ. თუ სათბურა გაიხვრიტა და წყალს ველარ იჭერს, მისი დაწებების საშუალება კი არ გაგაჩნიათ, შეგიძლიათ იგი წყლის ნაცვლად გახურებული მარილით გაავსოთ.
- მარილს მარტო გათბობა კი არა, გაგრილებაც შეუძლია. თუ გსურთ, რომ ცხელი წვენი ან კომპოტი სწრაფად გააცივოთ, სითხიანი ქვაბი უფრო მოზრდილ ქვაბში ჩადგით, რომელშიც ერთი პეშვი მსხვილი მარილით შეჯერებული წყალი ასხია. თუ გინდათ სიცხეში რამდენიმე დღით შეინახოთ ახალი ხორცი, იგი ნაჯერი მარილხსნარით დასველებულ მარლაში გაახვიეთ.
- უმი კვერცხი მშრალ წმინდა მარილში დიდი ხნით ინახება.
- ბლაგვი დანა ადვილად გაილესება, თუ მას ნახევარი საათით სუსტ მარილწყალში მოათავსებთ.
- ზეთის საღებავების სუნი, რომელიც ახალგარემონტებულ ბინაში დიდხანს რჩება, სწრაფად გაქრება, თუ რამდენიმე ადგილას მარილიან თეფშს დადგამთ.
- თუ შებოლილ ძეხვს წუთით ნაჯერ მარილწყალში ჩაუშვებთ, ხოლო მერე გრილ ადგილას ჩამოკიდებთ, რომელიც კარგად ნიავდება, მას დიდხანს არ მოეკიდება ობი.

### საბალე ნაკვეთში

- თუ წყლიან ლარნაკში ცოტაოდენ მარილს ჩაყრით (ლიტრ წყალში 1 ჩაის კოვზი), თაიგული უფრო მეტ ხანს გასძლებს.
- იქნებ სურვილი გაგიჩნდეთ, სტუმრები სანთლებით განათებულ ოთახში მიიღოთ... მაშინ, ვიდრე აანთებდეთ, სანთლები მარილწყალში დაასველეთ. ისინი ნაკლებ დაიღვენთებიან, თანაბარი ალით დაიწვებიან და დიდხანსაც ანათებენ, მით უფრო, თუ პატრუქის სიახლოვეს მარილის რამდენიმე კრისტალს მოათავსებთ.
- თუ შეშა კოცონზე ან ღუმელში ცუდად იწვის იმის გამო, რომ სველია, მას მარილი მოაყარეთ და ნახავთ, როგორ აბრიალდება.




● როცა დიასახლისი ხინკალს ან პელმენს ამზადებს, ცხადია, სურს, რომ ერთ გაკეთებაზე რაც შეიძლება მეტი დაამზადოს, ხის დაფა კი ყველას ვერ იტევს; შენახვაც არაა ადვილი. არსებობს მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალი: ოთხი მომცრო თაროსაგან გააკეთე სტელაჟი იმ ვარაუდით, რომ იგი თავისუფლად დაეტიოს მაცივრის საყინულეში.

● თუ ფიცარში, ტექსტოლიტში ან პლასტმასაში მცირე დიამეტრის (0,8-1,0 მმ) ხვრელის გაბურღვა დაგჭირდა, შეგიძლია საფარგლის ფარგალი გამოიყენო: მის დამჭერში ჩაამაგრე საჭირო ბურღი და მუშაობას შეუდექი. ბურღის გატეხის საშიშროება ამ შემთხვევაში საგრძნობლად ნაკლებია.

● არსებობს კიდევ ერთი მარტივი ხერხი იმისათვის, რომ ზამთარში ყინულზე ფეხი არ დაგიცურდეს. ფეხსაცმლის ქუსლში ჩაარჭვე ორი წვეტიანი კავი ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები. კავები 2-3 მმ სისქის მავთულის ან ლურსმნისაგან მზადდება.

● თუ მყიდროსაცობიან პლასტმასის ქილას წყლით აავსებ და გაყინავ, მოათავსე იგი სურსათიან ჩანთაში და შეგიძლია მშვიდად შეუდგე ხანგრძლივ მოგზაურობას ზაფხულის ცხელ დღეს: ქილა სიცივის აკუმულატორის მაგივრობას გასწევს.

● საჭირო ზომის შიფერის დაჭრა ხერხითაც შეიძლება, მაგრამ ეს ფრიად მძიმე და შრომატევადი სამუშაოა. არის სხვა, უფრო მარტივი საშუალება: ზომა აიღე და სწორი ხაზის გასწვრივ 2-3 სანტიმეტრის დაშორებით ლურსმნით ხვრეტები გააკეთე, მერე შიფერის ფურცელი საყრდენზე დადე და გადატეხე.

● თუ საცობი (კორპის საცობს ვგულისხმობ) ბოთლის ყელისთვის პატარაა, მდუღარე წყალში ჩააგდე და გაიბერება, თუ დიდია — გვერდზე ან ბოლოში განასერი გაუკეთე.

● რძის ან მაწვნის ბოთლს ფსკერი წყლით დაუფარე და ნაკვერცხლებზე ან ცხელ ღუმელზე დადგი. ბოთლს ძირი გასძვრება. მერე ეს უფსკერო ბოთლი ანთებულ სანთელს ჩამოაცვი და ლამპაც მზად იქნება.













# სარჩევი


ს. შამფრიანი — საახალწლო (ლექსი) . . . გარეკ. 2
ნ. ხარაზიშვილი — ზღვა უხმობს ვაჟკაცებს (ნარკვევი) . . 1
ვლ. ასლამაზიშვილი — თეთრი უდაბნო მთებში (მოთხრობა) . . . . 4
გ. კლდიაშვილი — ლექსები . . . . 11
ნ. ფავლენიშვილი — იმედით, შთაგონებით, გზნებით (ნარკვევი) . . . . 12
გ. ბებეჭკორი — აკაკი წერეთლის ცხოვრება . . . 14
გ. ჭიჭინაძე — მეტროს ჩიტები (ლექსი) . . . 17
რ. ლორია — ლექსები . . . . 17
ლ. ხოშტარია — ლექსები . . . . 17
ნ. ჭედია — მეტიტინება ერთი პატარა (ლექსი) . . . 17
ნ. აფხაზავა — გზა დიდი რინგისაკენ (ნარკვევი) . . 18
კოცონი . . . . 20
ნ. ლონდარიძე — (ზღაპრები) . . . . 22
აისი . . . . 24
ვ. მიროშნიჩენკო — დედამიწის ტყვეები (მოთხრობა) . . 25
მუსიკალური რიტმები (წერილი) . . . . 28
მაღალი ზნეობის გაკვეთილი (წერილი) . . . . 28
ვ. სიდამონიძე — ანკეტი (წერილი) . . . . 30
საინტერესო სიახლენი . . . . 31
მარილი და საოჯახო პრობლემები (წერილი) . . . 31
გამოგადგება . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — ნახატი ედ. ამბოკაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.
გადაეცა ასაწყობად 27.11.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.01.90 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2563. ტირაჟი 117.000. ეგზ., უე 07815.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1990 წ.

## კროსვორდი

შვეულად: 1. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება; 2. პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება; 3. იმ წესების, დებულებების ერთობლიობა, რომელთა შესწავლა გვეხმარება ამა თუ იმ დარგის დაუფლებაში; 4. თავის ერთი მხარის დროგამოშვებით ტკივილი, გამოწვეული ტვინში სისხლის მოძრაობის მოშლით; 6. თვე; 11. ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე; 12. ხისტარიანი წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი; 14. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; 15. წყლის მცენარე დუმფარასებრთა ოჯახისა; 16. წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი; 18. აზიის სახელმწიფო.



თარაზულად: 5. სიმძიმეთა ასაწევი მექანიზმი; 7. თბილისის ძველი უბანი; 8. უკრაინის საოლქო ქალაქი; 9. დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქი; 10. დიდი ისტორიული მონაკვეთი, პერიოდი; 13. სახალხო დღესასწაული ცეკვა-თამაშითა და მასკარადით; 16. ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე; 17. ძალიან დიდი ქვა; 19. თევზის სამალავი; 20. ცნობილი ბერძენი მომღერალი ქალი; 21. კოპიტი, ანუ?...; 22. პატარა თხელი მრგვალი ლავაში, ტაფაზე მომწვარი.

შეადგინა
ალ. გორგიშელმა

## სახალისო ამოცანები

ბებო სამოცზე ოთხით
ნაკლები წლისა გახლავთ,
შვილიშვილი კი მისი
თოთხმეტისაა ახლა.
მოდა, რამდენი წელი
უნდა გავიდეს, თიკო,
რომ შვილიშვილზე ბებო
ორჯერ უფროსი იყოს?

●

— ბევრი და-ძმა გყავს, ბიჭუნა?
— ჰკითხა ნაცნობმა მუხრანს, —
ორივე თანასწორადო, —
რიცხვის უთქმელად უთხრა, —
ოღონდ ჩემს დას კი, ძამია,
ჰყავს დებზე ორჯერ მეტი.
რამდენი და-ძმა ყოფილა,
რომელი უმალ მეტყვის?

თუკი იმ ციფრს თავდაღმა
დააყენებ, გელა,
თავისივე ნახევრით
გაიზრდება ხელად.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

●

შინ მიდევს ჩოხაჩაცმული,
ბოსტანში — თმაგადაწნული.

●

შავი სტუმარი მოვიდა,
თეთრმა გააგდო იგი,
ენაცვლებიან ერთურთს და
არ შეეშლებათ რიგი.

●

ბნელ ღამეს გამოსადეგი,
შემოქმედია შუქის,
თავზე რომ ქუდი ახურავს,
იმ ქუდქვეშ ალი უკრთის.

●

იგი ხეზე იბადება,
ეკლის კაბაჩაცმული,
იზრდება და ლამაზდება,
კოხტად გამონასკვული,
მერე მიწას დაეცემა
მომხიბლავი ასული.

ნ. გვარიშვილი

●

არც ფეხი აქვს და არც კბილი,
კატასავით არის ფრთხილი,
გრძელკუდას და ხმაწრიპინას
გაჩენის დღე აწყევლინა.

ლ. სოშტარია



## შარადა

რასაც გუთანი გაავლებს,
ის მიწის ზოლი მითხარ
და არც „კაპასის“ სინონიმს
ფიქრი არ უნდა დიდხანს.
პირველი სიტყვა მარტოდენ
შუალა ხმოვანს იკლებს,
ერთი კი სურნელოვანი
მცენარის სახეს იღებს,
მედიცინაშიც ხმარობენ,
გაგიგონია იქნებ?

შ. შოთაძე

## პასუხები № 12-ში მოთავსებულ „სხრაკლიტულზე“

### თავსატეხი



### კროსვორდი

თარაზულად: 5. ბაგირი; 7. რომანი; 8. ნიადაგი; 9. ინდაური; 10. ჯინსი; 13. მარაო; 15. ქლიბი; 17. ეგრისი; 18. ალმასი; 19. ალამი; 21. ფრაზა; 23. ოდიში; 25. ტოსტერი; 27. „კარმენი“; 28. ანბანი; 29. საბადო.

შვეულად: 1. მაწონი; 2. სინჯი; 3. კრივი; 4. ანგოლა; 6. ედგარი; 11. ნიაგარა; 12. ინდიანა; 13. მარმაში; 14. რობსონი; 15. ქვიშა; 16. ირანი; 20. ასტამი; 22. როდენი; 24. შარადა; 25. ტოკიო; 26. ირისი.

### გამოცანები

თოლია, მდინარე,
კითხვის ნიშანი,
ტყვია, თოფი, წვივი.

ნ 90/24 100-11






ბერძნული ორნამენტი „მეანდრი“



გეომეტრიული ორნამენტი

# ორნამენტი

სანამ მოვქსოვდეთ ჩვენთვის სასურველ ტანსაცმელს, უნდა შევარჩიოთ მისთვის შესაფერისი ნაყში. ნაყში აუცილებლად უნდა მიესადაგებოდეს მოსაქსოვი ტანსაცმლის ხასიათსა და სეზონურობას, აგრეთვე, საქსოვი ძაფის სისქესა და ფერს. თუ გვინდა ნაქსოვინაირგვარი მხატვრული ნაყშით მოვრთოთ, უნდა შევეცადოთ, რომ იგი მოვქსოვოთ ერთი ტონალობის ძაფით, მაგრამ თუ გვინდა ფერადი ორნამენტით მისი გაფორმება, უმჯობესია, შალისებური ან ქალის წინდისებური ნაყში გამოვიყენოთ.

ახლა განსაკუთრებით მოდაშია ტანსაცმლის — სახელდობრ კი ჯემპრების, პულოვერების, ჟილეტების, ჟაკეტების — გაფორმება რაიმე ორნამენტით. ორნამენტი ნაქსოვში აუცილებლად ფერადი, მოქსოვილი ფონის შესაფერისი ან კონტრასტული ფერის, იმავე სისქის ძაფით უნდა „შევიტანოთ“. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნაქსოვის გაფორმება ორნამენტებით, მით უფრო მაშინ, თუ გვინდა, რომ ორნამენტმა პანორამული სახე მიიღოს, შემსრულებლისაგან მოითხოვს კომპოზიციის ელემენტარული კანონების ცოდნასა და მხატვრულ გემოვნებას.

დასაწყისისთვის შევისწავლოთ რამდენიმე ორნამენტი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ტანსაცმლის ნებისმიერი სახეობის, განსაკუთრებით კი — ზედა სამოსის გასაფორმებლად. სქემები ორნამენტებისათვის მოცემული გვაქვს უჯრულა ფურცლებზე. დავიხსომოთ: თითო უჯრა თითო გამოქსოვილ თვალს ნიშნავს.



ფიფქი

„ფიფქი“ კლასიკური ნორვეგიული ორნამენტია. იგი განსაკუთრებით მოიგებს, თუ ქალის, ბავშვის ან მამაკაცის სპორტულ სვიტერში კონტრასტული ძაფით რამდენიმე რიგად ჩავაქსოვთ. (სურ. 1).

ბერძნულ ორნამენტ „მეანდრს“ (სურ. 2) ხშირად იყენებენ ქვედაკაბის, ქუდის ან პულოვერის კიდეების გასაფორმებლად. სავსებით იკმარებს და ლამაზიც იქნება, თუ ქალის წინდისებური ნაყშით შევასრულებთ მხოლოდ ამ მოტივს. იგივე შეიძლება ითქვას გეომეტრიულ ორნამენტებზეც, რომლის დეტალი მე-3 სურათზეა მოცემული. ორნამენტი „მამლის ნაფეხურები“ განსაკუთრებით კარგი გახლავთ გარნიტურებისა და კაბების გასაფორმებლად, ასევე, პულოვერებისა და ბლუზებისათვის. ეს ორნამენტი განსაკუთრებით იგებს კონტრასტული ფერების — მაგალითად, შავისა და თეთრის ან შავისა და წითლის კომბინაციით (სურ. 4). იგივე შეიძლება ითქვას ორნამენტზე „ფრანგული შროშანა“ (სურ. 5). „მამლის ნაფეხურების“ მსგავსად, იგი საუკეთესოა სხვა, უფრო მოზრდილი ორნამენტის, ვთქვათ, ნორვეგიული „ფიფქისთვის“, ფონის შესაქმნელად.

ამ ვიწრო, სწორი ორფეროვანი ორნამენტით (სურ. 6) შეიძლება ჯემპრი ან სვიტერი მთლიანად მოიქსოვოს. თუ ფერებს კარგად შევარჩევთ, წარმატებით შევძლებთ ერთფეროვნების თავიდან აცილებასაც. ეს ორნამენტი იმით გახლავთ საინტერესო, რომ ხალხურ ნამუშევრებს მოგვაგონებს და განსაკუთრებით ბავშვის ტანსაცმელზეა ეფექტური.



მამლის ნაფეხურები



ფრანგული შროშანა



ვიწრო, სწორი ორნამენტი